ღვთისმოსავ ადამიანთან მისვლის დღედ შაბათი ავირჩიე. ჩემს მეგობარს დავურეკე, პოეტ ლამზირა შეყილაძეს, მან უამრავი იმ დღისთვის დაგეგმილი საქმე გვერდზე გადადო და ზუსტად ცხრა საათზე რუსთავიდან თბილისში გამოვემგზავრეთ. გზაში მამა აკაკიზე ვსაუბრობდით, სიხარულისა და იმედის სხივები გვიბრწყინავდა გულში. მეტეხის ხიდთან სამარშუტო მიკროავტობუსი გავაჩერეთ, გზის მეორე მხარე გადავკვეთეთ, გზადაგზა ათასნაირი ფრთახატულა ჩიტუნების ჰანგები მიგვაცილებდნენ, უფრო მეტად მტრედები აქტიურობდნენ, ჩვენ წინ დაბაჯბაჯებდნენ, მათში გარდაცვლილთა სულებს ვხედავდი და ვეფერებოდი, ჩემს მეულლეს (ვახტანგ სხირტლაძეს), შვილს (გელა სხირტლაძეს), დიდ მოგზაურს (ჯუმბერ ლეუავას), მეუფეს (თადეოზს), მეუფე (კონსტანტინე მელიქიძეს), ჩვენი აკადემიის წევრს, ან/გარდაცვლილს, დიდ მეცნიერს (ამირან ლომაძეს). სხვადასხვა მხარეს გაფანტულ მტრედებში ვხედავდი აფხაზეთში დაღუპულთა სულებს. აჩიკო მიშველაძის სულს (ბატონ რეზო მიშველაძის ვაჟს), პოეტ დათა გულუას, წყლის ნაპირებზე მოფარფატები იყვნენ მდინარე ვერეს გარდაცვლილები. თითქოსდა მშველელს ეძებდნენ.

გვერდზე რომ მომყვებოდა, ლამზირა შეყილაძის არსებობა დამავიწყდა და გულმა ამომაკვნესა: დაღლილი გული რით გავაჩუმო, ლაგუნა ვერე როდესაც ღელავს... ღრუბელო, ზეცის კაბის სარჩულო, შემოგაფხრინა სამოსი ელვამ. ძირს მოეფინე წვიმების ცრემლად, დაახრჩე შვილნი... სია-

ვით ზმუი, ო, საქართველო, ვინ დამიწყევლა, მთაწმინდის სერზე მგლები რად ყმუის?... ამ ფიქრებით მეტების ერთი მხარის კიბე ავიარეთ. ჩემ წინ მეორე კიბის ასასვლელთან მანქანა გაჩერდა, მამაო გადმოვიდა, თითქოს მის მოსვლას ელოდებოდნენ ეკლესიის მსახურნი, ზარი დაირეკა, მამაომ პირჯვარი გადაიწერა, შემოტრიალდა და სანამ კიბის საფეხურს გადაადგამდა ფეხს, მის წინ ქანდაკებასავით აღვიმართე. თავი დავხარე და მოკრძალებით მივმართე: მამა აკაკის ნახვა მინდა, პირადად არ ვიცნობ, როგორ შეიძლება, რომ შევხვდე? მამაომ შემომხედა, დაფიქრდა... მერე თვალები მაღლა აღაპყრო, ალბათ გაიფიქრა (დიდება უფალო, კიდევ ერთი ადამიანი შეემატება ლვთის სამწყსოსო).

– მე გახლავართ მამა აკაკი, ეკლესიაში ამოდით და იქ მომახსენეთ რაც გნებავსო. მამაომ გზა გააგრძელა, კიბეზე მის ნაფეხურებს მივდევდი, ფიქრით ვეფერებოდი. ეკლესიაში შესვლის დროს ხელჩანთიდან თავსაფარი ამოვიდე, თავზე დავიფარე და დაველოდე მამა აკაკის. მან კვლავ პირჯვარი გადაიწერა და უამრავი ხალხის შუაგულში მოხვდა. სხვადასხვა სათხოვარით დატვირთული ხალხი მორჩილებით სთხოვდა რჩევა-დარიგებას. მეც მომინია რიგის შემდეგ გასაუბრებამ.

ჯურნალი „ათინათი“ ამოვიდე, გავუწოდე და თან შევახსენე, მე ის ქალბატონი გახლავართ ეკლესიის შემოსასვლელთან რომ შეგხვდათ და მამა აკაკის გაცნობა რომ უნდოდა-მეთქი. მამა აკაკიმ შურნალი „ათინათი“ გადაათვალიერა, მოიწონა, თავზე ხელი დამადო და დამლოცა. ისე ბედნიერი ვიყავი, თითქოს იმ მტრედების ფრთები გამომესხა ჩემ წინ რომ ფართხალებდნენ. გამბედაობაც მომემატა მოკრძალებასთან ერთად და კვლავ თხოვნით მივმართე, რომ მასთან პატარა ნორჩ ათინათელს ინტერვიუს გავაკეთებინებდი, თუ კურთხევას მომცემდა.

მამა აკაკი თავზე ხელით შემეხო და სამჯერ გაიმეორა. დამილოცნიხარ ამ ლვთიური საქმეების საკეთებლადო... ვიდექი თავდახრილი და ვგრძნობდი, რომ მადლი ჩემში გადმოდიოდა, კვლავ მივენდე ჩემს გულისთქმას და კრძალვით მივ-

მართე: ტატო ხარატიშვილი თქვენთან რომ მოვიყვანო, შეიძლება? მამა აკაკიმ კურთხევა მომცა. კვლავ უურნალის ფურცლები გადაათვალიერა, მეუფე თადეოზის სურათს დახედა, პირჯვარი გადაიწერა და საუბარი პოეზიაზე გააგრძელა. ვცდილობდი, ზედმეტად არ შემეწუხებინა, დიდი სიყვარულით დავტოვე და ეკლესიიდან გამოვედი. იქვე, ეზოში, გრძელ სკამზე ჩამოვჯექი. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის წევრების სახეები თვალში მიტრიალებდა და მე ვლოცავდი მათ. უფალს ვევედრებოდი, რომ დაეცვა ყველა და სიხარული, ბედნიერება ჰქონოდათ.

გადავყურებდი მეტეხიდან სიონს და ჩემს მეგობართან საუბრით გამოვხატავდი იმ დიდ სიხარულს, რაც მამა აკაკისთან შეხვედრით განვიცადე. დიდი დარღის ტყვეობიდან გამოვედი, არც დაღლას ვგრძნობდი და აღარც სულიერ შიმშილს.... ღმერთის სიყვარულით დაჭრილი სულიდან დაიღვარა ცრემლნარევი სიხარული. ვგრძნობდი, რომ მზე ამოვიდოდა და გამითბობდა გაყინულ სხეულს. ამ წინათგრძნობამ ისე მოიკალათა ჩემში, რომ გულს სხვა რამეზე ფიქრი აღარც აინტერესებდა, იმედი ჩასახლდა.

მეტეხის ეკლესიიდან ფეხით ჩამოვედით მე და ლამზირა სიონის ეკლესიაში. შესასვლელს მივუახლოვდი თუ არა, დედა თამარმა დამირეკა, დედა თამარი ყოველ დარეკვაზე ასე მეფერება ჩემო საყვარელო დე... როგორ ხარ? დედა თამარი ასაკით მართლაც ჩემი შვილის ტოლია, საუბარი უანა ხვიჩიას წიგნს შეეხებოდა. სხვადასხვა პოეტის თუ პროზაიკოსის შეხედულებებია წიგნში შეტანილი და დედა თამარი ყველას აზრს აანალიზებდა... კრიტიკულად უდგებოდა. ამ საუბარში ვერ შევამჩნიე ლამზირა შეყილაძე როგორ გაუჩინარდა, ფეხს ავუჩქარე, ის იყო სიონის ეკლესიაში უნდა შევსულიყავი, რომ მეგობარი ტელეფონით შემეხმიანა: გთხოვ, ჯერ მეუფის საფლავთან მოდი და სანთლები შემდეგ ავანთოთ. სასწრაფოდ გამოვტრიალდი.

ოლიანდრები ვარდისფერად ღალანებდნენ, თვალით დანახული სამოთხე იყო. ყვავილების სურნელებით გაბრუებული ვუახლოვდებოდი მეუფის საფლავს. ირგვლივ სამარისე-

ბული სიჩუმე იდგა. საფლავს ხელით შევეხე. ლამზირა არსად ჩანდა, ვიფიქრე, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი და ტელეფონით ზარი გავუშვი, ყვავილების ტოტებში მიმალული პოეტი გა-მოჩნდა და პირიქით, იქით მიმიპატიუა, მოდი, მოდი, მეტად საინტერესო პიროვნებას გაგაცნობ, მივუახლოვდი უცნობს, ჩემ წინ იდგა მაღალი, ლამაზი ტანის მომხიბლავი მამაკაცი.

გულნაზ... გააგრძელა საუბარი ლამზირამ, როდესაც მე-უფის საფლავთან მივედი, ეს პიროვნება დაჩიქილი იდგა და მეუფეს ესაუბრებოდა. ჩემი მისვლა არც უგრძვნია და მეც მყუდროება არ დავურღვი. მე პირადად გავიგონე ასეთი სიტყვები: მეუფეო, დამიფარე მაცდური სურვილებისაგან, მომმადლე ლმობიერება, განმინათლე გონება, დამაყენე სწორ გზაზე, რადგან შენ ხარ უკვე ჩემი საფიცარიო. უცნობს თავაზიანად შევეკითხე, თქვენ? თქვენ რაღას იტყვით?

– ციხიდან ახალი გამოსული ვარ, რუსთავის ციხეში ვი-ჯექი, მეუფე ხშირად დადიოდა ჩვენთან, მას გარდაცვლილი შვილი ჰყავდა, გიორგი, უფრო სწორად მოუკლეს, მეუფის შვილის მკვლელთან ვიჯექი. მეუფემ მკვლელს აპატია ჩადე-ნილი დანაშაული. ამან თითოეულ ჩვენგანში მხეცი ჩაკლა და გააღვიძა ადამიანი. ხელოვნების მიზანიც ხომ ეს არის, მეუ-ფე, გარდა იმისა, რომ სასულიერო პირი იყო, ის პოეტი იყო, ხელოვანი, ჩავილაპარაკე და კვლავ უცნობის საუბარს და-ვუგდე ყური, ციხიდან როცა გამოვედი, განაგრძო უცნობმა, მეუფე გარდაცვლილი დამხვდა, სიონის ეკლესიაში შევედი, ფიცი დავდე უფლის წინაშე, რომ მეუფის საფლავზე ყოველ-დღე ვივლიდი და უნებლიერ ჩადენილ ცოდვებს მოვინანიებ-დი. ეს არის და ეს.

გამახსენდა 1969 წელს მეუფის დაწერილი ლექსი ოთარ ჩხეიძისადმი დასტურად იმისა, რომ მეუფის მიერ ნანინას-წარმეტყველები ზუსტად ასრულდა.

„მას კი, მას სულში მზე უნთია

მამულის ფარად

და ამ მზესავით ნათელია ამგვარად

თქმული...

დაფნის რტოებმა ერს მარადი

სიცოცხლე ამცნონ...
ეს დიადება შორს მწვერვალზე
თქვენ აგეტანოთ

ლიმილიანო, დიდებულო, კეთილო კაცო.

მეუფე თადეოზი ჩვეულებრივი პოეტი არ იყო, მისი წინასწარმეტყველური ლექსის სტრიქონები: „სპეტაკი ტვირთი მწვერვალზე ააქვთ ტიტანებს“ – ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი სიტყვები მოვლენათა წინასწართქმული ნიმუშია. ბატონი ოთარ ჩხეიძე, მარადიულ შარავანდედად ანთია ქართულ ლიტერატურაში.

„შენ მაპატიებ ჩემს ხასიათს, ველურს, ჯინიანს“, თუკი ცხოვრებამ გაახევა გული ტიალი,“ მეუფემო, ამბობდა „უცნობი“ ციხეში შვილის მკვლელი ნახა და აპატია დანაშაულიო, ჰო, აპატია უინიანი ველური თვისებები, რადგან ცხოვრებას გაუხევებია მკვლელის გული.

ბატონი ოთარ ნიკოლაიშვილი მამა გაბრიელის ნათქვამს იხსენებს: თქვენ არ იცით, ვინ არის მეუფე თადეოზი. რატომდაც მგონია, რომ მის დაფარულ სულიერ თვისებებს მისი პოეზიაც გულისხმობდა.

ნინო ჩხიკვიშვილი ამტკიცებს, რომ მეუფის სტრიქონებში ქართველი მკითხველი იპოვის იმ ჭეშმარიტებას, რომელიც პოეზიისათვის მოყოლებული პიმნოგრაფიიდან ორიგანული იყო, უფალთან სიახლოვე ქართულ პოეზიას აკლიაო. და მართლაც მეუფის ყველა ლექსი უფლის შთაგონებულია.

„ვის ცრემლს მადლი აქვს, ის ღმერთის შვილია...

და მას ნულარაფრის ეშინია. მეუფეს სიკვდილის არ ეშინოდა, რადგან მას სწამდა, რომ ცათა სასუფეველში მარადიულობა ელოდებოდა, თავისი კეთილი და მიმტევებელი თვისებების გამო.

„ერიდე ცოდვის პირველ ხაფანგს,

არ გაჰყო ფეხი,

თორემ დაგამსხვრევს, როგორც მუხა

ტანძლიერს მეხი“.

როგორ ჩააგონებს ყველას, რომ ცოდვას უნდა განერიდო.

„მე ჩემი პაპის
პაპის პაპების
პაპის პაპები
მგონია მთები“.

მე კი იმაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „უცნობი“, სწორედ მეუფისაგან შთაგონებული, არასოდეს დანაშაულს არ ჩაიდენს. ის, ასე მგონია, ჭიანჭველასაც არ დააბიჯებს ფეხს. იგი ვიხილე ღმერთთან მიახლოებული, სულით ამაღლებული, „უცნობს“ არავითარი სიამაყე არ ეტყობოდა, მასში ანათებდა ღვთიური მადლი.

ჰო, უფლის მთავარანგელოზო, გულში გავიფიქრე და მეუფის საფლავისკენ შევტრიალდით მე და სასწაულის მხილველი, ლამზირა შეყილაძე. ორივემ დავიჩოქეთ, ვემთხვიერ საფლავს, ორივეს ცრემლები გვცვიოდა, ორივეს გვტკიოდა და ორივეს გვიხაროდა, რადგან ვივსებოდით მამა აკაკის მადლით, ვგრძნობდით მეუფე კონსტანტინესა და მეუფე თადეოზის სულის მფარველობას.



რამდენიმე დღის შემდეგ ლაგოდეხის რაიონის №1 საჯარო სკოლის მოსწავლის ტატო ხარატიშვილის მშობლებს დაუკავშირდი და ვაცნობე, რომ ღვთის მამის, მამა აკაკი მელიქიძესთან მათ შვილს პატარა ვუნდერკინდსა და სტიქაროსანს კურთხევა ჰქონდა, რომ ინტერვიუ გაეკეთებინა. ქალბატონ ია თანდიშვილს (ლაგოდეხიდს რაიონის საბავშვო ექიმს), ძალიან გაუხარდა, მაგრამ ორი დღის შემდეგ ტატო ბულგარეთში მიყავდათ, როგორც ცეკვის ერთ-ერთი მონაწილე. დედა ძალიან განიცდიდა, რადგან ერთადერთ შვილს დაფოფინებს და ათი დღით მონატრების ცრემლს უნდა შეგუებოდა. უფლის ნებაა ყველაფერი, გავამხნევე ქალბატონი ია და დავპირდი, რომ მამა აკაკის და მამა გაბრიელს დავალოცვინებდი. ასეც გავაკეთე, იმ წუთშივე დავუკავშირდი მამა აკაკის და მამა გაბრიელს. ავუხსენი მდგომარეობა, ორივე მამაომ დალოცა ანსამბლი, უსურვეს ყველა ხელოვანს წარმატებით ევლო ხელოვნების დიდ გზაზე.

ლაგოდეხის ანსამბლმა (ხელმძღვანელები კახა კობახიძე და სოფო ტყემალაძე), ბულგარეთში პირველი ადგილი აიღო და წარმატებით დაბრუნდა საქართველოში. რამდენიმე დღეში დაიგეგმა შეხვედრა მამა აკაკისთან. დილის ათ საათზე მეტეხის ეკლესიაში შესასვლელთან ხალხის დიდი რაოდენობა იყო. რწმენით აღვსილნი ელოდებოდნენ მამა აკაკის. ლოდინიც არ დაგვჭირვებია. გამოჩნდა თუ არა მამა აკაკი, იმედის სანთელი აინთო ჩემს გულში, წინ მოკრძალებით წავდექი და მასთან შეხვედრის მიზეზი კვლავ გავიმეორე. კურთხევა მოგვცა და ზუსტად იმ სკამზე მოვხვდით, სადაც მე და ლამზირა ვისხედით მასთან პირველად შეხვედრისას, საიდანაც სიონს გადავყურებდით. სკამის კუთხეში პატარა ტატო დაჯდა და მეც გვერდით ისე მოკრძალებით ჩამოვჯექი, რომ ვცდილობდი არ შეხვებოდი სკამსაც კი... საუბრის დროს ხალხის მთელი არმა ჩვენ გარშემო იყო, ალბათ ასზე მეტი იქნებოდა, ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდა იქ მყოფნი. ჩვენ მოვხვდით ადამიანთა ცოცხალი პიროვნებებით ამოშენებულ ქვევრში ეს იყო დაუგეგმავი საოცრებათა სცენა. ორმოცი წუთი ისე გავიდა, ვერავინ

გრძნობდა დროის გასვლას. თვით მამაოც კმაყოფილი იყო დასმული კითხვებისა, ვგრძნობდი და დასასრულს პოეტ ლამზირა შეყილაძის ლექსი წავუკითხე, ესიამოვნა, დალოცა ლექსის ავტორი. მე კი ამ სიტყვებით გამოვემშვიდობე. ხალ-ხის მკურნალო მამავ, ლოცვას გვირიგებ წამლად... დამლოცე სულკამკამავ, დამლოცე, გზას რომ წავალ. რა დამავიწყებს მამა აკაკის გაბრწყინებულ თვალებს, დამლოცა მეც და და-ლოცა მთელი მრევლი. რა დამვიწყებს იმ ასადამიანებს, სუ-რათებს რომ იღებდნენ, იყვნენ უცხოელებიც. როცა ყველა-ფერი დამთავრდა, მამა აკაკი ეკლესიაში შევიდა, მრევლიც თან გაყვა. აი, რა გადაარჩენს საქართველოს. რწმენა, უფ-ლის სიყვარული და ერთმანეთის მიმართ პატივისცემა, სა-ქართველო მზიური ვაზის ქვეყანაა, დასაფიქრებელია რაში ვხარჯავთ ჩვენი სიცოცხლის წუთებს...

ორმოცი წლის აჩიკა ჰილაში გახრინებას გადავარჩინ

სასწაული ჩემს თვალწინ მოხდა... ურეკში ვისვენებდი, მეგობარ ქალბატონთან ერთად. ათი დღე მომიწია ზღვის ტალღებთან ალერსმა და მზით გამთბარი ქვიშის ზენრად წა-მოფარებამ. მზის სხივები მაბრაზებდნენ, კანს მიწვავდნენ...

ზღვის ტალღები კი უზრდელად მექცეოდნენ, ტალღებს სახეში დაუზოგავად მცემდნენ... უცხოდ მხედავდა ზღვა პირველად ვიყავი მასთან და ეტყობოდა თავის კანონებს უნ-და დავმორჩილებულიყავი.

ზღვის ნაპირზე სხვადასხვა ასაკის ხალხი საოცარ სცე-ნას ქმნიდნენ. გასაოცარი იყო ჩვილი ბავშვების ჭყუმპალი, თვეების პატარებს არანაირი შიშის გრძნობა არ აწუხებ-დათ... დედის მკლავებში, ბევრს ეძინათ კიდეც.

თბილისის ერთ-ერთი სკოლის ბავშვები დამიმეგობ-რდნენ, ნიუარებს მიგროვებდნენ, მეტიკუტიკებოდნენ და ასე გადიდა ზღვათა სილამაზის ხილვა.

საოცარი იყო მზის ჩასვლა, თითქოსდა უნაპირო

ზღვის სივრცე ელოდებოდა, თავის რჩეულს, მზეს! როდესაც სატრფოს თავის ტალღები მოიქცევდა, ცა სირცხვილით წითლდებოდა. მზე შენი შვილია ალბათ ცაო არა?.. მზე ზღვასთან რომ მრუშობს გრცხვენია და იმიტომ გედება ელვარების ფერი არა?

ვეჩურჩულებოდი ცას და ათასნაირი განცდებით ვბრუნდებოდი სასტუმრო „თბილისში“. სასტუმროში სრული სიმშვიდის იდილია იყო გამეფებული, ჩემი მეგობრის შვილის და დის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა ეს ყველაფერი. ჩვენ განსაკუთრებულ ოთახში მიგვიჩინეს ბინა და სტუმრებსაც განსაკუთრებულს იღებდნენ. ასე მაგალითად: ერთ დღეს გვერდი მწერალთა კავშირის თავჯდომარე ქალბატონი მაყვალა გონაშვილი მეუღლესთან ერთად) ქალბატონ მაყვალას ყველა ცნობდა და ხმამაღლა გამოხატავდნენ აღტაცებას...

საინტერესო იყო ის დღე რომელიც დიდ სევდასთან იყო დაკავშირებული ეს გახლდათ დიდი მოგზაურის უეცრად გარდაცვალება და მერე ჩემი დასვენების პერიოდში მისი ორმოცის მოახლოვება. შინაგანად სიმშვიდეს ვინარჩუნებდი, რადგან სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგადაც ყველაფერს ვაკეთებდი რაც შემეძლო: აი, მაგალითად: გავაკეთე მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომლის პრეზენტაციასაც მეცამეტე ნომრის გამოშვების შემდეგ ვაპირებ. ვაკეთებ ყველაფერს რასაც ვახერხებ და ღმერთმაც ნუქნას სხვამ მეტი არ გააკეთოს...

ურეკიდან ტელეფონით ვუკავშირდებოდი, აკადემიის წევრებს და ვაფრთხილებდი რომ მოგზაურის საფლავთან ჩემი დაწერილი ფიცი წაეკითხათ...

ორი საათი. ეს ის დრო იყო, როდესაც საფლავთან უნდა შეკრებილიყვნენ, ახლობელები, ნათესავები, მეგობრები, აკადემიის წევრები.

მზემ როდესაც ზომაზე მეტი სითბო გამოიმეტა ურეკის ტერიტორიაზე, საგანგებოდ გადახურულ დარბაზში ჩამოვჯექით მე და ქალბატონი ყამარი და ნალვლილანად ვიხ-

სენებდით იმ დღეებს, როდესაც ბატონი ჯუმბერი ცოცხალი იყო და ახალი იდეებით ოცნებობდა მოგზაურობაზე.

ეზოში ძალიან ლამაზი ჩიტი ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწვდა ჩვენსკენ, მოგვიახლოვდა და გარშემო შემოგვიარა, ქალბა-ტონმა ყამარიმ თავისდაუნებურად სპორცმენ ფრინველად მონათლა მე კი ვესაუბრებოდი, შენში აუცილებლად ბატონი ჯუმბერის სულია ალბათ ახლა სტოვებს მიწიერ სამყაროს და მიდის ცის დასალიერს – ჩიტმა უსიტყვოდ იტრიალა ჩვენ გარშემო, ორივე ქალბატონი იმას ვგრძნობდით, რომ თვა-ლებში შემოგვციცინებდა ფრინველი მერე კი არ გაფრინდა, ისევ გზა ჩვეულებრივი ადამიანივით გაიარა, ბატონ ჯუმ-ბერს ჰგავდა მისი სიარული.

მეორე დღეს ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ ხვალ დი-ლით ზღვაში დიდხანს გავჩერდეთ, რადგან საღამოთი ჩემი შვილიშვილის დაბადების დღე არის, თბილისიდან მსახიობი – ბატონ ტრისტან სარალიძე ჩამოდის და ჩვენც უნდა დავეს-წროთ... ის ჩემი შვილიშვილის ნათლია არისო.

დილით აჩეარებული ნაბიჯით მივაშურეთ ზღვის ნაპი-რებს. ცურვა ოთხ დღეში ისე ვისწავლე ძალიან შორს მივყვე-ბოდი ტალღებს, ისე შორს მივდიოდი ნაპირზე დამსვენებლე-ბი წერტილებივით მოსჩანდნენ.

ნიუარების კრეფით გული ვიჯერე, რადგან ზღვის სიღ-რმეში წყალი მუხლებამდე მწვდებოდა, შემოვტრიალდი ზღვის ნაპირისკენ და გავაგრძელე ნიუარების კრეფა, უცებ რაღაცა ბუყბუყი და.... თითქოს განნიორული, ხმა შემომესმა, სამი მეტრის მანძილზე წყალი უკვე ძალიან ღრმა იყო და სწორედ იმ სირღმე-ში იყო ეს ხმა. უცებ თავი ამოყო მამაკაცმა მიშველეთ დაიძახა და წყალში ჩაიძირა, უშველეთ... დავიყვირე და იქ ახლოს ჩემს გარდა არავინ იყო, არც დავფიქრებულვარ იმაზე თუ მე რა შე-იძლება მომსვლოდა, მამაკაცთან ჭიდილში, სასწრაფოთ გავცუ-რე ნახევრად გულწასული მამაკაცი კვლავ ზღვაში შევიყვანე, რადგან იქ წყალი მუხლამდე იყო. მამაკაცი ღრმად სუნთქავდა, წყალი ქონდა ნაყლაპი, შეშინებული, ხან დედიკოს, მიძახდა ხან დას, არადა ჩემი გარდაცვლილი შვილის ტოლი ბიჭი დახრიბას გადავარჩინე. სახელი ვიკითხე მითხრა აჩიკო მქვიაო, ყაზბეგე-

ლი ვარო, არ დამტოვო დეიდაო, მეშინია ნაპირზე გამიყვანეო... მე უკვე აღარ ვენდე, რადგან უკვე გონზე მოსული მეც დამახ-რჩობდა.

აჩიკოს ვურჩიე იქ გაჩერებულიყო და ნაპირიდან მშვე-ლელს გაუგზავნიდი, არა მითხრა, მეშინიაო... დავამშვიდე, ნუ გეშინია, სილრმეს ნუ შეხედავ. აი, ნახე შენს წინ რამდენი ნიუა-რებია შეგიძლია დაჯდები კიდეც-თქო, არაო მითხრა, ზურგით დავდგები და დაგელოდებიო.

ზურგით გამოცურე და ქალბატონ ყამარს აუხსენი მდგომარეობა, იმ დღეს ათვერ გავცურე და უკანვე დავბრუნ-დი, თურმე მაყურებლები ბევრი მყავდნენ და ჩუმად ამაყობ-დნენ კიდეც, ან ერთობლოდნენ... რავიცი. ბოლოს მეგობარს უთ-ხარი მეთერთმეტე გაცურვას შენ გიძლვნი და გამოცურვით ურეკს დავემშვიდობებითქო. ხოდა ბოლო გაცურვა სიცოც-ხლის ფასად მიჯდებოდა, სასწრაფოდ მაშვლთან მივედით და მისი დახმარებით აჩიკო ნაპირზე ცოცხალი დაბრუნდა. გახა-რებული სიზმარს ყვებოდა, ნუხელის გარდაცვლილი მამა ვნა-ხე მივყავდიო და დედაჩემმა არ გამატანაო, ის დედა ალბათ შე-ნახარ და გადამეხვია...

იმ ღამეს ჩემი გელა ვნახე სიზმარში, ჩემი გარდაცვლი-ლი შვილი, რაღაცა უხაროდა, ცოცხალი იყო, ვსაუბრობ-დით...

დილით გამახსენდა ის მწარე დღე, როცა ჩემი შვილი, ჩემს თვალწინ გარდამეცვალა, ჩემი ლომი ბიჭი დაცრუ ექი-მებს ვანდე მისი ბედი, და შედეგი გარდაცვალებით დამთავ-რდა. მაღლობა უფალო, იმისათვის, რომ სხვა ისევ მეცოდება და არ ვიშურებ არავისთვის სიცოცხლესაც კი.

ძმის ნაჯალები

1983 წლის 27 დეკემბერს, თბილისის საავადმყოფოში, სიცოცხლის წუთები ითვლებოდა. დედამიწაზე ვერდატეული სული უერთდებოდა ზეცას, გული? ... გულს არაფერი აშფო-თებდა, აღარც სტკიოდა და აღარც უხაროდა. “გულთან არ

დამადიოთ ხელი, მტკივა, მტკივა და დანაღმული ვარ მკერ-დზე ძარღვებით.” ამბობდა პოეტი სიცოცხლეში და იმწამსვე შეუძახებდა ფიქრებს: “გული სამარეშიც ამღერდება”.

ოცდაათი წელი იცოცხლა ტკივილებით დამძიმებულმა პოეტმა. მას შემდეგ. რაც ზეცის ბინადრებთან დაიდო ბინა, კიდევ ოცდაათი წელი გავიდა... პოეტი ბეჟან ხარაიშვილი უკვე სამოცი წლის გახდებოდა.

ბეჟან ხარაიშვილის იუბილე, ჯუმბერ ლეჟავას სახე-ლობის მრავალპროფილიანმა საერთაშორისო აკადემიამ აღ-ნიშნა თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სადაც აკადემიის წევრებს გარდა შეიკრიბნენ პოეტის ძველი მეგობრები, ახ-ლობლები და საერთოდ პოეზიის თაყვანისმცემლები. ისინი საუბრობდნენ ბეჟან ხარაიშვილის ლექსების უკვდავებაზე. პოეტმა თამარ ჯაჭვაძემ აღნიშნა, რომ ბეჟანის ლექსებს სტუდენტობის დროიდან იცნობდა და რამდენიმე მათგანი ზეპირადაც იცოდა მისმა თაობამ. “მირზა წავიდაო, ეს რა გა-მაგონეს, არ დაბრუნდებაო, თქვეს და ტყუვდებიან”...

საღამოს ესწრებოდნენ ჯგუფ ზღვარის წარმომადგენ-ლები: კახა ბაციკაძე და სერგი ლომაძე, ისინი ხომ ბეჟან ხა-რაიშვილს გვანან ხმის ტემბრით, სხვისი ტკივილის და სიხა-რულის გაზიარებითაც, მათი ერთგული პოეტური მეგობრო-ბა ბეჟანის და ლევან ბაბუხადიას მეგობრობას ჰგავს. მათ, ერთად როცა ვხედავ, ვხედავ ლევანის და ბეჟანის. დიდ ტკი-ვილს და ამავე დროს დიდ სიხარულსაც განვიცდი. ამას ვინ მიხვდება, ჩემს გულში ვინ შემოიხედავს, კლდეკარია, შე-მოღწევას ვინ გაბედავს... მაგრამ, ქალი მაინც ქალია და აგერ ამ სტატიის წერის დროს თვალებიდან ცრემლები დაუ-პატიჟებელი სტუმრებივით ჩამოსრიალდნენ ლოყაზე. კახას და სერგის სიყვარული ისე ნაწილდება ჩემს გულში, როგორც ლევანის და ბეჟანის. ვეფერები ფიქრით მათ, როგორც ოც-დაათი წლის ძმასა და მის მეგობარს ლევანს. სინამდვილეში ეს ორი სულით ამაღლებული ძლიერი პოეტი შვილების ტო-ლებია და მათ ერთი საერთო სახელი დავარქვი “ჩემი ბიჭე-ბი”. მათ არასოდეს არ ვაქებ, არ ვანებივრებ, რადგან მათში ვხედავ ჯერ კიდევ ბევრ დაუწერელ შედევრს და არ მინდა

თვითკმაყოფილება იგრძნონ. ბეჟანი მათგან განსხვავებული იმით იყო, რომ არასოდეს აკმაყოფილებდა ის, რასაც სწერდა, ბევრ ხელნაწერს ხევდა. რაც შემორჩა მისი ლექსები, მისი მეგობრებისა და მისი მეუღლის დამსახურებაა. მე ხელში ჩამივარდა ბეჟანის პროზაული ნაწარმოები, რომელიც მისი მეუღლის ხელით არის გადაწერილი, ამ ამაგის მიჩუმათება ნამდვილად არ ძალმიძს.

ხშირად მეკამათება ჩემი ბიჭების დედობილი, არაჩვეულებრივი პოეტი, ნუნუკა გურალია, ესენი ორივე დიდი პოეტები არიან და უნდა ვაღიაროთ-ო. მე ვიცი ვინც არიან – ვპასუხობ და შინაგანი ტკივილი თავს მახსენებს, ეს ტკივილი ბეჟანია, მისი პოეზიაა.

ბეჟანიმ დაამთავრა ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სწავლობდა საღამოს განყოფილებაზე, პარალელურად მუშაობდა. სტუდენტობის წლებში მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. ის მუშაობდა თბილისის სანერგე მეურნეობაში, საიდანაც მიიღო ბინა, დაოჯახდა, შეეძინათ ვაჟი და ამდენი ტვირთი იდო სტუდენტის მხრებზე.

ერის ტკივილით იყო დამძიმებული პატრიოტი პოეტის გული. მახსენდება, ბეჟანიმ თავისი სამეგობრო წრე, საჩერებელში, სოფელ ხვანში ჩამოიყანა. მთელი დღე ტყეში დადიოდნენ სოკოს საკრეფად, ხან მდინარე ძირულაში თევზს იჭერდნენ. საღამოობით მსჯელობდნენ, აანალიზებდნენ საქართველოში არსებულ, იმ დროინდელ მდგომარეობას. ერთ-ერთ საუბარს მამამ შეუსწრო, ჭერი შეაზანზარა მამაჩემის მკაცრმა ხმამ: – ბეჟან, არ დამღუპო, შვილო, „ერთი მერცხლის ჭიჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს-ო“. იმ პერიოდში ზვიად გამსახურდია იყო დაპატიმრებული და ამას წუხდნენ ლევანი და ბეჟანი.

ახლა იგი სამოცი წლისაა, განაწილდა წლები, ოცდაათი აქ დედამიწაზე და ოცდაათი – ცათა სასუფეველში.

საჩერებიდან მირზა ხარაშვილი ჩამოვიდა ჩემი ძმის-შვილი, მას ახლდა დავით შუბითიძე. რა თქმა უნდა გამეხარდა და ორივეს თბილ-თბილი სიტყვები შევაგებე: “კენჭი რაა,

ისიც მიყვარს, ხმაც კი მიყვარს იმერლისა” – წარმოვთქვი და ერთმანეთი მოვიკითხეთ.

– მამიდა, საუბარი გააგრძელა მირზამ, ბატონმა და-ვითმა ჩვენს ხეობაში წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია აა-შენა. – სიხარულით თვალები გამიბრნყინდა და უურნალი მი-ვაწოდე.

– იცით? ჩემი უურნალი წმინდა ნინოს ხატით სუნთქავს, უკანა გვერდზე მთავარანგელოზი მიქაელია. ორივე ხატი შექმნილია მსოფლიოში ცნობილი მხატვრის, რეზო ადამიას მიერ. ბატონმა დავითმა უურნალი ხელში აიღო, მოწინებით ემთხვია. მასში სჩანდა ღვთის რწმენა და დიდი სიყვარული, ყველაფერი ღვთის ნებაა-ო, მითხრა და უურნალის დათვა-ლიერებას შეუდგა. მირზასგან გავიგე, რომ ბატონი დავითი დეპუტატობის კანდიდატი იყო. ძალიან გამეხარდა, რადგან ღვთის მიმდევარში ყოველთვის მოყვასის სიყვარულია. ჩემი კუთხის ხალხს, მთის ბუნების შვილებს, სწორედ ასეთი პი-როვნება გამოადგებოდათ, სამართლიანობის დასაცავად.

საუბრის დროს ასეთი იდეა დამებადა, რომ წავსულიყა-ვით ბოდბეში. დავურეკე ბატონ ჯუმბერ ხარაიშვილს. ჯუმ-ბერი ხომ მთელი გვარის და რაიონის საამაყო შვილია, სიკე-თის თესვით და ახლა იგი მხრებზე ჯავრწამოკიდებული, კვლავაც სხვაზე ფიქრობს, თითქოსდა თავის სადარდელი აკლდეს. ბატონი ჯუმბერი შვილგარდაცვლილი მამაა, ის რწმენით ცოცხლობს. მას სჯერა, რომ მისი “კოკა” ახლაც მღერის ციდან მაგნოლიას. დავურეკე “ჩემს ბიჭებს” – კახას, სერგის, ლამზირა შეყილაძეს და ორი დღის შემდეგ ბოდბეს ვეწვიეთ.

ბოდბის მონასტერში მუშაობს ანა, ბეჟანის თანაკურსე-ლი, იგი ორი შვილის დედაა. მისი შვილები; ზურაბ გორდეზი-ანი სიღნაღის გამგეობაში მუშაობს, რუსუდან გორდეზიანმა კი ცურვაში მსოფლიო რეკორდი მოხსნა, როგორს ქალთა, ისე მამაკაცთა შორის. აქ უბრალო წვლილი იმით მიმიძღვის, რომ იგი ბატონ ჯუმბერ ლეჟავამდე მე მივიყვანე, რომელმაც ამ დიდი წარმატების მიღწევაში გზა გაუკვალა. მეუღლე – გოდერძი გორდეზიანი – ექიმია.

სანთლები ავანთეთ და წმინდა ნინოს საფლავს ვემ-თხვიერთ. მე ასე ვგრძნობდი, რომ ეკლესის მიმდებარე ტე-რიტორიაზე ჩიტებიც კი თითქოს მოკრძალებით ჭიკჭიკებ-დნენ. წყნარ ჰარმონიას გავდა მათი გალობა. ანას საგანგე-ბოდ სუფრა გაეშალა ბეჟანის სახელზე, მისი სულის საპა-ტივსაცემოდ, მართლაც ღვთის დიდი მადლი და წყალობა იყო... რომ იტყვიან: “ჩიტის რძეც არ აკლდა”. ანამ მამაო ჩვე-ნო გვათქმევინა და... ქართული სულითა და დიდი სიყვარუ-ლით გამთბარი საღამო გავატარეთ. სიყვარულით გულანთე-ბულები წამოვედით. გულში ვის რა იდეა ებადებოდა გზა-დაგზა, ეს უკვე ამოუცნობი იყო, ისე, როგორც ბეჟანის ბევ-რი ლექსი.

გავიდა რამოდენიმე კვირა და მოგვიწია საჩხერის რაი-ონში ჩასვლა, ახლა უკვე ჩვენი აკადემიის ეგიდით, როგორც დავით შუბითიძის მხარდამჭერები.

ჩვენთვის და თვითონ შუბითიძისათვისაც თითოეული კანდიდატი იყო ლირსეული და საამაყო. აუგი სიტყვა არავის დასცდენია. ასეთი თბილი, ერთმანეთის მიმართ პატივისცე-მით სავსე შეხვედრა მართლაც იშვიათია. ეს დღე იყო მოფე-რების, მიმტევებლობის დღე. გზადაგზა კლდიდან ნაშალი ქვები ცვიოდა, ფიქრით მასაც ვეფერებოდი, იმიტომ, რომ ისინი შეწყვეტილ სიცოცხლეს მახსენებდნენ... ჩამონაჯური წყალი კი დედის ცრემლებს. იმნაირ დედის ცრემლებს, რო-მელიც ტბად დააგროვებს ცრემლებს და ცდილობს სხვას არ დაანახოს, ის ტკივილი არ გააუბრალოოს. მირზას ჩავჩურ-ჩულე: მამიდა გენაცვალოს, ერთ წყაროს რომ ბეჟან ხარაიშ-ვილის სახელზე გააკეთებდეთ, ძალიან კარგს იზამდით, მის პოეზიას ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს და ჩვეუ-ლებრივი მოკვდავივით რატომ უნდა განისვენებდეს ხვანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში-მეთქი. მირზა ჩა-ფიქრდა, მე უხერხულობა ვიგრძენი, რადგან ჩემი უფროსი ძმა ლევანი, ანუ მირზას მამაც იქ განისვენებდა და ყველა-სათვის საამაყო იყო თავისი საქმითა და ავტორიტეტით. მას საქართველოდან წასული, უცხოეთში მყოფი პოეტი, ლეილა

შუბითიძე, მოხეტიალე პოეტს უნოდებს და მასზე წიგნის და-ნერასაც ფიქრობს.

მირზამ პასუხი მოგვიანებით დამიბრუნა და მტკიცე გა-დაწყვეტილებით თქვა: დაგვაცადე მამიდა, ამ საქმეს მოვ-რჩეთ და დავით შუბითიძე რასაც ამჟღავნებს, ორ იმდენს გულში ფიქრობს და საერთოდ არაფერი ეშლება-ო.

დადგა არჩევნების დღეც, დავით შუბითიძემ დიდი წარ-მატებით გაიმარჯვა, ეს უფლის წყალობით მოხდა, წმინდა ნინოს მადლით, მას ხმათა უმრავლესობით დაუდასტურეს ეს გამარჯვება. დაწყნარდა უბანი, ხეობა და თითოეული ადამი-ანი და ეს ლექსი, მადლობა დავით! მატიანეს შემორჩება, რომელიც მისი კეთილი საქმეებიდან გამომდინარე, ამ ლირ-სეულ პიროვნებას მივუძღვენი.

მაღლობა გავით!

მ – ადლის თესვისთვის დავით გერგო „ხვედრი პოეტთა“,

ა – მოდის მზე და ცაში მოსჩანს ცისკრის ფერები.

დ – ავით შენა ხარ სიკეთე და... სულის კომეტა,

ლ – იჩსა და ჭალვანს, მთელს ხეობას, რომ ეფერები.

ო – სიცოცხლეა... სიყვარული ახლა ჭალვანში,

ბ – ურუსი გაქრა.... მზე სხივებად წამოგვაფარე...

ა – ლბათ გატყდება „დედას პური“, ლექსის ლავაშით...

დ – არდი და ცრემლი შავი ძაძაც, ღმერთო გვაკმარე!

ა – ქ დღეს ზეიმობს, ზეცის სული, ცას გარდაცვლილი,

ვ – ითარც ფენიქსი, ბეჟანი აღსდგა, თავის ლექსებით...

ი – ფრინე სულო, ცას არა აქვს დასასრული და...

თ – ბილ საძირკველში კვლავაც ნედლობს ნიჭთა ფესვები.

მადლობ! დავით! სიკეთისთვის დიდი მადლობა!

სურვილად ეს მაქვს შენი საქმით კვლავ გამაოცო...

დარდების შემდეგ, ეს წუთია ჩემთვის აღდგომა,

ღვთის კურთხეულო, მთელი გულით უნდა დაგლოცო!

არჩევნებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ დავით შუბი-თიძე რედაქციაში გვესტურა. ერთმანეთი მოვიკითხეთ,

ვატყობდი, რომ რაღაცას ფიქრში წონიდა და აანალიზებდა, თითქოს მის ხმაში ფოლადიც ერია. სიცოცხლეში ადამიანი იმაზე მეტს ვერ გააკეთებს რაც ბეჟანის გაუკეთებია ოცდაათი წლის განმავლობაში, სტუდენტობა, ექსპედიციები, ცოლი, შვილი, ბინისა და ნაკვეთის მიღება. მერე ყველაზე მთავარი პოეტის სახელის დამკვიდრება, მისი გარდაცვალების ოცდაათი წლიდან დღემდე. არის კიდევ მთავარი, ეს არის მისი დიდსულოვნება. მე სუფრაზე ჭირსა და ლხინში, სადაც მოვხვდი, ბეჟანის ახსენებენ, იგონებენ და... გასაკვირი აქ ერთი რამ არის, დღემდე აზრად არავის მოსვლია, სკოლისათვის, სადაც იგი სწავლობდა, ბეჟან ხარაიშვილის სახელი დაერქმიათ. მერე კი მისი პატრიოტული ლექსებით გაეზარდათ მომავალი თაობა. ამას ხომ თანხა არ ჭირდებოდა?!

ვდუმდი, ცრემლი მდიოდა, ვტიროდი. მერე ჩემს ყურში ახმიანდნენ ბეჟანის სიტყვები: “მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში...”.

“ჭია-ჭია მაპოვნინე საქართველო...” და წამოიშალა მთელი რიგი ლექსთა შედევრები:

მომიახლოვდი, როგორც არასდროს,
მომიახლოვდი!
– ვყიდი ვარძიას,
– ვყიდი ხერთვისს,
– ვყიდი არხოტს და ვყიდი ხოშარას...
მე ალარ მინდა თქვენი ლიბანი,
ისრაელი და მთელი კამბოჯა,
მე საკუთარი აზრი გამბოჭავს
მე საკუთარი ბოლმა მომშხამავს,
შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ,
მე ამიტირდა მუხრანი... ანა...
მე რომ გავყიდო, იყიდი განა?
მე რომ გავგიჟდე, მომკლავდი განა?
მე თვალებდათხრილ დიდ ფრესკებს გიცვლი,
მხარჩამოკვეთილ ამ ფრესკებს გიცვლი
იმ პირველადქმნილ საოცრებაზე.

გულიდან ნაკადულივით დაიწყო სტრიქონებმა დინება:

ბ-ილიკს, მის გავლილს, წლები რას წაშლის,
ე-ნაწყლიანი პოეტის სიტყვებს...
ჟ-ანგისფერ ფოთლებს ფიქრები აშლის,
ა-იყვანს ტყეში ამოსულ ნიყვებს.
ნ-ანატრ გაზაფხულს ვერ მოესწარი,
ხ-ის ტოტებს ტანი შემოეუარათ...
ა-ხლა გახურავს ზეცის ზენარი,
რ-ამდენს ვტირივარ, ძმაო, ბეჟანა.
ა-მ თოვლს, ამ წვიმებს როგორ გავუძლო,
ი-მედი ნისლით იხრჩობა კვამლში.
შ-ეშლილო ქარო, სევდის საუფლოვ,
ვ-ერ მოგიშორე, თითქოს ვარ ვალში.
ი-მიტომ გითმობ ქარო, ოხერო,
ლ-ოცვით საგზალი ცაში ავიდეს,
ი-მ ფაქიზ სულის ლექსის კენწეროს,
მივწვდე, თუ გინდა წლები გავიდეს.
მერე ავანთო გულს ლამპიონი,
გავაცისკროვნებ ბნელს ვარსკვლავებით.
მნამს მიწყალობებს მადლი სიონის
და ასე ვივლი ძმის ნაკვალებით.

თვალწინ დამიდგა ლევანისა და ბეჟანის მეგობრობა,
რომელიც ფურცელზე ასე ჩამოიმარცვლა:

მთიდან დაშვებული ძირულა ლილინებდა „ძირულისპირულს“, ხვანის მთების თავზე იღიმებოდა მთვარე, ცის კალოზე კენჭაბდნენ ვარსკვლავები, თმებგაშლილი წყლის ალის ამბავს ნებისად ჰყვებოდა გაფუშფუშებული ღრუბელი, ლამეულ ნიავს ჩამოქნილ მკლავებზე გაეწვინა მონარნარე მუზა, ვისთან გაახლოო, უმშვენიერესო, ჩასჩურჩულობდა.

ძირულას ძილისპირულს აყურადებდნენ ორნი, აოცებდათ იდუმალება ლამის. მონარნარე მუზის მიახლოვებას გრძნობდნენ მეგობრები. მათ სულებში კალმახებივით სხმარტალებდნენ რითმები, რიტმები და იბადებოდა... ჰო, გარინდებაში, დაყურადებაში, იდუმალებაში იშვებოდა უჩვი-

ლესი ლექსი. ფიქრის საფენებში შეხვეულ ფურცელზე
მთრთოლვარედ რომ გადავიდოდა მერე...

სულს მზედ ჩარჩენია ის დრო, ენატრება უსაშველოდ,
გაუსაძლისად.

ორნი! სადარი სულისანი, სადარი განცდისანი, სადარი
ტკივილისანი, ოცნებისანი, სიბრალულისანი... ლევან ბაბუ-
ხადია და ბეჟან ხარაიშვილი. მათი მეგობრობა სტუდენტო-
ბიდან დაიწყო, სულმა სული იცნო. ერთი შეხედვით თითქოს-
და ჩვეულებრივი ბიჭები იყვნენ, ხშირად მხოლოდ პურის (ან
მჭადის) ნატეხი ჰქონდათ. მწარე ხახვისა და ბოთლს ღვინო-
ზე ტკბილად გადევნიდნენ წუთებს, საათებს, მაგრამ მათ
გვერდით მყოფი გრძნობდნენ ლევანის და ბეჟანის რაინდუ-
ლი სულის გამოძახილს. მათი მსჯელობა, სადლეგრძელოები,
ლექსობა, მხიარულება, სიყვარული, უსაზღვრო სიყვარული
მოყვასისა და სამშობლოსი, იყო რაღაც სხვაგვარი – დიდი,
ამაღლებული, ღმრთისეული... მათთვის მისაბაძი ჭეშმარიტი
გმირი ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იყო. თავს
ბედნიერად გრძნობდნენ, რომ მათი თანამედროვენი იყვნენ.
მარწუხებივით ახრჩობდათ ნანატრ სამშობლოზე გაუმხელე-
ლი ფიქრი. ფურცლებზე დაფრქვეულ სტრიქონებში აქსოვ-
დნენ განცდებს, მერე კითხულობდნენ პატარა ოთახსა თუ
დიდ აუდიტორიაში, თანამოზიარებთან თუ სხვაგვარად მო-
ფიქრალებთან და მათი სიტყვა, ქცევა, ნაბიჯი, იყო ყოელ-
თვის გამორჩეულად კაცური, რაინდული...

ლევანი ოცნებობს იმ დროზე, როცა ერთად იყვნენ სა-
დარი სულისანი. უყვარდა ლევანის საჩხერის მაღალმთიან
სოფელ ხვანში მეგობართან სტუმრობა, ბეჟანის მყუდრო,
თბილ კერაზე, მის მშობლებთან, დედმამიშვილებთან, რო-
გორც უთბილეს საბუდარაში, ისე გრძნობდა თავს.

სულს მზედ ჩარჩენია ის დრო. ენატრება უსაშველოდ.
ლამით, ძირულას საოცარ ნაპირებს აუყვებოდნენ მეგობრო-
ბაში მდინარის სათავისკენ, ცივ წყალში მოცეკვავე თევზე-
ბისკენ მიუწვდათ გული. უყვარდათ დაწინწკლულ კალმახ-
თა სხმარტალის ცერა. ათენებდნენ კიალას და მდინარის
გულისკენ, ხელში სუფრის ჩანგალ მომარჯვებულები შედი-

ოდნენ. ჩააშუქებდნენ წყალში კიალას, ამ დროს თევზები მხედველობის უნარს კარგავდნენ და სწრაფად „კაფენიკში“ ექცეოდნენ. ეს ბეჟანისაგან კარგახნის ნაცადი ხერხი იყო. პო, საოცრად უყვარდათ კალმახები. მოსხმარტალე, მოუხელთებელ, ბოლოს კი დამორჩილებულ ლექსის, თუ ნოველის სტრიქონებს ჰგავდნენ ისინი.

ნაადრევად ჩაიფერფლა უტკბილესი მეგობრობა, 30 წლის პოეტი ბეჟან ხარაიშვილი ნაადრევად განეშორა მიწიერ სამყოფს...

იდგა მეგობრის ცხედართან გაქვავებული, გულდაფლეთილი, სულდაღლილი და უთევდა ღამეს. საათები, წუთები ამოკლებდა მეგობართან გამოსათხოვარ დროს. გათოშილიყო ირგვლივ ყოველივე, თითქოს დასრულდაო ყველა-სათვის ყველაფერი.

მერე?

რაინდულად შეეჭიდა გაუსაძლის ტკივილს. ჭეშმარიტი მეგობრობა გარდაცვალებამაც ვერ ჩაფერფლა. მოიძია მიკუჭული, გაფანტული ფურცლები, აახმიანა სტრიქონები და სასოებით, რუდუნებით, საკუთარი სახსრებით გამოსცა მეგობრის წიგნი. ნათელი შუქი უხვად დაეფრქვა ღრმად მიძინებულს სტრიქონებს...

სამზეო იხილა სულის ნაურმა, ადამიანთა გულებისან წარაკრაკდა, და... თითქოს მეორედ დაიბადა ბეჟან ხარაიშვილი. მე კი ვევედრები მაცხოვარს, შემაძლებინოს ლევან ბაბუხადიას მსგავსი მეგობრობა, ერთგულება, სულგრძელება, ვევედრები უფთალს ამრავლოს მზისქვეშეთში მისაბაზი ადამიანები, რომ განათდეს ქეყანა, იმძლავროს სიყვარულმა და ცხრაკლიტულში მოექცეს ბოროტება.

არაერთხელ მიგვრძნია, განმარტოვდება ვაჟკაცი საკუთარ ფიქრებთან, სხეულს ჩაეღვენთება მდუღარე ცრემლი და უსაშველო მოენატრება, დრო სულს მზედ რომ ჩარჩენია.

იქიდან კი, მარადიული სამყოფიდან, გაუხუნარ მეგობრობას უწევს და მადლიერებით ჩამოპლიმის უკვდავი სული. დაიღვრება მეგობრობის ცრემლი, რომელ ცრემლებზეც ას-სე უთქვამთ ბრძენებს:

უცნაური რამ არის ცრემლი... ცრემლი დიდი სიხარულია, დიდი ტკივილია...

ცრემლი ადამიანის სულის ნაწილია, მისი ნამცვვრევია...

ცრემლი გამოუთქმელი დარდია... ვერთქმულით გამონვეული ყელში გაჩხერილი სიტყვაა...

ცრემლი შენი სამშობლოა, მისი ტკივილიანი წრსულია, დღევანდელი დღეა, „უცნობად“ დარჩენილი ქართველი ვაჟ-კაცების საფლავებია...

ცრემლი დიდი მონატრებაა, მშობლიური კუთხეა, აფხაზეთია... იქ დარჩენილ წინაპართა საფლავებია, მბჟუტავ სანთელსა და დამჭერა ყვავილებს მომლოდინე უკვე ხავსშევლებული საფლავებია...

ცრემლი ფიქრია... უსაშველო ფიქრია, რომელიც არ გასვენებს, მინას გწყვეტს და ბურუსში გახვეული მოგატარებს ყველგან, სადაც ვერ მიგესვლება...

ცრემლი უცნაური ხილვებია... თანმდევი სხივებია, სულისშემძვრელი ზენებაა... მიტოვებული ბოქლომებია, მიუნვდომლად მაღალი მთებია... ნაცრისფერი ღრუბლებია... მიტოვებულ საფლავებთან ჭირისუფლად მდგარი მტირალატირიფებია...

ცრემლი თვალსა და ხელს შუა გასული დროა, მდინარე-სავით ჩავლილი წლებია...

ცრემლი გარდასულ დღეთა დიდი მონატრებაა... მოლივლივე ზღვაა, ტალღების სევდიანი ჩურჩულია, ცხელი ქვიშის სიმხურვალის შეგრძნებაა, ზღვაზე მზის ჩასვლის ხილვის აუსრულებელი ოცნებაა...

ცრემლი სანთელივით მბჟუტავი იმედიცაა – იქნება მოხდეს სასწაული...

ეს ცრემლები გადაიქცეს იმედის მდინარედ, აკი გადაიქცა კიდეც... იმ სკოლას, სადაც ბეჟან ხარაიშვილი სწავლობდა, ბეჟან ხარაიშვილის სახელი დაერქვა. ეს იდეა დავით შუბითიძის იყო და... ბეჟანი გაცოცხლდა ოცდაათი წლის შემდეგ. ლევან ბაბუხაძია კი ამბით გახარებული ბეჟანის წიგნზე მუშაობს, იგი უკვე გამოსაცემად გადასცემს სტამ-

ბას, ბეჟანის ლექსების მეორე კრებულს. მწუხარების ცრემ-ლი სიხარულის ცრემლმა შეცვალა.

მე წარმოვიდგინე ბეჟანის აჩრდილი, მაღალი, ლამაზი. გავიგონე მისი ხმა, ლოცვა, დავით შუბითიძის მიმართ, წარ-მოვიდგინე სკოლის ახმიანებული კედლები, გაბრწყინებული პედაგოგები, სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული პოეტები. გა-მახსენდა ზაური ნოზაძის სიტყვები: “არ გეგონოს ძმაო, ბე-ჟან, ძმობა ფეხზე დავიკიდე, რომ იცოდე ღამე თავთით, შენს ლექსებზე თავი მიდევს”-ო. წარმოვიდგინე მისი დატოვილი ხუთი წლის ლაშა, უკვე დაქორწილებული ორი თვალხატულა გოგონათი; გვანცათი და ბარბით, მეუღლით, ხატია ხატიაშ-ვილით, კიდევ უფრო გაზრდილი მისი ძმისშვილი ხათუნა ხა-რაიშვილი, ახლა იმ სკოლის პედაგოგი, რა ბედნიერი იქნება ამ დროს, მას უსათუოდ გაახსენდება ის ლექსი, რომელიც მას მიუღდვნა ბეჟანმა, როცა პატარა იყო. “ხვანის დედოფ-ლად იზრდები ხათო”-ო. წარმოვიდგინე ხეობის ხალხი და გახარებული მე ვლოცავდი ყველას და განსაკუთრებით იდე-ის ავტორს – დავით შუბითიძე!

...

წერა დავამთავრე, ოფლად ვიღვრებოდი, ჩემი რძალი ცირა მიქელაძე მეორე ოთახში დაფუსფუსებდა, მისი ხმა შე-მომესმა, რალაცას ეფერებოდა, სასწრაფოდ გავედი და რას ვხედავ; ოთახში მერცხალი შემოფრენილიყო, ფანჯრის რა-ფაზე იჯდა და გვიყურებდა... მთელი წახევარი საათი ჩვენ-თან დაყო, შემოუფრინა ოთახს და გაფრინდა. მე ფიქრით მო-კითხვა დავაბარე ცაში წასულ ახლობლებთან და იცით კი-დევ რა დავაბარე? ვახტანგი, გელას ოთხი წლის ბიჭი იზრდე-ბა და მამას საყვედურობს, რომ არ მოდის და კანფეტები არ მოაქს მისთვის. მე კიდევ რომ ვატყუებ და ვეუბნები მამაშე-ნი მოვა, უსათუოდ მოვა-თქო. ასეთი ტყუილი მჭირდებოდა ლაშასთან, ბეჟანის ბიჭთან. ლაშა ამიტირდა ბეჟანის დაკ-რძალვის დღეს. მამიდა მამა მეც მინდა, მუხრანის და მირზას რომ ჰყავს-ო... იძულებული გავხდი მეთქვა, რომ მამამისი მოვიდოდა და კანფეტებს მოუტანდა. ლაშა ახლა უკვე ორი შვილის მამაა და... მამამისი მოვიდა. გაცოცხლდა ბეჟან ხა-

რაიშვილი, სახელის უკვდავებით... დავით შუბითიძის იდეითა და წმინდა ნინოს მაღლით.

მაცნენი ნუგჰები როგორც რეგანიზაცია და პიროვნება

სანთლით რომ ეძებოთ, ბატონ ნუგზარ ნადარაიაში ნაკლს, მჯერა, რომ ვერ იპოვნით. იგი ქართული, ეროვნული გულით ხელმძღვანელობს ფაზისის საერო აკადემიას. მის სულში სიკეთისა და ერთგულების გენი ჭარბობს. როცა ვინ-მეს უჭირს, მასში ცოტნე დადიანის სისხლი აყივლდება და იგი დაუფიქრებლად დადგება სიმართლის მხარეს. არ მოე-რიდება “ბრბოთა ხროვას”. მას უყვარს რეალურად დასაფა-სებელი პიროვნებები. იგი აფასებს სამშობლოს ერთგულ ადამიანებს და სძულს ცხვრის ტყავში გახვეული მგლები. არის ძლიერი, მებრძოლი, ულალატო პიროვნება. სამეფო კა-რი მისთვის უწმინდესის რეზიდენციაა. იქ ივსება ღვთის მაღლით და მერე კი უხვად არიგებს აკადემიის წევრებთან.

ბატონი ნუგზარი, როგორც ორგანიზატორი და პიროვ-ნება, შეუდარებელია. როდესაც ან გარდაცვლილი ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ცხრაწლიანი მოგზაურობის შემდეგ კვლავ სამოგზაუროდ მიდიოდა, იმ პერიოდში ბატონი ნუგზარი ფოთში იმყოფებოდა, სხვათამორის დავურეკე და ვთხოვე, რომ მისთვის გზა დაელოცა სიკეთის მოძღვარს. რამოდენი-მე საათის შემდეგ ბატონმა ნუგზარმა თვითონვე დამირეკა: ქალბატონო გულნაზ, მე თქვენი შეტყობინება კოლხურად მივიღე, გავაფრთხილე ადგილობრივი ფოთის ხელმძღვანე-ლობა და ტელევიზია, აქ ფოთელები ღირსეულად დახვდები-ან ღირსეულ მსოფლიო მოქალაქეს. საღამოს ჩემს ოჯახში მოვასვენებ, დილით კი მე თვითონ გავაცილებ გემზე.

ვწერ ბატონ ნუგზარ ნადარაიას პიროვნებაზე და მახ-სენდება 2012 წლის იანვარი. დარღნამოსხმული შევხვდი ახალ წელს, თუმცა მოლოცვები მსიამოვნებდა მეგობრების-გან. მამხნევებდნენ, მეფერებოდნენ და ათასნაირ კეთილი სურვილების დაბედებას მიწინასწარმეტყველებდნენ.

დღის დასასრულს, როცა ყინვისაგან გათოშილ ას-ფალტს მზემ უკანასკნელად დაანათა თავისი მოკრძალებული სხივები, დარდმა თავი კვლავ შემახსენა და ჩემს წინ მე-დიდურად გაიძლინდა. ცრემლებმა გადმოხეთქა წამწამებისა-გან აშენებული კაშხალი და გულის უბეს მარილიანი საფენები შემომაფინა. დედამინასა და მზეს შორის საყვედურით დატვირთული საუბარი გაიმართა:

— ვერა ხედავ, შენი სითბოთი ლოლუები ძირს ჩამოცვივდნენ და ბროლის ლარნაკივით დაიფშვნენ. ახლა ისევ ჭირხლის საბანი გადამაფარე. ყინვის არტახებით სული შემიხუთე. მხრები ოდნავ რომ შემითბა, პირი ზეცისკენ იბრუნე. შენი ასეთი საქციელი გაუტანელი და დაუნდობელი ადა-მიანების ცხოვრებას მაგონებს.

— მე ჩემი დრო მაქვს, რას მებუზლუნები, შენ მიწიერ შვილებს ასწავლე სიყვარული და ერთმანეთის პატივისცემა, მე ღმერთის ბრძანებას ვასრულებ, ჩემი ნება რომ იყოს, დე-დამინისკენ ისედაც არ ჩამოვიხედავ. ზეცაში ყველას თავისი ადგილი აქვს დათმობილი, იმის მიხედვით, თუ დედამიწაზე ყოფნის დროს რა სიკეთებს აკეთებდა იგი. ჰოდა, მეც იქ მი-სარია ყოფნა, სადაც სიყვარულისა და ერთმანეთის ფასი იციან.

დედამიწამ მზის ნათქვამში ჭეშმარიტება დაინახა და გაჩუმდა. მზემ საუბარი გააგრძელა: — მე როცა სხივებს მხრებზე წამოგასხამ, ჩემს სითბოს ადამიანების გულის სითბოც უნდა დაემატოს, მაშინ ანკარა წაკადულებით აგევსებო-და უბე-კალთა. მე იმას ვდარდობ, ვისაც მინდა სითბო ვაჩუ-ქო, იმასაც არ სწოდება ჩემი სხივები, ამ იანვრის სუსხიან დღეს. ფიქრის გემი გაჩერდა. სანთელი ავანთე და ლოცვა დავიწყე. უფალს მშვიდობიანი დილის გათენება შევთხოვე და აივანზე გავედი. დღის დასასრულს კვლავ წალველი შემო-მაწვა, ყინვის სუსხმა ჩემს გულთან მოიკალათა, მერე მთლი-ანად მომწვდა და დარდის კუნძულზე გამომამწყვდია.

გამასხენდა ქადაგება, უფალმა რომ ბრძანა, განკითხვის დღეს გეტყვით: მწყურვალი ვიყავ და არ მასვით, მშიერი ვიყავ და არ მაჭამეთ, შიშველი ვიყავ და არ ჩამაცვით, სნეუ-

ლი ვიყავ და არ მომიარეთ. ყოველი გაჭირვებული ადამიანი, თქვენს წინ შემხვერდი და თქვენგან არ გაკითხული, მე ვიყავ.

დარდის კუნძული იძირებოდა, იძულებული ვიყავი თან ჩავყოლოდი, რადგან ძალა არ მყოფნიდა უკან დასაბრუნებლად. კუნძულზე იმედის სხივმა შემოიხედა, ასეთ განსაცდელში რომ დამინახა, შევეცოდე და დახმარებას დამპირდა.

– შენ საიდან გაჩნდი? – მორიდებით შევეკითხე იმედის სხივს.

– მე ქრისტეს მოწაფე ვარ, თვალს გადევნებ და უკვე დავრწმუნდი, რომ უფლის იმედით მიიწევ წინ და უკან კი სიკეთის კვალს სტოვებ.

უწმინდესთან, ფოთის დელეგაციასთან ერთად, 2 იანვარს ბედობის დღეს ჟურნალი “ათინათი” უნდა დალოცოს უნეტარესმა, ამ დიდი საქმის ორგანიზატორი მე გახლავართ. იდუმალი ხმა თანდათან იკვეთებოდა, ხმაში ნუგზარ ნადარაიას ხმა ვიცანი. დაილოცოს ღმერთო შენი სამართალი, ეს ხომ ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტია, დიახ, ის არის, ჩამესმა იდუმალმა ხმა.

შენ პოეტი ხარ, პოეტები ხომ უფლის რჩეული ადამიანები არიან, როცა გტკივათ ლექსით სტირიხართ და როცა გიხარიათ ლექსით გამოხატავთ, ლექსი მიუძღვენი იმედის სხივს. დავფიქრდი და ლექსის წერა დავიწყე.

ბატონო ნუგზარ:

6-აომარ მიწებს სევდის ნისლი გადანაცვრია,

უ-ფრთხის ცივ ტყვიებს ვარდები და გლოვით ჰყრის ცრემლებს, გ-ულში დაჭრილა, ჯერ გაუშლელ კვირტს რომ აცლიან,

ზ-ოლი სისხლისა ამჩნევია ბალსა და სკვერებს.

ა-მოიზრდება ფესვებიდან ისევ წერგები,

რ-ილო-ჭრელის დროს მზის სხივები ყინულს გაადნობს,

ნ-არ-ეკალშიაც ცხოვრების გზას ნიჭით ერგები,

ა-მ დროს ნაფიქრალს, კოლხ მეგობრებს ბევრჯერ გაანდობ.

დ-ენთის სუნია, მოწამლულა შხამით მიდამო,

ა-რიდილია დავიწყდათ? რა ლვთის წყრომაა,

რ-ამენაირად გათენება უნდა იწამო,
ა-მერ-იმერი აირია მგლური მტრობაა,
ი-ფრქვევა ტყვია გადაბუგეს მწვანე ხავერდი,
ა-რ გვიჩერდება თვალში ცრემლი ვგლოვობთ და მოვთქვამთ,
ს-ეტყვა მოვიდა, შემოიჭრა ქარი თავხედი,
და თუ დაგვითბა შრომა ჩვენს ჯიშს ოდითგან მოგვდგამს.

ბატონ ნუგზარ ნადარაიას ჩანახატში იმედის სხივი ვუ-
ნოდე, ამ სიტყვებს იგი იმსახურებს, მისი ხელმძღვანელო-
ბით მოხდა ჩემი შეხვედრა უწმინდესთან.

2 იანვარს, უწმინდესის რეზიდენციაში მოწინებით შე-
ვაღე კარები. უწმინდესის ხელის შეხებით გულში სიმშვიდე
ვიგრძენი. ჩემი სული ამაღლდა, გაპოეტურდა და ზეცის ტო-
ლი გახდა, რადგან პატრიარქმა
თავისი დაწერილი ახალი საგა-
ლობელი მოგვასმენინა და წიგ-
ნებიც გვაჩუქა.

რა ბედნიერი ვიყავი, რო-
ცა უწმინდესისადმი მიძღვნილ
ლექსს ვკითხულობდი, პატრი-
არქი მისმენდა, მოსწონდა...
მლოცავდა...



ბატონი ნუგზარ:

შენ უმკლავდები ცივ ქარსა და თოვლიან ზამთარს...
ღვთის გზას ადგახარ, იფერფლები სიკეთის ალით,
არ უშინდები ქარბორბალას, ერევი აფთარს....
ცოტნეიდელო, მიტომ გლოცავს ციდან უფალი.

უსამართლოა ბევრისწერა

გაზაფხულივით ლამაზი იყო, მაყვალივით შავ თვალებში დიდი ნიჭი იყო ჩაბუდებული. ნაზი ფერია გოგო სკოლაშიც გამოირჩეოდა სწავლით და ორგანიზატორული ნიჭით. ამიტომ იყო, რომ რაიონის გაზეთებში ხშირად ბეჭდავდა სტატიებს. წერდნენ თვითონ მასზეც. ეს ადრე იყო, ახლა დარწამოსხმული შეჭიდებიხარ ძალიან მწარე ბედს, ჩემო კეთილო ქალბატონო. ჯერ იყო და შვილების გაზრდასა და ოჯახის შექმნას შეალიე სიცოცხლის ყველაზე ლამაზი წლები. ყადაღადადებულ შენს ნიჭს აღარანაირი აღმაფრენა არ ღირსებია იმ დღიდან დღემდე. სამი შვილი, მეუღლე და სირცხვილ-ნამუსი, ეს იყო შენი ყოველდღიური ცხოვრების კრედო.

ძალიან ახალგაზრდამ გამოცადე ქრივობა. არაფერი დაგიკლია შვილებისთვის, მაგრამ უსამართლოა ბედისწერა, დედაშვილის დაშორებაში რომ იღებს მონაწილეობას, ეს კანონი ზეციურია და ამის განსჯას ღმერთი არ მაპატიებს. არც მაპატია ანალოგიური გზები გამომატარა, ტყუპისცალებს ჰეგავს ჩვენი ბედისწერა, მეუღლე, შვილი, ამ მწარე დღეებს მეც მოვესწარი. ჩვენ თვალებს ცრემლები აღარ შერჩა, დაიღვარა, დაიცალა... გულები კვნესის დედათა გულები დასერილია მწარე ბედისწერით. არადა როგორ უდექით ერთმანეთს გვერდში, ჩვენ ერთნაირი სახლები ავაშენეთ, ძალა ერთობაში იყო, ამ ერთობით ვიყავით ძლიერები. ეს იშვიათობაა, მაზლისცოლები ასე ერთმანეთს უგებდნენ, ალბათ, არც გამიგონია.

ჯერ ჩემი სახლი ავაშენეთ, გვერდით შენი სახლი დავდგით, ერთნაირად გაგვირემონტა გარედან ჩემმა ძმამ (ლევან ხარაიშვილმა) შიგნით კაპილატური რემონტი ერთნაირები გვექონდა, ღობეები, ეზო და დიდი სიყვარული გვაერთიანებდა.

სტუმარი როდესაც მოგვდიოდა, ერთმანეთის სუფრას ვავსებდით. ისეთი კარგი მეუღლეები და კარგი დედამთილმამამთილი გვყავდა (შალვა სხირტლაძე და ვარა გოგატიშვი-

ლი), მათი რჩევით იქმნებოდა ოჯახები. ჩვენი დიდი ოჯახი ცალკე ცხოვრობდა. ჩვენ კი ერთად, გვერდიგვერდ მიყყენ-ბოდით ცხოვრების აღმართს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ ერთმანეთს გავბუტოდით. თუ რამე გაუგებრობა მოხ-



დებოდა, სახლში მშვიდად ვა-ანალიზებდით და მტყუანი მტყუნდებოდა (ეს შენ იქნე-ბოდი თუ მე, ამას მნიშვნე-ლობა არ ჰქონდა).

უფროსი რძალი მე ვიყა-ვი, ასაკით ტოლებს ერთი ფიქრი და ერთი მიზანი გვა-ერთინებდა, უფროსებისადმი პატივისცემა და ოჯახის სიყ-ვარული. შენ როცა მოგიყვა-ნეთ, ოჯახმა ათასნაირი დაპი-რებით გამოგვება, ცხოვრე-ბაში ისე აღარ განახორციე-ლეს. გაკრვეულ მიზეზთა გა-მო. სწავლა ვეღარ გააგრძე-ლე, შვილები წამოგენია, ფიზიკურად მუშაობა გიწევდა, მე სხვადასხვა სერიოზული სამსახურით ვიყავი დაკავებული, ეს შენ არ გალიზიანებდა, პირიქით, ამაყობდი ჩემით.

ერთხელ სიტყვიერი შელაპარაკება მოგსვლია ერთ-ერთ ქალბატონთან. შენს გასაღიზიანებლად უთქვამს, შენი მაზ-ლის ცოლი შეგნებით სავსეა და შენ რა უსამართლო ხარო. (არადა შენ ძალიან სამართლიანი იყავი, დარწმუნებული ვარ, იმ ქალბატონთან მართალი იქნებოდი). პასუხი ასეთი გაგი-ცია. დიახ! ის ჩემი რძალია და მე ვამაყობ მისითო. ასეთ პა-სუხს, დარწმუნებული ვარ, დედმამიშვილიც ვერ გასცემდა.

დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი, დაიფანტა მოსახ-ლეობა, შეწყდა ყოველგვარი კულტურული და ფიზიკური სა-მუშაო. იძულებით გადადგილებულმა ხალხმა სხვადასხვა რაიონს და ქალაქს მიაშურა. მეტმა წილმა საქართველო და-ტოვა. მე თბილისში მომიწია მუშაობა და ასე შეწყდა ჩვენი

ერთად ფუსფუსი. შენ არ დატოვე სახლი. შრომაში გალეულ-მა ქალმა არ მიატოვე სახლკარი და ორ ოჯახს პატრონბ შენსას და ჩემსას.

ერთხელ სოფელს ტყვიებს უშენდნენ რამოდენიმე სახლს ცეცხლიც წაუკიდეს, იყო მსხვერპლიც. შენ კომშის ხეზე ასულხარ და იქ დაღლილს დაგძინებია, ძირს ჩამოვარ-დნილხარ და მინაზეც გაგირძელებია ძილი... ასე შეინარჩუნე ორი ოჯახი შენი და ჩემი.

თბილისიდან ოცდაათი ადამიანი მოუყვანია ერთ-ერთ ჩემს ნაცნობ ქალბატონს, ისე რომ მეც არ გაუფრთხილები-ვარ, იმას თავისი ამბიციები ანუხებდა მეტი არაფერი, შენ იმ დროს ერთით თვის დამწუხებული დედა იყავი. შენთან მოსუ-ლან. მეზობლები შეკრებილხართ და ჩემი ხათრით კიდეც და-გიპურებიათ. ამისთვისაც დიდი მადლობა შენ და იმ მეტიჩა-რას ღმერთმა აპატიოს უაზროთ და უმიზნოთ ხეტიალი.

გიყვარს ინტელიგენტი და განათლებული ადამიანი იმი-ტომ, რომ თვითონ ხარ, გიყვარს პოეზია, იმიტომ რომ შენ სულით ამაღლებული ხარ, ჩემო ტკივილიანო, სამართლია-ნო, შრომაში გალეულო ქალბატონო.

არ შეიძლება არ გავიხსენო ჩემი ძმის სტუმრობა, ბეჟან ხარაიშვილი მაშინ სტუდენტი იყო, მე სამსახურში ვიყავი, შენ საოჯახო საქმით იყავი დაკავებული, იმდენათ გავდნენ ჩვენი სახლები ერთმანეთს. ბეჟანი შენთან შემოსულა, შენც გაგხარებია და ჩუმად გასულხარ გარეთ და ქათამი მეზობ-ლის ვაჟისთვის დაგიკვლევინებია, ეს რომ ბეჟანის დაუნა-ხავს, უთქვამს კი მაგრამ გულნაზი სად არისო. შენ გაგცინე-ბია და გითქვამს, გულნაზი ახლა უკვე სამსახურიდან მოვი-დოდა და სახლში იქნებაო. ბეჟანის მაშინ მიხვდა, რომ შენს სახლში შემოვიდა, მას თან ახლდა ქარელის განყოფილების გამგე ბატონი მერაბ მიქელაძე (მაშინ ასე უწოდებდნენ რე-სუს ცენტრებს) ისე ბატონმა მერაბიმ სკოლის დირექტორად უფრო დიდხანს იმუშავა და მას ამ საქმიანობით უფრო ცნო-ბენ, დიდებული ადამიანი იყო. რათქმაუნდა ჩემმა სტუმრებ-მა ჩემსკენ გადმოინაცვლეს და გავშალეთ საერთო სუფრა. იმ დღეის სამასპინძლოს შემოუერთდა მეურნეობის დირექ-

ტორი ბატონი ტარიელ სხირტლაძე (იგი ჩვენი მამამთილის მამის ძმიშვილი იყო) მისი პირვენებით ვამაყობდით ბატონი ტარიელი ცნობილი სახე იყო რაიონისა. სადლეგრძელოები ჩვეულებრივ წარიმართა, როგორც ჩვევია ქართველობას.

სუფრას ბატონი მერაბ მიქელაძე თამადობდა, იგი გან-თქმული ამ კუთხითაც გახლდათ. ჩემო კეთილო ქალბატონო ეს ფაქტი იმიტომ გავიხსენე, რომ ბატონმა მერაბიმ აღნიშნა: არ მაკლია ხალხისგან ასეთი სუფრები, ყურადღება, მე ეს არ მიკვირს მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ მაზლისცოლებს ასეთი ურთიერთობა ჰქონდეთ ასეთი მართლაც არ მინახავ-სო.

ქალაქში გულხელდაკრეფილი არ ვყოფილვარ ათასნაირ ფიზიკურ თუ გონებრივ დატვირთვასთან ერთად, ჩემში პოე-ზის ნიჭმა გაიღვიძა, აკი ვალიარებ, რომ არასოდეს ლექსებს არ ვწერდი, მამა გაბრიელის საფლავიდან გამოყოლილი მად-ლის დაფარვა ეს დიდი დანაშაული იქნება ღვთის წინაშე. ამ ნიჭმა ბევრი აალაპარაკა (მაბრალებდნენ, რომ ბეჟანს ლექ-სები მქონდა შენახული და იმას ჩემს სახელზე ვაქვეყნებდი) ბეჟანი რადგან გავიხსენე არ შეიძლება არ მოვიგონო ის მწა-რე დღე, როდესაც ის ოცდაათი წლის ასაკში მოკლეს თბი-ლისში (ეროვნულობისა და დიდი ნიჭისათვის ქართველებში ეს მოდის, კაენის ჯიშისანები ვართ) შენ ჩემი ძმა იმდენი წლები იგლოვე, რომ საკუთარი უბედურებაც წამოგენია (მე-უღლე გარდაგეცვალა) ძალიან კარგი ხმა გქონდა, მღეროდი ისე ჰავაის ბულბულს გიძახოდი, ბეჟანის გარდაცვალების დღიდან დღემდე შენი სიმღერა არავის გაუგონია.

ახლა უკვე ცხრა წიგნის ავტორი ვარ და ჩემი წიგნები თავთით გიდევს, კითხულობ და ამაყობ, სადაც შემთხვევა ხელში ჩაგივარდება ქების სიტყვებს არ იშურვებ. როგორ არ მოგეფერო ამდენი დადებითი თვისებების შემდეგ, როგორ არ გაღიარო. იქნებ ეს ჩვენი ურთიერთობა გამოადგეს ჩვენს მომავალს, იქნებ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მკითხვე-ლებშიც გაიღვიძოს მიძინებულმა სიკეთემ, იქნებ ასეც მოხ-დეს რას გაიგებ წინასწარ.

მიტვარს გარდაცვლილებთან საუბარი



კო ალბათ თავის ქმარ-შვილის ლოცვაში ათენებს და აღა-მებს.

ეს რა გასაკვირია, ჩემს საყვა-რელ ადამიანებსაც ხომ აინტერე-სებთ მიწიერთა სამყაროს ამბები. ხოდა მეც მაინტერესებს ცაში რა ხდება.

დავიწყებ ბატონ ჯუმბერი-დან: ბატონო ჯუმბერ, შენთვის ვი-ცი სამოთხის კარი ლია იქნებოდა, არ დაგჭირდებოდა ლოდინი, შენს მეულლეს პირნათლად შეხვდებო-დი, ქალბატონ ლიანა ალიბეგაშ-ვილს. შენი ულამაზესი შვილი მაი-

ნას კნელ ლუკმას გაჭირვებულებს ურიგებს, დარწმუნებული ვარ ჯოჯოხეთში მოხვედრილებსაც მიუტევებს და იზრუნ-ვებს მათ საკეთილდღეოდ. მე და პოეტმა ქალბატონმა ლამ-ზირა შწყილაძემ სრულიად უცნობი პიროვნება ვნახეთ მის საფლავზე, რომელმაც აგვიხსნა რომ რუსთავის ციხიდან ახალი გამოსული იყო და როდესაც გაუგია, რომ მეუფე ცოცხალი არ იყო, მის საფლავზე ფიცი დაუდია, რომ ყოველ-დღე მივიდოდა და პატიებას თხოვდა... რისას ის საიდუმლოა, უცოდველნი არავინ არ ვართ. მან აგვიხსნა რომ მეუფემ შვი-ლის მკვლელი ნახა ციხეში და აპატია ის ჩადენილი დიდი ცოდვა, რაც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფაა.

მინდა შეგეხმიანოთ აკადემიის წევრებო და მოგილო-ცოთ ახალი 2016 წლის შემობრძანება საქართველოში. არ შე-მიძლია არ გაგიხსნო, ჩემი სიკეთის დამფასებელო ბატონო კლიმენტი შელია, ბატონ ანზორ შონია. ჯიბო ჯიმერის ვალი მართლაცდა მოვიხადეთ თერჯოლაში, რომ ჩავედით მე და ლამზირა, გამოსასალმებელი სიტყვებით გაუთბეთ გაყინუ-ლი გული, სასწაული ის იყო, რომ უურნალ „ათინათს“ იმდე-

ნად სიყვარულით ელოდა თურმე (ლექსები და სტატია იყო დაბეჭდილი), მის ქალიშვილს გულზე დაედო და ჯიბო იწვა სამუდამო სახლში და გვერდით წმინდა ნინოს ხატით შექმნილი ჟურნალი მიყვებოდა.

ამის შემდეგ სხვა მოულოდნელობით ცუდი ბედისწერით დატვირთული გემი შემოცურდა რუსთავში. მის საჭეს შენ მართავდი დათო მელიქიძევ, რამხელა დარდი დატოვე აქ და რატომ დაჭირდი მანდეთ, შენს ახლობელბს არვიცი. კარგს ვერაფერს გეტყვი, დედაშენს შენს მეტი არავინ უნდა, მამაშენი, შენი ძმა ჯაბა, რძალი, განიცდიან შენ არყოფნას. ძმიშვილი შეგეძინა. პატარა ფერია გოგო. მეტი არაფერი ვიცი. ხშირად ვეღარ ვკონტაქტობ დედაშენთან, იცი რატომ? არ მიჯერებს... არ სწამს რომ არსებობს ცათა სოფელი, სადაც უკვდავებაა...

პოეტებს მოგიკითხავთ: ბეჟან ძმაო, მადლობა უთხარი უფალს იმისათვის, რომ იმხელა ნიჭი მოუცია შენთვის, რომ შენი ლექსები დღესაც ჩაუქრობელი ლამპარივით ანთია, ჩვეულებრივად ახსოვხარ ყველას ისევ ისე, თითქოს ახლახანს დადიოდი თბილისის ქუჩებში მაღალი, ახოვანი, მჭერმეტყველი, პოეტი. გაგაუკვდავა ბატონმა გელა ლარიაშვილმა, შენი ქანდაკება გააკეთა. ახლა ძმაო, საჩხერის რაიონზეა დამოკიდებული, თუ გამონახეს თანხა ამ ღვთიური საქმისათვის. უფალი დიდია, დაველოდოთ მოვლენებს. შენი ხუთი წლის ლაშა ორი ლამაზი ქალიშვილის მამაა, გვანცა და ბარბი შენი სახელის გამრგელებლები არიან.

ნუნუკა გურალიას, ცის მსაჯული რა განაჩენს გამოგიტანს არვიცი, რადგან თავის თავს თვითონ მოუსწრაფა სიცოცხლე. ამას კი დაბეჭითებით ვეტყვი, რომ ჯუმბერ ლეჟავას აკადემია არ დაგივიწყებს.

გაზაფხულზე ღონისძიებას ჩავატარებთ, ლექსებს წაიკითავენ ბიჭები, სერგი და კახა. პანაშვიდზე რომ ვიყავით, დავდეთ არ დავიწყების ფიცი, შევასრულებთ. მეუფე თადეოზი ნახე ქალბატონო ნუნუკა და აღსარება აუცილებლად ჩააბარე.

ანზორ ფაჩულია, შენ მე აკადემიაში გელოდი შენ სიდურისთან ერთად, ახალი წიგნი გამოვუშვი „დარღის პირამიდები“, სადაც შენზე მოძღვნილი ლექსი შევიტანე. გამოგიგზავნი-თქო დაგირეკე, არაო, მითხარი, მე და რეზო ადამია მოვალთ და მერე წამოვიღებო. იმ წუთში მომიკითხავდი ბავშვები ხომ კარგად? მეც გიპასუხებდი – არაშუავთ, როგორც შეეფერებათ ობლებს-თქო. ჰო და მათი მამა ჩემი შვილი მად დაგხვდებოდა, ის იმდენად თბილი და გემრიელი ბიჭია ყველას მოგინახულებდათ. ჩემო გელა, ხომ სწორს ვამბობ შვილო, ჩემო ძლიერო და თან უკეთილშობილესო. რა გამახსენდა იცი? თბილისში ჩამოვედი შენს სანახავად, როცა სწავლობდი. ნაძალადევის მეტროდან ამოვედით გზა გავაგრძელეთ, შეჯაფული ბიჭები დავინახე, რაღაცაზე კამათობდნენ, გთხოვე, რომ იქით არ გავიართქო, შენ არ დამიჯერე და შუაგულში, ნელი ნაბიჯით გაიარე, მე საყვედური გითხარი, ჩემთან რას აკეთებ და მარტო რას იზამ-თქო და გულში შიშმა დაისადგურა, დედაო, მიპასუხე, ვინ იცის იმათგან რომელიმეს როგორ უფირს, ამიტომ ვიღაცას ხომ იმედი მივეცი. მართალი იყავი შვილო ჩემო იმედიანო.

როგორ გამიფრინდით ეს ტკბილი ქმარ-შვილი ხელიდან, მაგისთვის ვწვალობდი? მაგისთვის ვიტანდი ყველათერს? მინდოდა ერთ დიდ ჭერქვეშ სიყვარული და სიმშვიდე მქონდებოდა.

დგება ახალი წელი, ძალიან ჩქარა შემოაღებს კარებს. ძველი წელი დახვდება ძველებურად, სიახლე და საინტერესო ჯერ-ჯერობით არათერია. მე „ზღვარის“ ბიჭები მყავს სერგი ლომაძე და კახა ბაციკაძე, შენს არ ყოფნას ცოტათი მაინც მივსებენ. ქალბატონებიდან ლუარა სორდიას და ლამზირა შეყილაძეს გამოვყოფდი.

მწერალთა კავშირიდან მაყვალა გონაშვილია ჩემი სულის ნაწილი. და ასე შემდეგ, მე ყველასათვის სიკეთე მინდა, ვინც მტრობს, მე იმათი მტერი არ ვარ, რა სასაცილოა ამას რომ ვწერ, შესაშური დარღი მაქვს. ეს მაქვს ყველაზე დიდი, ამას როგორ გავიმეტებ სხვისთვის, ეს იმდენად

დიდია, ვერ გაუძლებენ და დაიხოცებიან, რად მინდა, შვილო.
იცოცხლონ, ჩემი კუთვნილი მინა მე მელოდება.

როთი ვცოცხლობ? მეკითხები დედი? პოეზიით შვილო,
პოეზიაა ჩემი წამალი.

ფიქრით შენთან ვარ, მოფერება ხომ გაკლია,
ჩუმი ცრემლები, არის მართლაც დარდის სონეტა....
და თუ სიცოცხლე შენს გარეშე შვილო წაკლია
მაშინ სჯობია ისევ – ისევ დავრჩე პოეტად.

გელა, შვილო სულიკო თავბერიძის ვაჟი, ექიმი ბიჭი,
შენნაირად უეცრად ტრომბით გარდაიცვალა, დედამისი
ჭკვიანი ქალბატონია, იცის, რომ შვილის სული არ უნდა
დაამძიმოს. ბატონი იუზა რობაქიძეც ასე უყურებს ამ დიდ
სასჯელს, შვილის გარდაცვალებას. ბოლოს ყველა ერთი ცის
სოფელში დაბინავდება. აბა კარგად, გენაცვალე... ილოცეთ
საქართველოსთვის...

ზინ არის სერგი ლომაძე ღა კახა ბაციკაძე

ბრმა უნდა იყო, რომ ორი არაჩვეულებრივი პოეტის
მეგობრობამ არ გაგაკვირვოს. ფიზიკურობით განსხვავე-
ბული და გონებით ერთნაირები სრული ამ სიტყვის მნიშ-
ვნელობით.

ღვარძლით უნდა გქონდეს გული სავსე მათ ნიჭიერე-
ბას არ აღიარებდე, სულით ხორცამდე შეგძრავთ მათი პო-
ეზია, პროზა და მუსიკალური ხმათა დაღადი. არაერთხელ
მინახავს დარბაზიდან მოწყვეტილი ტაშით შეძახილი
„ბრავო“ და ასე შემდეგ. ნებისმიერი მოსაწყენი საღამოს
გამომაცოცხლებლები არიან. მათი გამოსვლა ყველანაირ
თემატიკას უხდება, თითეული საღამოს მათ გარეშე ჰაე-
რის უკმარისობა სჭირს, ანუ ღონისძიება მათ გარეშე
არაფერია.

ლომონოსოვი წერდა: სიმართლე და სარწმუნოება

ორი დედმამიშვილიაო. ისინი ერთი უზენაესი მშობლის შვილები არიანო, რომელთაც არასოდეს ექნებათ ერთმანეთთან უთანხმოება.

კახა და სერგი ერთმანეთისთვის სულის ძმები არიან, რომლებიც არასოდეს იკამათებენ მატერიალურისთვის და მაინც არიან განსხვავებული, სერგი ზედმეტად ემოციურია, როცა ვინმე საუბრობს ის თავჩაღუნულია, ჩასაფრებულია მიმინოსავით, თითეულ სიტყვაზე ხშირად მინახავს სახეზე ეკალაყრილი, ის ემოციებს უწვრილმანეს დეტალებშიც კი ავლენს, თითეულ ადამიანში ამყარებს სულის კავშირს ფიქრით აანალიზებს და მას როცა აზრს ჰკითხავენ, იტყვის ღრმად, ფილოსოფიურადაც, და ადვილად გასაგები ენითაც ახსნის თავის შთაბეჭდილებას, დაგრჩება ასეთი აზრი: მან იცის ფილოსოფია, ფსიქოლოგია და ლოგიკა. მან იცის ლიტერატურის თითოეული ნიუანსი და პატარა დეტალიც კი, საკმაოდ ცნობილი ამირან ლომაძის შვილი სხვანაირი არც უნდა იყოს. პატონ ამირანს თურმე ზედმეტი სახელი „ლმერთკაცი“ ერქვა და რამდენად გამეხარდა ეს რომ გავიგე, რადგან 2003 წელში მე გამოვუშვი პროზაული ნაწარმოები „ლმერთკაცი“ და თოლია“. წიგნის ყველა ქვეთავში სიკეთის თესვაა ჩადებული, ის სამი თავი ეკუთვნის იმას ვინც ჩუმად, ყოველგვარი აფიშირების გარეშე ეხმარება ირგვლივ მყოფებს, თითეულმა ადამიანმა ან თავისი თავი უნდა იპოვოს, ან მიზნად უნდა დაისახოს მადლიანი სიტყვა თქვას, თუ სხვა რამე არ შეუძლია. ასეთი იყო სერგი ლომაძის მამა, ბატონი ამირანი. დედა ქალბატონი კლარა, უაღრესად განათლებული და თბილი ქალბატონია, მაგრამ როგორც თვითონ სერგი ამბობს, ის დეიდას გაუზრდია, ქალბატონ ნანას, რომელსაც ძალიან ხშირად იხსენებს და ამაყობს მისით. სულით ძლიერი და ამავე დროს ზრდილობით სავსე სერგი სწორი აღზრდის გარეშე ასეთ პიროვნებად არ ჩამოყალიბდებოდა და ამიტომ პასუხი ნათელია, აქ უკვე

სხვა ეპითეტი ან კომენტარი სრულიად ზედმეტია.

და მაინც მიკვირს წიგნი „გზა მწვერვალისკენ“ (ლი-ტერატურული პორტრეტი გულნაზ ხარაიშვილისა) რომე-ლიც სერგი ლომაძემ დაწერა. ეს წიგნი ბატონმა რეზო მიშველაძემ ასე შეაფასა: რას გამათენებინეთ ღამეო, ოც-დახუთი ტომეულის ავტორი გააკვირვა მისმა გაზრდილმა ყოფილმა სტუდენტმა სერგი ლომაძემ. ხოლო მეცნიერი ლიტერატურის დარგში ქალბატონი ლუარა სორდიამ ალალად წარმოთქვა ეს სიტყვები, საშუალება რომ მქონ-დეს, სერგის ოქროს კალამს ვუყიდიდიო.

სერგი ლომაძემ შემოალნია ჩემს სულში იქნებ დეიდა „ნანას“ სული დაეხმარა, რომელსაც ძალიან მამგვანებს, იქნებ მისი თვისებები ახსოვს და გაუიოლდა წიგნის დაწე-რა, მაგრამ ო, არა, მაპატიე შვილო. სერგი შენ სულ სხვა-ნაირად ხედავ სამყაროს, შენ სულ სხვანაირად გიხარია და გტკივა, შენ, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი სულის ახალგაზ-რდა ხარ, ვინც ჩემს გვერდში აღზრდილა, იქნებ წარსულ-შიც არ იყვნენ შენნაირი უფროსი თაობის დამფასებელი.

მე ჩემი ცხოვრებით დავამტკიცე, რომ სიკვდილი არ არსებობს, ადამიანის ცხოვრების ხაზი კი არის გზა- მისი-ვე დაბადებიდან მისივე სიცოცხლის მწვერვალამდე.

მერე....

მერე ყველაფერი თავიდან იწყება.

ომი არ მაკლდა, ომი იყო ჩემი ცხოვრება, მაგრამ ჩე-მი გზა უკვდავებისკენ ბრძოლაა, ფრთხილად, მოზომი-ლად, ერთგულებით, სიყვარულით, მიმტევებლობით, ლუქმის გაყოფით, მოზარდი თაობის აღზრდით და ამავე დროს შეუპოვრობით ბედთან ჭიდილში სიკვდილი არა, მხოლოდ გამარჯვება მინდა. გავიმეორებ ჩემი ძმის სიტ-ყვებს ან გარდაცვლილ პოეტ ბეჟან ხარაიშვილის სიტ-ყვებს: „რა დროს სიკვდილია, ჯერ უნდა მკლავი მომჭრა-ნო.“

სერგი ლომაძე ადამიანობისა და ლიტერატურის სახე

სიმბოლოა.

მივუბრუნდები კახა ბაციკაძის პიროვნებას. ქრისტი-ანული ღვთისმეტყველების ფუძემდებელი გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს „ჩვენი ხელმძღვანელი გონებაო“, კახას მბრძანებელი მხოლოდ გონებაა, როდესაც კახას დააინტერესებს ესა თუ ის ღონისძიება ნებისმიერ საკითხზე იმსჯელებს, მშვიდად, აუჩქარებლად, სამართლიანად, მის გრანელისელ სულში პოეზიის ქარიშხალი წამიერად ჩაქრება და მოდის წყარო ცოდნის მდინარისა, ეს ერთი შეხედვით საშუალო ტანის ახალგაზრდა პოეტი ცას სწვდება, ვარსკვლავებს ეთამაშება, თითქოს ეურჩება კიდეც. ასეც არის. კახა ვარსკვლავია აქ მიწიერ სამყაროში, მისივე შექმნილი ლექსებით, მერე საუბრით, ბოლოს სიმღერად აუღერებული სიტყვები საოცრებაა. ერთ ადამიანში იყოს ამდენი ნიჭი იშვიათია. ომარ ხაიამი ამბობს: „სიცოცხლე ჩვენი ერთი მწყობრი ფოთოლცვენაა. „ ეს კარგად ესმის ნიჭიერ შემოქმედს და ამიტომაა, რომ ის ჯერ თვითონ ქმნის სიყვარულის იმპერიას და მერე სხვისგანაც იღებს. კახა ბაციკაძე ერთი ბედნიერი პოეტია, იმ გენიოსთა განსხვავებით, რომლებიც სიყვარულით ატირებულები იყვნენ, მისი ანგელოზივით ფერია ირმა ორი თვალხატულა გოგონების დედაა.

როდესაც რაიმე საკითხი წყდება, ანუ მსჯელობის საგნად იქცევა, კახა ბაციკაძე ისე დამაჯერებლად ლაკონურად გაგცემს პასუხს გაგიკვირდება, თითქოს ფოლადია გრდემლში გამოკვერილი. დიახ! ასეთია კახა ბაციკაძის სიტყვა. ის არის ლიტერატორული წიგნი, რომელშიდაც ყველაფერი ნათქვამია. წიგნი მარადიული ჭეშმარიტებისა. კახა ბაციკაძე ზოგჯერ წერს ყველასათვის გასაგები ენით. ზოგჯერ მისი პოეზია ლაპირინთია. არის რეალურიც და არარეალურიც, ანდა პირიქით იდუმალება, ამოუცნობი. შეიცნო თავი ეს არ არის ადვილი. აქ სამი პირობაა გასათვალისწინებელ:

- 1) როგორ ხედავს ის თავის პიროვნებას;
- 2) როგორ ხედავენ მას სხვები;
- 3) როგორია ის სინამდვილეში.

სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, სიტყვას მარადიული სიკვდილ სიცოცხლესთან ღრმა კავშირი აქვს.

და მაინც ვინ არის სერგი ლომაძე და კახა ბაციკაძე? პასუხი ასეთია, არ ეგუებიან

უსამართლობას, განიცდიან ქვეყანაში გამეფებულ ღვთიური ნიჭით დაჯილდოვებულ პიროვნებების არდა-ფასებას, როცა პროფესიონალი პოეტებია და მათი ცოდნა ამაღლებულია ლიტერატურის დარგში, ამ დროს დაუსაქ-მებელია სხვადასხვა მიზეზთა და კანონთა გამო.

ამ ორი პოეტისათვის, ორი სიკეთის ჰაერით გაზრდი-ლი ახალგაზრდისთვის, მზის დაისა ჩავყვები უსასრულო-ბაში, მზესთან ერთად გავაგრძელებ სიცოცხლეს, მერე მოყვები დილის ცისკარს, სიცოცხლის მზედ გადავიქცე-ვი და გავათბობ მათ პესიმისტურ გულს.

საცალთვეო ხიდი

2016 წლის 15 ნოემბერია, ანთოლოგის მეხუთე ტომზე ვმუშაობ. რთულია კლასიკური და არაკლასიკური ნაწარმოებების ერთად შერწყმა, ყველა დარგის დაყოფა, თემებისა და თაობების მიხედვით, რაიონებისა და სკოლების მიხედვით. დიახ! ასეთი სტილისა და შინაარსისაა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ანთოლოგია და უურნალი „ათინა-თი“. ამჟამად უფრო დიდი აღმართი მაქვეს ასავლელი, ანთოლოგის მეხუთე ტომი უნდა გამოუშვა და იუბილეც უნდა გადავიხადო. ეს იქნება, იმ სიცოცხლეში უკვდავი პიროვნების პატივისცემა, როგორიც ჯუმბერ ლეჟავა იყო.



გოგა ქოქსაძე, კახა ბაციკაძე, გია გერგეშვილიძე, სერგი ლომაძე და ტატო ებანიძე

ძალიან ვცილობ ჩემს მკითხველს კარგი მასალებიც მი-
ვაწოდო და ავტორების შენიშვნებიც გავითვალისწინო. ამას
ისეთი სიფრთხილე უნდა ადიდებულ წყალზე საცალფეხო ხი-
დი, რომ არის გადებული და ეს ხიდი უნდა გაიარო, ხიდს სა-
ხელური არაქვს, თუ წყალში ჩავარდი მორჩა დამთავრდა შენი
ცხოვრება, წყალი წაგიღებს. ათი სამუშაო დღე გამომცემლო-
ბა „უნივერსალში“ დავდივარ, ვატრიალებ წინადადებებს, ვაა-
ნალიზებ, ვფრთხილობ...“

სალამოთი კახა ბაციკაძემ დამირეკა ჯავახიშვილის უნი-
ვერსიტეტის მეცნიერებების კორპუსში, სალამოს ექვს საათზე ღო-
ნისძიება გვაქვს დაგეგმილი, ძალიან გაგვეხარდება თუ მოხ-
ვალ. დაფიქრების გარეშე ვუპასუხე აუცილებლად მოვალ.
ერთი საათის პერიოდში სტამბიდან დამირეკეს, შენი ძმის
წიგნები მზად არის და უნდა გაიტანო. შევფიქრიანდი, დრო-
ში ვერ ჩავეტევი ალბათ. მერე ისევ ჩემს თავს შემოუძახე,
უნდა მოვასწრო, კახაში და სერგიში ხომ შენი შვილის სიყვა-
რულს კლავ. შვილისა, რომელიც ცის ბინადარია.

გამომცემლობიდან წიგნები აკადემიაში წავიღე, ჯუმბერ
ლეჟავას სახელობის აკადემიაში, რომელსაც მე ვხელმძღვანე-
ლობ. ორი პოეტი მოვიდა მანანა ზაზიკაშვილი და ნაირა ნი-
ჟარაძე, იმსჯელეს ახალ მასალებზე. დიდი ხანი არ გაჩერებუ-
ლან, შემატყვეს, რომ მეჩქარებოდა, სამი ცალი წიგნი ხელ-
ჩანთაში ჩავდევი და წერეთლიდან ვაკეში გავბრუნდი, ნაირა
ნიჟარაძეც გამომყვა. ავედით კიბეებზე და მესმის სერგის ხმა

გიორგი ზუხბაიას რაღაცაზე ესაუბრება. კახა ბაციკაძე დაბლა ჩამორბის, ეტყობა ვიღაცას უნდა დახვდეს, შემნიშნა თბილად მომესალმა და სერგის ასძახა, გულნაზი ხარაიშვილი მოდისო, ეს ჩვეულებრივი შეძახილი არ იყო, ეს სიხარულის, აღტაცების შეძახილი იყო. ბიჭებს მეც დედაშვილური სითბო ვაგრძნობინე და დარბაზში შევედი. ქალბატონი ნაირა ნიჟარაძე და მე წინა რიგში დავსხედით.

ლონისძიების დაწყებას ნახევარი საათი აკლდა. დრო არ დავკარგე და ხელჩანთიდან ისევ გასასწორებელი მასალები ამოვიღე და ისევ, ჩემს საქმეში ჩავიკარგე. უკანა რიგებში ნაცნობი ხმები გავიგონე, დავინახე კახა ბაციკაძის მეუღლე და ქალიშვილები. ირმას ამ ულამაზესი ფერია გოგოს თითქმის სიმაღლით უტოლდებოდა თავისი ქალიშვილი. დარბაზი ისე გაივსო სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდებითა და ასაკიანი პიროვნებებითაც ვერც გავიგე.

შესრულდა ექვსი საათი, სცენაზეა ბიჭები, სერგი ლომაძე ხსნის საღამოს ლონისძიებას. დაიწყო რაღაც ამაღლებული, არაამქვეყნიური, ვგრძნობდი მინა მეცლებოდა, ჰაერში ვფრინავდი. სცენაზე დაფენილ წითელ ფერებში გახვეულნი



იყვნენ კახა და მისი მეგობრები, ჰერუფ „ზღვარელები“. ცეცხლის ალში იყო გახვეული დარბაზი, იყო შეძახილები: კახა, კახა, კახა, დარბაზი ემოციებს არ მალავდა. მე პირადად თვალებში ცრემლი არ გამნელებია, ჯერ ჩემი შვილივით საყვარელი კახასი და სერგის წარმატებებით და მერე მოგონებები წარსულიდან გვერდით არ მშორდებოდნენ. გამახსენდა ჩემი აწ გარდაცვლილი ძმა ბეჟან ხარაიშვილი 18-19 წლის სტუდენტის პოეზიის საღამო ჯავახიშვილის უნივერსიტეტის იმავე დარბაზში,

იმავე სართულზე სადაც ჯგუფ „ზღვარის“ სალამო მზის ნაპერწკლებს აფრქვევდა, ხალხით გაჭედილ დარბაზშიო არ წყდებოდაო ბუნებრივად მოწყვეტილი ტაშის ხმაო ხშირად წერს და საუბრობს ლევან ბაბუხარდია ბეჟანის თანაურსელი.

ხელები დავამტვრიე ტაშის ცემით ასეთი გაუწონასწორებელი ჩემი თავი ალბათ არასოდეს მინახავს. გარედან თითქოსდა არაფერი მემჩნეოდა, შინაგანად ადამიანად აღარ ვარგოდი.

ჯგუფი „ზღვარი“ 2016 წლის 15 ნოემბერს არ ჩამოყალიბდა, მას უკვე დიდი ისტორია აქვს, ამ ახალგაზრდების არ დამნახველები ალბათ მართლაც ბრძები არიან, ესენი დიდი ხანია ლიდერებია, პოზიციაში და მუსიკაში, ამას ყოველთვის ვგრძნობდი რომ ისინი ჩვეულებრივი არ იყვნენ, ისინი ყოველთვის არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებებს სტოვებენ, ყველა შეხვედრაზე. მაგრამ იქვე იმ დღეს მებადებოდა ერთი კითხვა, ხუთი წელიწადია აკადემიაში ჩემს გვერდით ტრიალებენ, კი შეუქმნიათ, წიგნები, უმღერიათ, სიტყვა უთქვიათ, უფროს-უმცროსის გარჩევაც არ ეშლებათ, მაგრამ ასეთები?.. მე ჯერ არ მინახავს. იმ დღეს მე არაამქვეყნიურ ახალგაზრდებთან მქონდა ხილვები.

ფიქრში ამოტივტივდა ბატონი რეზო მიშველაძის სიტყვები, როდესაც სერგი ლომაძემ ჩემზე წიგნი დაწერა, „გზა მწვერვალისკენ“ იმხელა მაღალფარდოვანი ეპითეტები ჰქონდა ჩემი პიროვნების შესაფასებლად არ მესიამოვნა, შევშინდი და პირველად წიგნი ბატონ რეზოს გავუგზავნე, ვიფიქრე თუ ნაიკითხა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარისგან შენიშვნებს ავიტანდი. დამირეკა და მითხრა: რას გამათენებინეთ ლამეო, სერგის ათიანს ვუწერო. რათქმაუნდა გამეხარდა, მაგრამ მაინც ზედმეტად ვთვლიდი სერგის შეფასებას. გადავწყვიტე ლუარა სორდიასათვის გამეგზავნა წიგნი. ამ ქალბატონს გააღაქტიონ ტაბიძეზე შვიდი წიგნი აქვს დაწერილი. ლუარას შეფასება ასეთი იყო: ფული, რომ მქონდეს სერგის ოქროს კალამს ვუყიდიდიო. მე უფრო მეტ რამეს ვხედავ შენში, მაგრამ ამას ჩემთვის ვინახავ, მე უნდა დავწერო შენზე წიგნიო.

ასეთი მაღალზნეობრივი ახალგაზრდა დირიჟორობდა, იმ ცეცხლის საღამოს, სერგი ლომაძე. თითეულ შემსრულებელს შენიშვნებს აძლევდა, ნუთუ სერგიმ ყველა ის ინსტრუმენტი იცის რაც იმ საღამოზე იყო გამოყენებული?... ოხ! სერგი მიუხედავად ჩემს გვერდით ტრიალებ, მაინც ამოუცნობი რჩები, ზღვის კაპიტანო.



კახა ბაციკაძე და მარიამ ლურსმანაშვილი

კახა ბაციკაძე, რომელიც ყველა ღონისძიებაზე გამოირჩევა თავშეკავებით, მუსიკალური ცოდნით, ტაქტით, პოეზიით თითქოსდა არაფერი უნდა გამკვირვებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, იმ დღეს კახა ბაციკაძე პოეზიის ალში მოპრიალე დავინახე. იმ დღეს კახა მსახიობი იყო, ვხედავდი ხელებისა და მთელი ტანის მოძრაობით ასრულებდა სიმღერას. ერთხანს ვიფიქრე თუ გაჩუმდა, მაინც მივხვდები რასაც მღერის. ეს იყო პოეზიისა და მუსიკის აალებული ცეცხლი რომელიც მზის სხივებივით ბრწყინავდნენ.

გვერდით პოეტი ანი ბეინიშვილი იჯდა ხშირად მეუითხებოდა, გულნაზი თქვენ ტირით? მე ვერ გრძნობდი, ვტიროდი?... იქნებ სიხარულის ცრემლები მცვიოდა.

არასოდეს არ ვყოფილვარ არავის მიმართ ოპოზიციური, პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, პოლიტიკა პოლიტიკოსების საქმეა, მაგრამ იმ დღეს როცა ეს საღამო მიმდინარეობდა

ჩემს თვალში ყველა პოლიტიკოსი გაქრნენ, ღრუბლებს შეე-რიენ და სეტყვად მიმოიფანტნენ ჩემს სულში. იცით რატომ? ამერიკიდან და უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულებისთვის მილიონებს ხარჯავენ არადა აგერ ჰყავთ ვარსკვლავები.

ეს ბიჭები გაიყვანონ იქ სადაც ქვემეხებს ისვრიან, შეასრულებინონ „იესო,” „პოეტი,” „ობობა” და სხვა რაც ვიზილებ და რაც მოვისმინე დარწმუნებული ვარ ქართულ ენაზეც შესრულებულ სიმღერებსაც ისე აიტაცებენ უცხოელები, როგორც საკუთარ ჰიმნს. მტრები დაგვიმოყვრდება და ეკონომიკურადაც მოვძლიერდებით. გამახსენდა ჩემი ლექსის ამონარი-დი „ვჯავრობ, რომ ვცხოვრობ საშინელ დროში.”

თუმცა მე არავარ ოპოზიციონერი მე ბრმა პოეტი ვარ, რომელიც მხოლოდ სიკეთეს ხედავს, რომელსაც სიყვარული შეუძლია. დიახ! ბრმა აქამდე ვიყავი, ახლა თვალები ამეხილა და მთელი ლამე „ანთოლოგის” გამოშვებით გადალლილმა წე-რაში გავათენე, ნუთუ „ჩემი ბიჭების” პატრონები არ უნდა გამოჩნდნენ? რა მოვიფიქრო თავი მისკდება.



გოგა ქოქსაძე და კახა ბაციკაძე

2016 წელი 15 ნოემბერი, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის
მერვე კორპუსი. ეს უნივერსიტეტი ყველა დროში იყო და ეხ-
ლაც არის პრესტიული უნივერსიტეტი.

და ბოლოს სერგი ლომაძისა და კახა ბაციკაძის მეგობ-
რობა, ლიტერატურისმცოდნეობა, პოეზია, როკმუსიკა ყველა
დროს გაუძლებს, თუნდაც არ დაინახინ, არ დააფასონ და ძა-
ლით თვალები დაიბრმაონ.

ვწუხვარ საქართველოვ! ვწუხვარ იმიტომ, რომ უნიჭობს
აფეტიშებენ და ნიჭიერებს ამუნჯებენ.



ჩშენო მუზეუმი

ჩვენო მუზეუმი, დიდია სიყვარული რაც ხალხში დატოვე, ძალზე დიდი. შენ კვლავ ჩვენთან ხარ ჩვენში დარჩი, სამუდა-მოდ. ერთი დღე არ გასულა რომ არ გვახსოვდე.

სიცოცხლეშივე მზედ ბრწყინავდი შენი სიმშვიდით. ახლა სიონში განისვენებ ოლიანდრებთან.

როს ჩემში წვიმდა, გულის დარდებს გადაგიშლიდი ვძლიერდებოდი... და ვომობდი, ბედის ავლრებთან.



არაფრის აღარ მეშინოდა, შენით სიკვდილზე გავიმარჯვე, დავამარცხე, მოყვალი, შენ მიქადაგებდი ყოველთვის ამაზე. ახლა დამიშორდი ფიზიკურად, სულიერად ჩემთან ხარ, ვგრძნობ რომ მარიგებ, ლექსებს მიყვები, მერე როლებს ვცვლით და მე ვკითხულობ შენს ლექსებს, როგორ მოკრძალებული იყავი ამიტომაც იყო, რომ თვით უფალი მოვიდა და თავისთან მიგიხმო, რა კარგი სახლი შეგახვედრა ბედად, სიონის ეკლესია, ოლიანდრებში ჩაკარგული სამუდამო სახლი. ყველა ახალი ნომერი შენთან მოგვაქვს და ღინისძიებას ვატა-რებთ აკადემიის წევრები, შენი თამრიკო (მეუღლე) შენი გო-

გონები, შვილები, შვილიშვიები, ჩვენთან ერთად იყვნენ და ეფერებოდნენ შენს საფლავს. წავიკითხეთ შენი ლექსები. ბე-ლა ალანიამ იასამნების თაიგული მოგიტანა. ლექსიც წაგი-კითხა, მოგეფერა ლამზირა შეყილაძე თავისი ქარაგმული სიტყვებით.

ყოველ დღე რუსთავიდან მიწევს თბილისში სიარული. ვიცი, რომ როდესაც სიონს მოუახლოვდები მხედავ, მიცავ ბოროტთა და მავანთა თვალისაგან, მეც მშვიდდები და ძალა მემატება.

შენს საუფლოში, წმინდანები სახლობენ მხოლოდ და ლოცვით მოძღვრავთ დატოვილ მიწას საქართველოსთვის ეს იყოს ბოლო, არ აგვიტირდეს გაგრა და რინა.

ვიცი და მჯერა დიდუბის პანთეონში ხშირად დადიხარ, რადგან იქ პოეტები განისვენებენ, იქ ჯუმბერ ლეჟავაა, იქ რეზო ჩხეიძეა ჩვენი აკადემიის წარმომადგენლები, ისინი სხვადასხვა პროფესიის დიდი ადამიანები იყვნენ, ერთი რეჟი-სორი, მეორე ლეგნდარული მოგზაურ- ფილოსოფოსი. ხში-რად მსჯელობთ ალბათ, მერე კი ლოცვას აღავლენთ პანთე-ონში, ამიტომაა რომ ვძლიერდები დიახ, ეს ასეა.



წარა ნიუარაძე, გულწაზ ხარაიშვილი, ელა ალანია



შენ სულ სხვანაირად ხედავ სამყაროს

გაივლის წლები, საუკუნეები. მეუფე თადეოზის (მირიან იორამაშვილის) სახელი მიწიერ ქვეყანაშიც იარსეპებს, როგორც სიკეთის მთესველი, თავმდაბალი, ლექსით მღლოცველი და სამშობლოს ტკივილებით სულატკივებული მეუფე-პოეტისა, უფლისა და ერის წინაშე რომ იჩუქებს იგი ლექსით შეს-თხოვს იესო ქრისტეს,

„უფალო დიდება!

სული მშვიდდება,

გული ხალისით ცად აფრინდება“.

„მე ვარ ანი და მე ვარ ჰოე“ – ბრძანებს უფალი (წმინდა იოანეს გამოცხადებიდან). მეუფე თადეოზი ჰოეზის ენით ევედრება უფალს:

„შენი ტკბილი წყალობა

არ მოგვაკლო, უფალო...

მართალ რწმენის სიმაღლით

სულ გვამყოფე უბრალო...“

სამოთხე – ეს სულის სიყვარულია ღვთისადმი და ღმერ-თის სულისადმი. სამოთხე – ეს სიყვარულის სხივებია, ყოვე-ლი წმინდანისაგან რომ გამოდის.

მეუფე თადეოზი ლექსით მოგვიწოდებს, რომ კეთილნი ვიყოთ, რომ მივუტეოთ ერთმანეთს გულისტკენა.

თუ კეთილი ვიქწებით, თუ განგებამ ინება, უფლის მად-ლი, წყალობა მზეებრ მოგვეფინება, ან კიდევ:

„უფლის კეთილმა თვალმა დაგვხედოს

და შეგვიწყალოს მუდამ,

უკვდავებაზე უფრო ლამაზი

ნატვრა გულს რაღა უნდა.“

ცათა სასუფეველი იმ ბადეს ჰგავს, რომლითაც ზღვაში ყველანაირი თევზი დაიჭირეს. როცა ბადე გაივსო, ის ნაპირ-ზე გამოათრიეს, დასხდნენ და კარგი თევზი ჭურჭელში შეაგ-როვეს, ხოლო ცუდი – გადაყარეს.

ნეტარი თეოფილაქტე ამბობს:

„ეს იგავი გვიჩვენებს, რომ ჩვენ რწმენაც რომ გვქონ-

დეს, თუ კეთილი ცხოვრებით არ ვიცხოვრებთ, მაინც ცეცხლში ჩავცივდებით. ბადემ ყველა რჯულის ხალხი შეაგროვა – ბარბაროსები, ელინები, იუდეველნი, მექავნი, მებაჟენი და ავაზაკები. როცა საწუთო დაასრულებს თავის არსებობას, თუ ცუდები აღმოვჩნდებით, შორს გადავცვივდებით, კეთილები საუკუნო საცხოვრებელში იცხოვრებენ.“ მეუფე თადეოზი ამბობს:

„ბედნიერი ხარ, თუ გადაურჩი
ამაოების დამღუპველ ჭიდილს,
თუ მოჩვენებითს, სამართლად ურჩი
წარმომავლობის აჩრდილად თვლიდი.“

ან კიდევ:

„ღმერთმა დაგლოცოს, კეთილო,
ღვთიური მადლის მთესავნო
ეგ მოწყალება დაგიხსნის
დიდი განკითხვის დღესაო.“

გიორგი წერეთელი ამბობს: ქართულ სიტყვაში ყოველ-თვის გამოირჩევა ერთი მარცვალი არტიკულაციის სიძლიერით და ტონის სიმაღლით, განსაკუთრებული პათოსით, თუ ფსევდო პათოსით წარმოთქმულ რიტორიკულ მეტყველებაში. მეუფე თადეოზის ლექსებში გამოირჩევა უშმინდესისადმი მიძღვნილი ორსტროფიანი ლექსი:

„გიხაროდენ! გიხაროდენ! გიხაროდენ!
მწყემსო დიდო!

ცხოვრებისა მოსურნეთა საიმედო

გზავ და ხიდო!...

მცველო ჭეშმარიტებისა და ქომაგო
ჭეშმარიტო...

წუთისოფლის ღელვათაგან არ
იმღვრევი ღვთისგან მშვიდო.“

მეუფე, სასულიერო მოღვაწის მძიმე ტვირთან ერთად ღირსეულად ატარებდა ქართველი პოეტის ტვირთს.

ჩვენო საყვარელო მეუფეო, შენ იყავი ის პიროვნება, რომელიც ახარებდა მრავალი ადამიანის გულს და ცდილობდი

ყველას უფლის სიყვარული ჩანერგოდა.

შეზღვრა ორმოცდაცხრა წლის შემძიგ

2016 წლის ივლისის ბოლოს უურნალ „ათინათის“ მეორე ნომერი გამოვუშვი. აგვისტოს ცხელი პაპანაქება დღეები იყო დაწყებული. უურნალის პრეზენტაცია გავაკეთე და ღონისძიების ჩატარების ბოლოს პოეზიის ცეცხლით ანთებული თვალები შემეფეთნენ. მანანა ზაზიკაშვილის საყვედურის ქარცეცხლში მოვხვდი. ეს ის პოეტია, დილიდან რომ დააწყებინო ლექსების მოყოლა, საღამომდე არ გაჩერდება, თუ არ გამოეცელე, ღამესაც გაგათევინებს. ჩამიტარეთ პოეზიის საღამო მთხოვა. თქვენ? გაკვირვებით შევხედე, დიახ! მე. არა გენაცვალე, რადგან ამ სიცეში არ გინდა დამასვენოთ, მაშინ ხუთ პოეტს ერთად ჩაგიტარებთ პოეზიის საღამოს. დამთანხმდა. პოეტებიდან ავირჩიე: ცისნამი უტარაშვილი, ახალი შემოსულია ჩვენს აკადემიაში გურამ გედევანაშვილი, ეს პიროვნება, დიდი მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია, მითოსურ ზღაპრებში მუშაობს, სხვათაშორის ბატონ გურამის ვურჩიე, რომ საღამოზე მხოლოდ პატარა ლექსები წაეკითხა, მაგრამ თვითონ გადაწყვიტა პოემის სტილის ლექსების წაკითხვა. ნაირა ნიუარაძე, ეს ქალბატონიც ახალი მიღებულია აკადემიაში, არაჩვეულებრივი ქუთაისელი ქალბატონია, მეტად ერუდირებული და განათლებული პიროვნება. ლამზირა შეყიდას ეგმონირჩევა, თავშეკავებულებით, სინაზით და ქალური სათნო პოეზიით. თუმცა მის ლექსებში ზოგჯერ პოეტური ჟინის ცეცხლიც ანთია.

ღონისძიების დამთავრების შემდეგ, ერთ-ერთმა პოეტმა გაზითში დაბეჭდილი ლექსები მომაწოდა. იმ წუთში ლექსებისთვის არ მეცალა, საღამოთი სახლში მისვლის შემდეგ პირველ რიგში, უცნობის ლექსები წავიკითხე. ყველა ლექსი იყო პროფესიონალი პოეტის დაწერილი. ავტორით დავინტერესდი. მას სათაურთან ერთად ტელეფონიც ქონდა მითითებული, გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული) დავურეკე, გამოვკითხე, რომელი რაიონიდან იყო, აღმოჩნდა ზნაურის რაიონის სოფელ ახალშენიდან, გამახსენდა, რომ ზნაურის რაიონში ჩემმა მაზლისცოლმა დაამთავრა საშუალო სკოლა, იზოლდა

ტეფნაძემ. ცოტა ხნით ჩავთიქრდი, თვალწინ დამიდგა გრძელნაწნავიანი, თეთრი ბაბთით ჩემი მაზლისცოლი ის იყო ძალიან ლამაზი, როცა თავისი ბედი ჩემს მაზლს დაუკავშირა. სინანულით მახსენდება ის დღე როცა სალონში წავიყვანე, გრძელი თმები შევაჭრევინე და დავახვევინე, არ მოუხდა, რა-ლა მექნა თმებს ხომ ველარ მივაპამდი, ახლაც ვნანობ... ღმერთმა ხომ იცის კარგი მინდოდა მისთვის. გამახსენდა მას-თან გატარებული ყოველი წუთი. ეს იყო სიყვარულისა და ერ-თგულების დღეები, თვეები და წლები. ამ დიდმა პატივისცემამ უკვალოდ არ ჩაიარა, ლამაზი ჩანახატი გავაკეთე ჩვენი თბილი უერთიერთობიდან გამომდინარე და უურნალ „ათინათში“ და ანთოლოგიაში შევიტანე, დღესაც და ოდითგანვე მაზლისცო-ლები უარყოფით პერსონაჟად მოიხსენებიან, ზღაპრებში თუ რეალურ ცხოვრებაშიც. არადა ორი სხვადასხვა ოჯახიდან გათხოვილი შვილები ერთმანეთის სიყვარულში უნდა ატარებ-დნონ სიცოცხლის წლებს.



მარცხნიდან: დარიკო ხარაული, იზოლდა ტეფნაძე, მანანა მაისურაძე, გურამ ნადირაძე, იმერი ბეგიაშვილი, მზია, ლექსო დილებაშვილის მეუღლე.
მეორე რიგში: როლანდი დეკანოზიშვილი, ნუგზარ ქელებსაშვილი,
გერონტი მესხი და ლექსო დილებაშვილი.

ანთოლოგიის მეოთხე ტომი გადმოვიდე და ის გვერდი გადავუშალე, ბატონ გერონტიის, სადაც ჩემს მაზლისცოლზე ეწერა. სურათს დახედა, ჯერ სიხარული აღიძეჭდა მის სახეზე და მერე გაკვირვებაც თბილი სიტყვების წაკითხვის შემდეგ. კარგახანს ჩაფიქრებული ათვალიერებდა ექვსას გვერდიან წიგნს ხელში. ეტყობოდა თავის ფიქრის სკივრიდან ამონშა-ლენ დღეები წარსულისა. მამაკაცური სიძლიერესთან ერთად ტკივილის ფერიც დათამაშებდა ომ გადახდილ პოეტს, რო-მელსაც მშობლები სეპარატისტებმა დაუხოცეს. სახლი კი და-უწვეს.



ნანი მაჭარაშვილი (ცურაშ ნადირაძის მეუღლე), გულნაზ ხარაიშვილი და
მანანა მაისურაძე („ვის უნდა ოციათასში“ გამარჯვებული

ბატონი გერონტი მესხის ლექსები დავბეჭდე ჟურნალ ათინათში. რამოდენიმე დღის შემდეგ დამიკავშირდა და მითხრა: ერთ-ერთი ჩვენი კლასელია ჩამოსული ესპანეთიდან და კლასელები ვიკრიბებით, გააგებინე იზოლდას და შემოგვიერთდესო. რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია მივაწოდე იზოლდა-საც. ეს დღეც დაიგეგმა, თბილისში რესტოანში „იმერული ეზო“. რა თბილი და მეგობრული იყო მათი შეხვედრა, სათო-თაოდ იხსენებდნენ თავიანთ თავგადასავალს აქ იყო ოსი ნუგზარ ქელებსაევი და იყვნენ ქართველებიც თავიანთი მე-უღლებით, მათ არ ახსოვდათ ომში მომხდარი, ხოცვა-ულეტ-

ვა, სადაც ორი ერთმანეთის მირონშერეული ნათესავები სამ-ტროდ განაწყო ბინძურმა პოლიტიკამ. აქ იყო კლასის მეგო-ბარი ქალბატონი მანანა მაისურაძე, რომელსაც მთელი სა-ქართველო იცნობს. მან პირველმა მოიგო ბატონ დუტა სხირ-ტლაძესთან ოციათასი, ასეთი ნიჭიერი პედაგოგის აღზ-რდლები იყვნენ ჩემი მაზლის ცოლის შვილი რამაზ სხირტლა-ძე და ჩემი შვილი გელა სხირტლაძე, რომელიც იმ ლამაზ დღეს, ცის სოფლიდან დაჰყურებდნენ ცრემლიან დედებს და თავის საყვარელ პედაგოგს, ქალბატონ მანანა მაისურაძეს.

ეს დაუვინწყარი დღე გაგრძელდება 2017 წელს, სადაც ალინიშნება სკოლის დამთავრების ორმოცდაათი წელი. მათ მეც თავის მეგობრად გამითავისეს, რადგან მათი ტოლი ვიყა-ვი, 1950 წელში დაპადებული, იყო ძალიან თბილი და ტკბილი დღე, მეტ ყურადღებას იჩენდნენ ჩემი მაზლის ცოლის მი-მართ, რადგან ის მათგან განსხავებით ცრემლიანი, შვილგარ-დაცვლილი დედა იყო.



გერონტი მესხი, ციცო გრიგალაშვილი, იზოლდა ტეფნაძე და ლინერი ბედიაშვილი

არ შემიძლია სითბოთი არ გამოვყო ოსი ეროვნების ნუგ-ზარ ქელებსაევი თავისი ლამაზი, განათლებული, სიმპატიური მეუღლით, დარიკო ხარაულით, ბატონი გურამ ნადირაძე, თა-

ვისი იმერელი მეუღლით, რომელიც ჩემი ნათესვი გამოდგა საჩხერიდან, ნანი მაჭარაშვილი.

და ბოლოს, უურნალმა „ათინათმა“, რომელიც წმინდა ნინოს ხატით სუნთქავს, ასეთ მეგობრობას კალთა გადააფაროს და ერთმანეთის სიყვარულით გულანთებულები, ოსი და ქართველი მეგობრები ერთად შეერწყმნონ, მათ არაფერი არ აქვთ გასაყოფი. დაე, მათი შეხვედრის შემდეგ აღსდგეს ჩატეხილი ხიდი. მოიშალოს მავთულხლართები, რადგან ესეც ბიზნესად გადააქციეს. დაიჭერენ ისევ აქეთ, თავიანთ ეზოებში, საძოვრებზე თუ ბალებში და გარკვეული საფასურის სანაცვლოდ უშვებენ... აი, ლეკიანობა, აი, ბიზნესი ოცდამეერთე საუკუნისა და ჩემი ან გარდაცვლილი ბეჟან ხარაიმვილის დაკარგული რომანის სათაურით დავამთავრებ ამ ჩანახატს მაინც „სად მარხია ძალლის თავი“?



ტურქული ფოთლობი

მივიხედ-მოვიხედე და მივიწყებულ ფიქრთან შევჩერდი. იმედმა ჩაფიქრებული და- მინახა, გამესაუბრა – რა გაწუხებსო – მკითხა.

ყვითელი ფოთლები მაწუხებს, ყვითელი ფე- რი ჩემში ცუდად ასო- ცირდება კრძალვით მი- ვმართე იმედს.

ეპეპე! შესძახა იმე- დმა ყინვისაგან დახრუ- კულ ფოთლებს, გაუზაფ- ხულეთ, გაუფურჩერეთ სულის არე პოეტს. „გადა- ნეკერდით“ სანამ დროა მიეშველეთ. დროში ინვე-



ბა, რას დაფრინავთ ქარის მიმართულებით. ქარი არ დაგინ- დობთ. პოეტი ქალია, ყველას ეფერება, თქვენ კი აღმა-დაღმა დაეხეტებით, შეხედეთ ქარმა გაძარცვა ხეთა ტოტები, თქვენც ძირს ჩამოგყარათ, ხალხის ფეხის სათელად. დაიბრუ- ნეთ პირვანდელი ბედნიერება, კვირტად იქეცით, აი, თოთო ნეკერს, რომ ეძახიან ისე. „გადანეკერდით“.

იმედო, ჩვენ ჩვენი დრო მოვჭამეთ, ძირს ჩამოგვყარა თოვლმა და ყინვამ. იძულებული გავხდით ბედს მივნდობო- დით, ქარს გავყოლოდით რათა ცოტა ხნით მაინც შეგვენარ- ჩუნებინა პირვანდელი სახე. დაბლა ხალიჩად როდესაც დავე- ფინეთ, ფეხით შეგვდგა გამლელი და გამომვლელი მერე წვი- მით გვერდები დაგვისცელდა. პოეტს რა უშავს ლექსებთან ჩურჩულებს. სალამოს ლექსის მკლავებთან მიწვება და მიიძი- ნებს.

საუბარში ჩამეძინა. სიზმარში ბედი ვნახე, ბედმა ცინიკუ- რად გამიღიმა და საცვედური პირში მომახალა. იმედს რას ეწუნუნებოდი, ჩემთვის გეთხოვა გაზაფხულება, ყველა განა-

ჩერნი ჩემთან იწერება არ გინახია? იანვარში, მზის სხივებით დედამიწა ისე გამითბია, ხეებს კვირტები გამოუსხამს, მერე, გაფურჩქნულა და ნაყოფითაც დახუნდლულა.

გამახსენდა სკოლის პერიოდი, ერთხელ იანვარში ისეთი სითბო იყო, ირგვლივ ტყე და მინდვრები, ყველაფერი აყვავ-და, ატამი, ვაშლი და მსხალი, მერე ხეხილმა დაიყვავილა, ნა-ყოფი გამოისხა, სკოლიდან დაბრუნებისას, ბავშვებმა მეზობ-ლის ვაშლები მოიპარეს. ისიც გამახსენდა, რომ მე არასოდეს არაფერი არ მომიპარია.

გამეღვიძა, სიზმრის შინაარსი გავაანალიზე და ისევ ლექსებს მივუტრიალდი რომელიც არასოდეს მღალატობს, ხან ზაფხულში მამყოფებს და ხან ციგით დამასრიალებს ზამ-თრის სუსხიან ამინდში. ბედისწერის უფრო ვიწამე ვიდრე იმედის. მაგრამ იქვე სხვა ახსნაც მოვუძებნე ფიქრის კორიან-ტელს. ბედისწერას წინასწარ ვერავინ გაშიფრავს, ვერავინ გაანალიზებს იმედი კი არასოდეს არ უნდა დაკარგოს ადამი-ანმა, მერე დავადგინე. ბედისწერა და იმედი უსათუოდ დაძმა-ნი არიან. ლექსი? სულის სიმშვიდეა, ჯანმრთელობაა, სიყვა-რულია, ახალგაზრდობაა, ისტორიაა, მეცნიერებაა, ხელოვნე-ბის ყველა დარგია.

ეჟეჟე! შევძახე მთებს და კმაყოფილი ლექსის ზღვაში გავუჩინარდი.



სისარულის გენმი

2017 წლის თექვსმეტი თებერვალი რუსთავის მეჩვიდმეტე საშუალო სკოლა წინა დღით დამირეკეს მეორე „ა“ კლასის პედაგოგი ქალ. მაია გეგეჭკორი და მეექვსე „ა“ კლასის პედაგოგი ირმა იოსელიანი სკოლაში მისვლას მთხოვდნენ. თექვსმეტ თებერვალს მსოფლიოს მაშტაბით წიგნის კითხვის დღეს აღნიშნავენ და ჩვენი წვლილი გვინდა შევიტანოთ ამ მეტად მნიშვნელოვან დღესთან დაკავშირებით.



თხუთმეტში ჩემი მეგობრის ლამზირა შეყილაძის პოეზიის საღამო მოაწყვეს რუსთავის ბიბლიოთეკაში. ძალიან თბილი და ლამაზი საღამო ჩატარდა თბილისიდან ჩამოსულები

იყვნენ ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის წევრები, ყველამ დიდი
სითბო გამოიჩინა პოეტის მიმართ.

თექვსმეტში აუცილებლად სოფელში უნდა წავსულიყავი,
რისთვის? ამას არ დავწერ მტკიცნეულია ამის თქმა ჩემს გარ-
დაცვლილ შვილს ეხება და თავს შევიკავებ. პედაგოგს თან-
ხმობა უთხარი მოვალ ყოველ მიზეზის გარეშე.

მარტო წავედი არავინ შემიწუხებია, კარებში თბილად
შემხვდენ პედაგოგები. დირექტორი ვიკითხე ქალბატონი ნელი
ლიქოკელი მითხრეს თავის ოთახშიაო და გზა გავაგრძელე.

ქალბატონი ნელი ნაზი ქალური სიდარბაისლით შემეგბა
და ცოტახნით საუბარი გავაგრძელეთ. მოვიკითხე ყოფილი
დირექტორი ქალბატონი გურანდა სირბილაძე, ახლა იგი სას-
წავლონანილია, აღსანიშნავია მათი ურთიერთობა, ტკბილი-
მეგობრული, მათვის სკამი არაფერს ნიშნავს მთავარი ბავ-
შვების აღზრდა და ერთმანეთის პატივისცემა, ქალბატონ
გურანდას გაკვეთილი ქონდა, ამიტომ მისი ნახვა არ შედგა.

გადავინაცვლეთ აუდიტორიაში სადაც ტარდებოდა ლო-
ნისძიება.

მეექვსე კლასი და და მეორე კლასი იყო გაერთიანებუ-
ლი, მეორე კლასელები სკამებზე ისხდნენ, დიდები ფეხზე,
მაგრამ ერთ მთლიან ჰარმონიას ქმნიდნენ.

მეორე კლასის ყველა მოსწავლეს ჩემი სურათი ხელში
ეკავათ და სურათის მეორე მხარეს ამონერილი ჰქონდათ ჩემი
ლექსები. ლექსები იყო ყველა პატრიოტული, ასეთი სიხარუ-
ლი არცერთ ლონისძიებაზე არ მიგრძნია, ესენი იყვნენ პატა-
რა ანგელოზები, რომლებიც ჩემს სულში იყვნენ, მამშვიდებ-
ლენ და თითქოსდა მეუბნეოდენ, ჩუ, ნუ სტირიო ქალბატო-
ნო, შეხედე როგორი ბიჭი ეზრდება შენ გელასო. ვიჯექი და
ეს სიტყვები ყურში ჩამესმოდა, პედაგოგი მაია გეგეჭკორი
ფიქრის ლოცვებში გავახვივი. ხოლო მეექვსე „ა“ კლასის პედა-
გოგი ირმა იოსელიანი, ქების მწვერვალზე ამაყად დასეირ-
ნობდა, რადგან ოცდამეერთე საუკუნე კომპიუტერის ხანაა,
თითქმის ოთხმოცი პროცენტი მოსწავლეებისა კომპიუტერე-
ბით სარგებლობენ, უფრო მეტიც კომპიუტერში სწავლობენ,
ან ამზადებენ თემებს. „კომპიუტერი კარგიცაა და ცუდიც.“

ცუდი იმიტომ, რომ ის უარყოფითად მოქმედებს თვალებზე და თითქმის მთელ ორგანიზმზე, ამიტომ სასურველია, გამოიყენონ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ამ ღონისძიებაზე პედაგოგის მთავარი ლაიტმოტივი დათმობილი იყო წიგნის კითხვას, მეექვსე „ა“ კლასის მოსწავლეებმა წაიკითხეს სხვა-დასხვა მწერლის ნაწარმოებები. იყო საშუალო და ძლიერი წამკითხველები, რომლებსაც დაულოცავ გზას წინ, მწვერვა-ლებისაკენ.



ხოლო მეჩვიდმეტე სკოლის დირექტორის თვალებიდან მზის ათინათები იფრქვეოდა ირგვლივ, თბილი ხელმძღვა-ნელები ამ დროში იშვიათობაა, ქალბატონი ნელი ლიქონელი ერთ-ერთი გამორჩეული ქალბატონია, მის სულში მზეა და

სითბოს ყველა ბავშვს უნაწილებს ამ დღეს ყველაზე მეტი სითბო ჩემი გელას ბიჭს, ვახტანგი სხირტლაძეს შეხვდა. რა-მაც იმედი ჩამისახა, რომ ჩემს პატარა შვილიშვილს ნაბოლა-რა ვახოს, რომელსაც თავისი მამიკო აღარც კი ახსოვს სკოლაში სითბოსა და ყურადღებას არ აკლებენ, რადგან იგი სამი წლისაც არ იყო როდესაც მამამისი წავიდა ცის სასუ-ფეველში. მეკი თავს იმითი ვინუგეშებ, რომ თავისი სიკეთი-დან გამომდინარე გელას შეხვდებოდა სიმშვიდის სახლი. მე ისიც მჯერა, რომ ის თავისი ერისა და თავისი ცოლშვილის დამცველი იქნება ცის საუფლოდან.

რაც შეეხება სკოლის ყოფილ დირექტორს ქალბატონ გურანდა სირბილაძეს, იმ დღეს არ შემხვედრია, მაგრამ მინ-და დიდი მადლობა გადაუხადო იმისთვის, რომ მას თანამდებობის იოლად დათმობა შეუძლია. იმ დღეს გავიგე, მეჩვიდმეტე სკოლის მოსწავლეები წაუყვანია ექსკურსიაზე, არვიცი სად იყვნენ, მაგრამ ჯუმბერის საფლავზე რომ მივიდ-ნენ ეს კი მითხრეს. ეს დიდი ღვთიური დამთხვევა უფლის დიდი მადლი იყო. მამა ამირან ამირანაშვილმა წირვა აღავლი-ნა, ამაღლების ეკლესიაში, ჯუმბერ ლეჟაგას სულის მოსახსე-ნებლად ბოლოს აკადემიის წარმომადგენლებმა ღონისძიება ჩავატარეთ გარეთ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის ერთ-ერთ ლამაზ დარბაზში „სატრაპეზოში“ სადაც წაკითხული იყო მამა ამირან ამირანაშვილის ლექსები და ბოლოს, აკადემიის ერთ-ერთმა ლიდერმა „ჯგუფზღვარის“ წარმომადგენელმა პოეზიის დიდოსტატმა და ლიტერატორმა სერგი ლომაძემ მა-მა ამირანს დიპლომი გადასცა. ხოლო კახა ბაციკაძე იგივე ტიტულის მფლობელმა და კულტურის დარგში ყველაზე სუ-ლით ამაღლებულმა ახალგაზრდამ სიმღერებით გაახმიანა ეს მნიშვნელოვანი დღე. მამა ამირანს ვინ გააკვირვებს, ხელოვ-ნებით, ის ხომ დამსახურებული მსახიობი, მოცეკვავე, მომღე-რალი იყო. იყო საერო ცხოვრებაში, მაგამ მჯერა ის დღე ერ-თი ლამაზი ისტორიაა იქნება მის ცხოვრებაში. მან შეგვისრუ-ლა თავის მეუღლესთან ერთად „ღვინო კახურო“, ბატონმა ანზორ ჯაფარიძემ წაიკითხა მისდამი მიძღვნილი ლექსი, მოძ-ღვარი. თემიდან გადაუხვიე და მგონი იმ დღის ღონისძიებაში

შევცურდი. ამიტომ აქ წერტილს დავსვამ. უბრალოდ ვიტყვი, რომ ეს ლამაზი დღე დაემთხვა რუსთავის მეჩვიდმეტე სკოლის, ქალბატონი გურანდა სირბილაძის ღონისძიებას. ეს ღვთიური დამთხვევა იყო რისთვისაც ბატონი ჯუმბერის სული, ცაში იზეიმებდა.

დაუბრუნდები მეჩვიდმეტე სკოლას, მეორე კლასელებს შევპირდი, 2017 წლის ხუთ მაისს ჩემი ახალი წიგნის პრეზენტაციას მამა ამირანის კურთხევის შემდეგ ეს პატარები წარდგებიან იმ პროგრამით, რომელი პროგრამითაც თექვსმეტ თებერვალს გამახარეს. წიგნს ალბათ „ფიქრის ხეივანს“ დავარქმევ, არცერთი ძველი ლექსი არ შევა, და იქნება, სიცოცხლის გაგრძელება, ხოლო ოცდაათ მოსწავლეს გადაეცემა სიგელები აკადემიისაგან.

ღირის ღღჭრი მორთმელი ძაღლთასი საჩუქარი

2017 წლის ორი მარტი, ურნალ ათინათის დაკაბადონება დავიწყე. თბილისში ჭავჭავაძის ცხრამეტშია ეს გამომცემლობა „უნივერსალი“, დირექტორი გორგა ხარებავა, მენეჯერი იზა ხარებავა, თანამშრომლები: ეკა თანდილაშვილი, ნანა ყანდაშვილი, ირაკლი უშვერიძე. გამომცემლობა „უნივერსალის“ თანამშრომლებს იმდენად შევეჩვიე, ურნალის გამოცემიდან გამოცემამდე მენატრებიან. ექვსი წელიწადია მათთან ვთანამშრომ-



ლობ, ასე მგონია ჩემი სისხლი და ხორცი არიან. შვილებივით მიყვარან, ნანასთან მიწევს უფრო მეტად ურთიერთობა, რადგან უურნალს ის აკაბადონებს. ამას იმიტომ ვწერ, რომ საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობა არ უნდა მღლიდეს, მაგრამ, ამდენი დარდის მატარებელს, კიდევ რითი მიდგია სული. თუ ვინმე მყითხავს – როგორ ხარ? ჩემი პასუხია: კარგად. თქვენ როგორ ბრძანდებით?.. პირველად ვატყობდი, ყველას უკვირდა, გაკვირვებულები შემომხედავდნენ. ახლა კი შეეჩივნენ. თვითონ ჩემი მომყითხველები, რომ მოხსნიან თავიანთ გასაჭირის ფიქრის სკივრს სარქველს, ქვის გული უნდა გქონდეს არ გეტკინოს, არადა ჩემნაირი ტკივილი მტერსაც ააცილოს ღმერთმა. ჰოდა, გზაში შემხვედრი ნაცნობების ტკივილებით დატვირთული შევედი სახლში. არ გასულა დიდი დრო კარები ჩემმა უფროსმა შვილიშვილმა – შემომიღო ბაბო, გილოცავ დედის დღეს! ხელჩანთიდან ჩაის ჭიქა ამოიღო, ჭიქაზე ჩემი სურათი ჩაუხატია ყყვავილებით. ისეთი სიფაქიზით ჩამეკონა იმ სიყვარულმა, ჩემი შვილი გელა გამახსენა. არ შევიმჩნიე, ცრემლები ჩუმად მოვიწმინდე, მადლობა გადაუხადე, გულში ძალიან დიდხანს მყავდა ჩაკრული, თვალწინ დამიდგა ჩემი თბილი ბიჭი. ყველა ძალიან უყვარდა, ხელგამოწვდილებს რომ თავისი ხურდებით ანებივრებდა, ამავე დროს ძლიერიც იყო. თამუნამ უმაღლესში რომ ჩააბარა, უხაროდა და ახლაც ასე მწამს, ისევ მამის სული ამხნევებს, ლოცავს ცათა სასუფეველიდან. ათ თებერვალს არც თავისი ბიძა დაგინყებია. ბიძამისს დოქი უყიდა და ვახოსთან ერთად (გელას ბიჭი, რომელიც სამი წლისაც არ იყო, გელა რომ გარდაიცვალა) გამოვიდა და მიუღოცა დაბადების დღე.

ჭიქა, რომელიც მე მაჩუქა იმდენად ძვირფასია ჩემთვის, არ გავცვლი ძვირფას განძში.

თვალი შევავლე თაროზე წიგნებს, სევდიანად გამოიყრებოდნენ. დუმდნენ, ფიქრით ჩემი შვილის სულს შევეხმიანე...


დუმდნენ თაროზე წიგნებიც და...

მტერს ისრუტავდნენ,

რადგან წიგნებიც გამერიდნენ, როს მიმატოვე...

ახლა „თაკოთი“ მზის სხივებით,

დღეებს მირთავენ...
უიმედობა არასოდეს
დამიმარტოვებს.



ჩემი თბილი თამუნა, თავის სიტყვას ლაშად იტყვის
ცხოვრებაში, რადგან ის დინჯად ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვება
ცხოვრების წლებს. ზოგჯერ ბედმაც გამოსცადა, მაგრამ არ
დაიჩიქა, არ გაბოროტდა, პირიქით მის ფაქიზ სულში სიკე-
თემ იმძლავრა.

ის ჩემი გულის ფეთქვა და...
არის სიცოცხლის წყარო...
მისთვის იმედებს ვკენკავ და...
ღმერთო, გთხოვ გაახარო.
თამუნას ცხოვრება წინაა, ნათელი მომავლისაკენ. ის
ბებოს პირველი სიხარული და გულში ჩაკირული სიყვარულია.



ჭკვიანი თვალები

მოწმენდილ ცაზე მოულოდნელად ატყდა ჭექა-ქუხილი. ელვამ მეხი შიგ გულში მომახვედრა, აზრი დავკარგე, აღარ მახსოვს, გონის როდის მოვეგე. ტანზე დავიხედე, კაბაზე სისხლის კვალი წითლად მემჩნეოდა. მისი მიზეზი დაკეტილი კარი იყო და კარს მიღმა მოსაუბრე წყვილი, რომლებიც ჩემს პიროვნებას უსაფუძვლო ბოლმას ანთხევდნენ.

კარებთან ვიდექი და შიგნით შესვლის უფლება არ მქონდა. ჩემს სამუშაო ოთახში არხეინად ზეიმობდნენ, ოთახიდან სიცილ-კისკისის ხმა გამოდიოდა, უზნეოთა ტკარცალი... ჭრილობა მანუხებდა, სისხლიც არ ჩერდებოდა, კიბეებიც ლასლასით ჩავიარე, წყვილის ვნებებში ჩაკლულ ჩემს სიალალესთან უიმედოობა კენჭაობდა...

ეშმაკი იმარჯვებდა. ჩემს თავზე ვპრაზდებოდი. რატომ განვიცადე ასე? სისუსტე ვიგრძენი, კედელს მივეყრდენ, ელმავალმა შემომაკივლა. თვალი გავახილე. მთვრალი კაცივით ფეხარეული ვაგონში შევედი. სკამზე ჩამოვჯექი. ფიქრებში ჩავიძირე...

- უფალს მიენდე, თითქოს ვიღაცამ დამიძახა და გამომაფხიზლა... რატომ მოხდა ასე? ნუთუ ყველაფერი ეს სინამდვილეა? ვის დავურეკო? ვინ გაიგებს. სული დამიჩეხს. რისთვის? სიკეთისათვის? ვისაც ვუშველე, იმან მომკლა.

როგორ ვერ იცან, გავუწყერი იდუმალ ფიქრებს,

თუ ეშმა იდგა ჩემს წინაშე ნიშნის მოგებით,

ვერიდებოდი გზის აღმართზე სუსხიან ჭინჭარს,

გული აღმუვლდა, აბობოქრდა, ვითარცა თერგი.

უცებ ზეციური ძალით რაღაც ტვირთი მომებსნა. ხმა მეჩურჩულებოდა: - შენი დანაშაული, შენი სიკეთეა, სხვა არაფერი, რა გადარდებს, ჭკვიანი თვალები გითვალთვალებს, ის გაიგებს.

- რომ ვერ გამიგოს?

- არ არსებობს.

- მართლა?

- თავს განირავს სიმართლისათვის.

– ნუ ჩქარობ, ყველაფერი გაირკვევა.

– მოვითმინო?

– დიახ!

– ნუ დარდობ, ჭკვიანი თვალებიდან სილამაზეს შეიგრძნობ. სუსხიან ამინდში გათბები, სიცხეში კი გრილი ნიავივით აგელამუნება ნატკენ გულზე.

ცრემლში გავლებული სტრიქონები ჩემს დაუკითხავად იკავებდნენ ადგილს თეთრ ფურცელზე:

ნაღვლიან დღეებს ქარიშხალი ეფერფაშება,

ჩამოიღვენთნენ ულიმდამოდ, როგორც სანთლები.

ხოშკაკალები სულში შეძვრნენ დარდის რაშებად

და დამიგროვდა სევდიანად ისევ სათქმელი.

სადღა დარჩა სათქმელი?! წერტილს დავუსვამ ყველაფერს, რატომ დავკარგე წონასწორობა? ესეც, ალბათ, გამოცდა იყო უფლის წინაშე. ემოციებმა მაჯობა. მეზიზლება ჩემი თავი. გაშლილ სუფრაზე ყველა ნაყრდება, წინააღმდეგობა შემხვა? ბოდიში. მერედა, ვინ ვარ, ერთი უბრალო მომაკვდავი და სხვა არაფერი. პოეტობით ვამაყობ? ეს ხომ უფლის საგანძურია, ჩემი რა არის? არაფერი, - ჩამესმის ხმა. შენი მხოლოდ მიმტევებლობაა.

– ნუ დამეძებ, მე სხივი არ ვარ.

– აბა, მოჩვენება ხარ?

– არა, ჭკვიანი თვალები ვარ.

– რა გინდა ჩემგან? ხომ ხედავ, რა დღეში ვარ.

– შენ გპატრონობ.

სიბნელეში ორი თვალი მომჩერებოდა ხან მეტავდა, ხან მანუგეშებდა, ხან მითანაგრძნობდა, მამართლებდა. ცრემლები მცვიოდა. ნუთუ დავიღალე, არა, ძალა უნდა მოვიკრიბო. მაპატიე, უფალო! შეურაცყოფა მომაყენეს? მტვრის ნამცეციც არ ვარ, ერთი უბრალო მოკვდავი ვარ, მეტი არაფერი. შენ ჯვარზე გაგაკრეს. როგორ მეზიზლება ჩემი თავი. ოთახში გამომწყვდეულმა ორმა უსუსურმა ადამიანმა გამომიყვანა მოთმინებიდან. რა პატარა ადამიანი ვყოფილვარ. რით ვიმართლო თავი, ალბათ, ბედის ბრალია ყველაფერი.

წმინდაო მარიამ! შენ დამადევნე გზაში კეთილი ანგელოზი, გმადლობ ამისთვის. კვლავ შენი მადლით იწერება სიტყვები, უფალო ჩემო!

დაღლილ სულს ვუყურებ, ნატანჯს და დაფლეთილს,
ნეტავი ეს ბედი კიდევ რას მპირდება,
სიცოცხლე არ მოდის არასდროს დაკვეთით,
არადა, სუყველას ო, როგორ გვჭირდება.

თითოეულ ადამიანში უნდა დაინახო მოციმციმე ღვთის ხატი, უნდა შეძლო, რომ გიყვარდეს შენი მტერი, სულიწმინდის საჩუქარი ლირსეულ ადამიანებს ეძლევათ...

სიყვარულისკენ კი სამ მცნებას მივყავართ: შერიგებას, მოწყალებას, თავდაჭერას. ჭკვიანი თვალები მარიგებდნენ, სიკეთით მმუხტავდნენ.

კანტმა თქვა: „ზოგიერთი ადამიანი ზეცაში ეძებს შვებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დედამინაზე გზა აეპა.“ – არა! მე გზა არ ამბნევია. ადამიანი, რომელიც სასიკვდილოდ იყო განწირული, ფეხზე დავაყენე, სული მოვათქმევინე და დიდი სიკეთის მაგიერ ხორცი ამათალა, სასიკვდილოდ ამცრა.

უერთგულესს და სიკეთის მორჩილს,
ქარმა ზმუილით გამიღო კარი.

ზღვასავით მშფოთვარე გავხდი. აბობოქრებული ტალღებივით სევდის კლდეს ვეხეთქები. არადა, ნახევრად გადამხმარ ბალახზე გადაპკურებული ნამი, იმედი და სიყვარული ვიყავი.

თმა თეთრდება, გული კვნესის, სევდის შემდეგ.
მარტოდ... შთენილს ისევ ლექსი არ მაბერებს...
ძილშიც ფიქრის გაყინული რწმენა შემდევს,
რას გაუძლებს ჩემი გული ამდენ ძერებს.

– ხმამ დაიქუხა: სულის სიწმინდის საჩუქარი გაიხსენე, მიუტევე, წინააღმდეგობას თუ გაუნევ, დაღუპული ხარ...

ფეხიდან მიწა მეცლებოდა, თავი დავხარე, დავიჩოქე, დიდხანს ვფიქრობდი. ხელები მკერდზე გადავაჯვარედინე, ზეცაში ავიხედე და ლმერთს შევფიცე, რომ მტერსაც მივუტევებდი.

გულის სითბო

ბურუსით ტყეს სევდის სამოსი წამოუსხამს. ჩიტები აღარ ჭიკჭიკენებ. ფოთლები წვიმის წვეთებით სანთლებივით ჩამოღვენთილან. მთის ძირში მდგარ სახლს სახურავი დაძველებია და წყალი დაუპატიჟებელი სტუმარივით იატაკზე მოკალათებულა.

სახლის პატრონი ელვა-ქუხილმა გამოაღვიძა. გარეთ გავიდა იცოდა, რომ სახურავიდან წყალი ჩამოვიდოდა, მაგრამ წვიმა ისეთი სიხშირით მოდიოდა, გეგონებოდათ კოკით ასხამენ წყალს ზეციდანო. ამირანი იძულებული გახდა შინ შეტრიალებულიყო და ბედს მინებებოდა, პირჯვარი გაადაინერა, მიმქრალი ბუხარი რკინის საკეცით გამოქექა. ნაცარში ერთი მილეული ნაკვერჩხალი იპოვა, სული შეუბერა, ნაკვერჩხალმა ლაპარაკი დაიწყო. კიდევ კარგი რომ მომისწარი, უკვე ისე მიიღია ჩემი სიცოცხლე მეც ნაცრად ვიქცეოდი და კერია რით უნდა გაგეთბო?

— ამირანმა უკან დაიხია, ეგონა ალბათ წვიმის თქაფა-თქუფში რაღაცა მომეჩვენაო.

— ნუ გეშინია, მე ერთი ჩვეულებრივი ქალი ვარ სიკეთის თესვით მილეული.

— მერედა ჩემს ბუხარში რა გინდა?

— ჰმ! ვიცი გაგიკვირდება, მაგრამ გეტყვი ჩემი ბედის ის-ტორიას. მე სახელად სიკეთე მქვია, ღმერთმა ამ მისის შესასრულებლად მომავლინა დედამინაზე.

— ჩემთან რა უნდა გააკეთო?

— ასეთი ტონით ნუ მელაპარაკები, ნურც გამომწვევად მიყურებ, მე ის ქალი არ ვარ ვინც შენ გაგინამებია და მოუშუშებელი ჭრილობებით გიტარებია. შენ საერთოდ ქალის ფასი იცი?

— ამ წუთში კი, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიანია.

— გვიანი არაფერია, თქვი რა გიჭირს და მე დაგეხმარები.

— ვერ დამეხმარები.

— რატომ, უკვე გარდაიცვალა?

— არა, ცოცხალია, მაგრამ მე თვითონ მთვლის არარაობად.

— უღალატე?

— კი.

— უყვარდი?

— ძალიან.

— მერედა არ გაგიგონია? თუ ქალს უყვარხარ ღმერთის წყალობა რომ გაქვსო?

— ვიცი, მაგრამ, მეც ღმერთმა ასეთი მომავლინა, რომ მაცდური ქალების ბადეში ვიღოლიალო.

— მე დაგეხმარები.

— არა, უკვე ჩემი დღეები დათვლილია, აგერ სახლიც თავზე მენგრევა.

— გამოგიტყდები და გეტყვი: მეც დავკარგე ადამიანების ნდობა, უფალმა შენთვის მომაძლიერა, კიდევ მოგცა ერთი შანსი, თუ ეს არ გამოიყენე, შენი კვალის ნამცვრევი აღარ დარჩება დედამინაზე.

ნაკვერჩხალი გაქრა. ამირანმა „მამაო ჩვენო“ თქვა და ზეზე წამოიჭრა. არა, უსათუოდ მომეჩვენა, გარეთ გამოვიდა, წვიმას გადაელო. ეზოსთან სატვირთო მანქანები გაჩერდნენ, წითელი სახურავით და სახლის თავხეებით დატვირთული. ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება ჩემს თავსო და ჩაიკეცა. ძია კაცო! — ჩამოსძახეს მანქანიდან — წყალობაა, წყალობა უფლისგან, მიიღე ღმერთკაცისგან საჩუქრები. ერთ კვირაში მოვალთ, სახლს კიდეც შეგიკეთებთ და სახურავსაც გადაგისურავთ.

ამირანმა წამოიწია, სახლში ლასლასით შევიდა, თავის თავს სრულ მოაზროვნე ადამიანად აღარ თვლიდა, ბადე გამოიტანა, თევზის ჭერას გულს გადავაყოლებო და მდინარე ძირულასკენ გეზი აიღო. შიშისა და სიცივისაგან კბილიკბილს აცემინებდა.

მდინარის პირზე ცეცხლი შენიშნა, იფიქრა, იქნებ ცოტა-თი მაინც გავთბეო და იქით გაუხვია. ნედლი ტოტები აღზეტკაცუნობდნენ და ნაპერნკლებს ყრიდნენ, ხის კუნძი მოძებნა, ცეცხლთან ჩამოჯდომა მოისურვა.

არ მიხვიდე, ჩამოსძახა ხმამ, მაგნაირმა მაცდურმა სითბომ დაგლუპა, შენ სახლში მეუღლე გყავს, ის გაგიღვივებს ერთგულების ცეცხლს. სახლში წადი! შენგან გამნარებული მეუღლის გული როგორმე უნდა შემოიბრუნო, მან შემოგნირა სიცოცხლე, გაჩუქა შვილები, დათმო სიმდიდრე და შენ ღარიბ ქოხში არჩია ყოფნა. მიდი მასთან, ჩემი ამაგიც არ დაივიწყო, თორემ ისე ჩაიძირები, მატლივით გაგსრესენ.

სახლის მხრიდან ხმები მოდიოდა, მომაწოდე, აბა, ჰე, საღამომდე მოვრჩეთ. ეჰე, ჰე, თქვენ ვინ ხართ მანდ, კეთილო ანგელოზებო? ჩვენ ღმერთკაცის დავალებას ვასრულებთ. თქვენ ერთი კვირის შემდეგ დამპირიდით მოსვლას. კი, ასე იყო ნამდვილად, მაგრამ ღმერთკაცს გაუგია შენი მეუღლის ტკივილი და მისი გულის გასახარად დაგვაჩქარებინა სახლის დახურვა.

– ვაუკაცებო, სახელი მაინც მითხარით, იმ ღმერთკაცის.

– სახელს არ ამბობს, ისე აკეთებს სიკეთეებს. შენი ამბავი ერთმა მწერალმა ქალმა უამბო მას და აი, ახლა ხომ ხედავთ, როგორ ვშრომობთ. ასე დაგვაპარა: შენც შენი სიკეთის აგური დადე სხვებისთვისო.

ამირანს თითქოსდა მაშინ გაახსენდა ცოლის არსებობა, ოთახში შეიჭრა... – მე დავბრუნდი – თქვა და თავდახრილი იდგა მეუღლის წინ.

იდამ გაუღიმა, მოდი ამირან, შვილებს სჭირდები, თორემ ჩემი სიცოცხლის დღეები შენ დიდიხანია მოკალი. ხედავ იდა, ჭერი იხურება, ეგბ ჩვენს სახლში გულის სითბოც დატრიალდეს. არა მგონია ამირან, შენ გულის სითბოს ფასი ისწავლო. იდამ ამიოხერა და ლექსით უთხრა სათქმელი:

ტკივილების საწუთოომ, მხოლოდ ჩემთან იარა,

დამაბერტყა სევდა და თვალი დამიბრიალა.

ცრემლი ბევრი მომგვარა, სიყვარული კი არა,

გამაშორა შენთან და ახლა მოგატრიალა.

გარეთ ქარმა დაიზუზუნა, ბუხარში ჯერ კვამლი დადგა... მერე კი ერთბაშად ავარდა ალი, ეს ცეცხლი ოჯახის სიყვარულის ცეცხლი იყო, სახლში გულის სითბო დატრიალდა.

სამზარეულო „აპეტიტო“

სამედიცინოს ინსტიტუტის მეტროს ამოსასვლელთან მეგობარი შემხვა, ქალბატონი ლუარა სორდია, გზა ფეხით გავაგრძელეთ. ერთ-ერთ კაფეს ჩავუარეთ, საიდანაც სასია-მოვნო და თავბრუდამხვევი სუნი გამოდიოდა, სურვილი გაგ-ვიჩნდა კაფეში შევსულიყავით... ჩანაფიქრი სისრულეში მო-ვიყვანეთ. კარებს ასეთი წარწერა ამშვენებდა:

„საოჯახო სამზარეულო „აპეტიტო“ გეპატიშებათ ჩვენ-თან, სადაც შეგიძლიათ მიირთვათ როგორც ცხელი კერძები, ასევე სალათები, შეკვეთის შემთხვევაში ყავა უფასოა. ვი-ლებთ შეკვეთებს სადღესასწაულო სუფრისთვის ადგილზე მიტანით. მისამართი: ვაჟა-ფშაველას 27, რესპუბლიკური სა-ავადმყოფოს შესახვევი. ტელ: 30-90-73, მობილური: 895-63-64-30.“

კაფეში შესვლისთანავე ჩვენი ყურადღება მიიქცია ლა-მაზად და კოპნიად მოწყობილმა ოთახმა, სალაროსთან მივე-დით, რათა ხაჭაპურის დაკვეთა მიგვეცა და ფული გადაგვე-სადა. ფული მერე გადაიხადეთ, დაბრძანდით მაგიდასთან და ხაჭაპურს და წვენს მოგართმევთ. თეთრად გაქათქათებული სკამი ნაზად გამოვნიერ და დაველოდეთ მომტანს. უცებ წუ-თიერი დუმული ჩამოვარდა, შევხედე მეგობარს და შევნიშნე რომ სადღაც შორს იყო მისი ფიქრი გაფანტული.

სახეზე ნაღველი ეტყობოდა, მოურჩენელი ნაღველი. გა-მახსენდა რომ იგი ლამაზი სოხუმის მკვიდრი იყო, რომელიც ამჟამად არაფრისმომტან პოლიტიკას შენირვოდა. მე კი ასე-თი ფიქრი ამეცვიატა: ალარ არის ლალი, თვითონაც დათრგუ-ნულია და სხვასაც ამძიმებს. ვიგრძენი რომ, კაფეს მეპატრო-ნეს სულში ლამაზი იდეებით დატვირთული გემი აქ გაეჩერე-ბინა... კაფეში შემომსვლელებიც თითქოსდა საგანგებოდ გა-ფაქიზეულ-მოწესრიგებულნი იყვნენ.

მიმტანმა არ დააგვიანა, მაგიდაზე იმერული ყველით დამზადებული ხაჭაპური დაგვილაგა და უკან გატრიალდა.

სასიამოვნო აღნაგობის ქალბატონი მაგიდას მოუახლოვდა და დაუინებით დამაკვირდა, მე მგონი არ უნდა ვცდებოდე, მომმართა ღიმილით. თქვენ, პოეტი გულაზი ხარაიშვილი ხართ, თქვენ კი ქალბატონი მეცნიერი, ლუარა სორდია.

– მერედა თქვენ საიდან გვიცნობთ?

– აკადემია „ქალდეაში“ ღონისძიება ტარდებოდა. იქ ვიყავი მოწვეული და იქიდან გიცნობთ.

– ასე გავიცანი „შემოქმედი მარიანა“, ქალბატონს იმ წუთში გულის კარები გამოუღე და გაიმართა დიალოგი ჩემსა და მარინას შორის:

– მარინა, რამ გადაგაწყვეტინა ქართული სამზარეულოს გახსნა?

– სპეციალობით მუსიკოსი ვარ. ბავშვობიდან მიყვარდა სამზარეულოში ტრიალი, ჩემი ოცნება იყო კვების ობიექტი გამეკეთებინა.

– რომელი კუთხის საჭმელს ანიჭებთ უპირატესობას?

– იცინის... იმერელი ვარ და იმერულს ვანიჭებ უპირატესობას.

– ქალბატონო მარინა, მეც საჩხერიდან ვარ, ჰოდა, რადგან ერთი კუთხის ადამიანები გამოვდექით, თქვენთან ერთად, ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრები რომ მოვიყვანო არ შემარცხვენთ?

– რა თქმა უნდა არა! ყველაფერს გავაკეთებ იმერული გულკეთილობით და სითბოთი.

– ქალბატონო მარინა, დაოჯახებული ხართ?

– ხმამაღლა გადაიკისკისა, ისეთი მეუღლე მყავს, ყველა ქალბატონმა ინატროს ისეთი, როგორიც ჩემი მეუღლე გახლავთ. ორი შვილი გვყავს. ორივეს უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული.

– გასათხოვარივით გამოიყურებით.

– ჩემი ქმრის დამსახურებით.

– სასმელები თქვენთან აკრძალულია?

– დიახ! აქ სასმელები მხოლოდ წვენებით შემოიფარგლება, ალკოჰოლური სასმელები აკრძალულია.

– როდის გახსენით კაფე? ბარბარობის დღესასწაულზე ქალბატონო მარინე, გფარავდეთ წმინდა ბარბარე. ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენთან ჩემი სტუმრობა.

ხაჭაპური მართლაც არაჩვეულებრივი იყო, დესერტიც ზედმინევნით იყო შეზავებული, წამოვედით ლამაზი შთაბეჭდილებებით. ნამზადში დიდი გემოვნება იყო ჩადებული, მუსიკალური ხელოვნება და ვირწმუნება, რომ ადამიანთა შესაძლებლობებს წინ ვერაფერი აღუდგება.

წვიმს რუსთავის ქუჩებში

ცამ პირი გახსნა და ზეციდან ქუჩებში თითქოს კოკით ასხამენო წყალს, წვიმა ისე ეხეთქებოდა ტკივილებით დამძიმებულ დედამინას...

ძილბურანში ჩამესმა მომძლავრებული ქარის გაანჩხლება... თვალები გავახილე და ფიქრს მივეცი თავი. როდემდე უნდა იყოს ცრემლიანი დღეები... ტირის ბუნება. ფიქრის უღელს აპეური კარგად მოვარგე და წერა დავიწყე.

უნდა ვეცადო, ეს ღრუბლები დავწინკნ-დავშალო, მერე მივწვდე და... მზის სხივები ჩამოვიწიო...

რას შემეჩვიე შავი ფერის ცრემლის თავშალო,

ჩემგან შორს წადი და საერთოდ აღარ მეწვიო...

დილის განთიადზე ქარიშხალი ჩადგა... მაგრამ მსხვილი კოკისპირული წვიმის თქეში თავგამოდებით ფანჯრის რათა-ზე კაკუნს განაგრძობდა. გალუმბული ხეების ტოტები, დაუე-ჟილ-დაკოურილი ხალებით იყვნენ მორთულ-მოკაზმულნი – წვიმდა რუსთავის ქუჩებში...

დიდხანს შევცექროდი ფანჯრის დაორთქლილ მინას... რომელსაც გარედან ეცემოდა წვიმის მსხვილი წვეთები. თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია, ზოგს წვიმა უყვარს, ზოგს აბობოქრებული ზღვა, რადგან მისი სული მას გავს. ბორგავს, შფოთავს, განიცდის, ადგილს ვერ პოულობს. მე მათ ყოველთვის ვუგებ... მაგრამ მათთან არ ვჩერდები.

ბავშვობიდან, როცა აღქმის უნარი გამიჩნდა, გაზაფხული შემიყვარდა და მიყვარს დღემდე. გაზაფხული... მშვიდი

და ლამაზი. როცა თოვლი აიქრეფს თავის კალთებს, რიროჭ-რელის დროს, ია-იები რომ წამოყოფენ დაუპატიჟებელ სტუმრებივით თავებს. ვუყურებ მათ და ვტკბები. ისინი წმინდანებივით გამოიყურებიან.

მათ ჩემს სულს ვამგვანებ, ჩემი სული მათსავით ნაზია. მიყვარს თეთრად გადაპენტილი ტყემლები, იასამნის ფერი, ვარდების ასურნელება, მარადმწვანე ბორბალას აყვავილება. წელიწადის ეს დრო საჩხერის რაიონის სოფელ ხვანში, ზღაპარეთია... იქ ამ დროს ბუნება საქორწილოდ მორთულ პატარძალს გავს.

ამ ლამაზ გაზაფხულს შევადარე მოჩუქურთმებულ ოთხ ფიცარში ჩასვენებული ოცი წლის ნინო ფხიკიძე, რომელიც ავარიის მსხვერპლი გახდა. წამით ჩემი ტკივილი დავასვენე... კი არ დამავიწყდა, დავასვენე და ხმამაღლა წარმოვთქვი ეს სიტყვები. შვილო ნინო, უფალმა თავის სარძლოდ ხომ არ წაგიყვანა-თქო. გვერდით ჩემი რძალი, ეკატერინე ფხიკიძე მომყვებოდა და შვილიშვილი თეონა სხირტლაძე. სადედოფლოდ გამზადებული ნინო, ჩემი რძლის ბიძაშვილის შვილი გახლდათ, ოცი წლის ნინო ფხიკიძე. მძღოლს ნინოს გარდა სხვების ცოდვაც ტანჯავს ციხის კედლებში. ჩემი მწუხარება მოთმინების ზღვარს ცილდებოდა, ნასვამ მდგომარეობით დაღუპული ახალგაზრდის სიცოცხლე, მიწიერ ცხოვრებას ტოვებდა.

ჩემი გული კალაპოტიდან გადმოვარდნილ მდინარეს ჰგავდა, ლამაზი გაზაფხული მაინც მიყვარდა, მაგრამ ტკივილი და სილამაზე აიწონა-დაიწონას თამაშობდნენ ჩემს ფიქრებთან. რითი უნდა მენუგეშებინა ჩემი რძალი, რომელმაც ოთხი თვის ნინ, თვრამეტ თებერვალს მეუღლე დაკარგა, ბედით თუ ექიმის შეცდომით. „ეს ღმერთმა განსაჯოს“. ან კიდევ ოცი წლის ანგელოზის მშობლები და დედმამიშვილები, თუ არა რწმენით. იქ, მაშინ ამის თქმა საჭიროდ აღარ ჩავთვალე და ქალალდის ფურცლებით მინდა გავესაუბრო ჭირისუფლებს. „მწუხარე დედავ“, ჩვენც იქ წავალთ, „ვილოცოთ“, რომ მიცვალებულები ცათა სასუფეველში მოხვდნენ... ნინოს კი ლექსის სტრიქონებით მივეფერები:

ცრემლის კაბა შეგიკერეს საპატარძლოდ,
ახლობლებმა გულის მკერდზე ამოგტვიფრეს.
ნაგიყვანა, მჯერა ღმერთმა თავის სარძლოდ,
იქნებ მართლაც „გაზაფხულად“ გამოგკვირტოს.
მაყრად ვიცი ჩემი შვილიც იქ დაგხვდება,
იქ მისვლამდე ვიცი სითბო უკვე იგრძენ.
შეგვიცოდეთ ჩენც დედები, რა მოხდება,
რადგან გული განშორებით გადაჯიჯგნეთ.
მნამს სიკეთით მადლს სიუხვით დაარიგებთ,
ცის სულებთან სიალალით დაიმკვიდრებთ,
დაგიჩოქებთ... გეხვეწებით ეს გამიგეთ
უხმო ცრემლში თუ დავიხრჩო არ გაკვირდეთ.

„წვიმს რუსთავის ქუჩებში“

ახლა უკვე ცრემლით შეკერილ შავ შარვალ-ხალათში
ირაკლი ჭოლოკავა უტოვებდა სამ ობოლს ფერიასავით
თეთრ, ქათქათა მეუღლეს გასაზრდელად. ორი თვის პატარა
თითქოს ხვდებოდა მამის განშორებას და აღუ-აღუთი გამო-
ხატავდა სიმწუხრეს. ვუყურებდი მწუხარე ჭირისუფლებს და
გაოგნებული ვიდექი ახოვან, ლამაზ ირაკლის ცხედართან,
ტელეფონის ზარმა გამომაფხიზლა... გენაცვალე როგორ
ხარ?... მაია ტყემალაძე მირეკავდა. ერთი წუთით გარეთ გა-
მოვედი. გენაცვალე, მეორდებოდა ტელეფონში ხმა აბა, რო-
გორ ხარ? უნდა გაუძლო დიდ ტკივილს, ჭკვიანი შუბლი და
ლამაზი თვალები უნდა დაგიკოცნო, როგორ მინდა ახლოს
ვიყო, მოგეფერო და განუგეშო. მაიკო, შენმა სიტყვებმა სი-
ცოცხლეზე დამაფიქრა და იცი?... სიკვდილი აღარ მინდა.
ოთახში შევტრიალდი და უკვე ვიცოდი ჭირისუფალი რითი
უნდა მენუგეშებინა. ცნობილ პოეტს მურად ჭოლოკავას
ხელში ეჭირა ირაკლის სურათი და ფიცს დებდა შვილის წინა-
შე, რომ მის ბიჭს გაზრდიდა და მერე ისურვებდა ირაკლის-
თან წასვლას. არ გამკვირვებია ეს ფიცი, რადგან რუსთავის
ახალგაზრდა ხეს ხომ ჩემი შვილის ტოტიც ჩამოატყდა და

მეც იგივეს ვფიქრობ, რომ არ უნდა დავამძიმო შვილის სული და მივეხმარო რძალს ობლების გაზრდაში.

ირაკლი ჭოლოკავა ისეთი ჭკვიანი იყო, მიკვირს, მიწამ როგორ მიიღო. ბოდბეში ექსკურსიაზე მისი სამარშუტო მიკრო ავტობუსით გვყავდა კოლეჯის ბავშვები წაყვანილი, მწვადი შეწვა და თავის ხელით მომართვა, ნახეთ რა გემრიელია მითხრა. ეამაყებოდა, რომ პოეტის შვილი იყო და კითხულობდა მურად ჭოლოკავას ლექსებს. ათასნაირი ხილითა და ნამცხვრით სავსე სუფრაზე მასპინძელივით დაგვტრიალებდა. მეტ ყურადღებას მე მაქცევდა, ალბათ გული უგრძნობდა, რომ ჩემი შვილის დაღუპვიდან სულ რამოდენიმე თვეში ისიც გამოეთხოვებოდა საყვარელ რუსთავს.

მა რომ დამელუპა, ლევან ხარაიშვილი ოქტომბერში თოვლი მოვიდა, ალბათ ჩემი მშობლების ცრემლები თოვლის ფიფქებად გადაიქცნენ და ხვანის ტყეებს დაათოვეს. ირაკლიმ მაშინაც უშიშრად ჩამოიყვანა ჩემი თანამშრომლები საჩხერის რაიონში.

„წვიმს რუსთვის ქუჩებში“

სევდამ წალეკა იმედის გაზაფხული, მერცხლები აღარ ჭიკიკიკებენ ძველებური ჰარმონიით... ჩიტებიც ნაღვლობენ... დედები ტირიან... შვილები მამებს ელოდებიან... ოცი წლის ნინო ფხიკიძე მჯერა უფლის სარძლო გახდებოდა.

მწუხარებამ უკვე ზენიტს მიაღწია

გადადუღდდა ჩემი ცრემლი სევდის ქვაბში.

ნოემ ზღვაში კიდობანი დაარწია

და ვიხილე მე სამივე ყველა მათში...

„წვიმს რუსთვის ქუჩებში“

ეს კი ჩემი შვილის მონატრების ცრემლია... და მაინც მიყვარს გაზაფხული, რადგან ნოეს კიდობანში დავინახე სიკეთის მთესველნი. ფიქრით გზას ვიკვლევ, ცას ვცდები, მიღმიეთში ვიკარები, იქ დავბორიალობ და ვეძებ მონატრებულ შვილს...

გრძნობის მდინარე

თბილისი... მოწყენილი ამინდები, სევდიანი დღეები, სულის წვიმები, დაკორტნილი გული, ატირებული თვალები, სევდიანი თავგადასავლები... ყველაზე ძნელი უძმედობაა მაინც, და ზოგჯერ ხდება ცხოვრებაში ისეთი სიახლე, რომელიც კვლავ ფეხზე წამოგაყენებს, იძულებულს გაგხდის, სხვათა მაგალითის მიმცემად კვლავ იარსებო, დაუსვა წერტილი სულის გამყინვარებას, იფიქრო სხვებისთვის, იზრუნო მათი ბედნიერებისათვის, გაპრწყინებული თვალებით შეხედო, ვითომდა, შენს თავს, თითქოს მხოლოდ მზის სხივები დაფოფინობს, წვიმას ერთხელაც არ დაუსველებია მხრები, გული არ აგტირებია, სიმწრით ტუჩები არ მოგიკვნეტია, გამნარებულს მინა არ მოგიპოტნია. თავგადასავლები? ჰმ!... რა მოსაგონებელია, არც ღირს გახსენება, დაისევდებით... და მე არა ვარ ის პიროვნება, რომ ვინმეს ცრემლი მოვგვარო თვალებზე, გაიხარეთ ყველამ, არც იფიქროთ, რომ თქვენი სიხარული არ მიხაროდეს, ძალიან შეცდებით იმაში, თუ ასე მიცნობთ. ჩემი მისამართით უარყოფითად მოაზროვნეებსაც ღმერთმა შეგინდოთ. ამინ!

მე კი ახლა ლამაზ წყვილზე მინდა გესაუბროთ: ჯულისა და რობეზე. მიწვეულები ვართ ქალბატონ ჯულიეტა ალავიძესთან საერთაშორისო – კემბრიჯის კავკასიის მოსამზადებელ ცენტრში: დიდი მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, უურნალ „მოგზაურის“ რედაქტორი დალი აბესაძე, პოეტი ლამზირა შეყილაძე, აკადემიის სწავლული მდივანი, პროფესორი გიორგი ბეჭიტაშვილი და სხვები.

საერთაშორისო – კემბრიჯის კავკასიის მოსამზადებელი ცენტრის ხელმარცხნივ პატარა სამლოცველო ისე ფაქიზადაა მოწყობილი, მნახველის ყურადღებას მიახლოებისთანავე მიიპყრობს. თლილი ქვებისაგან გაკეთებული კიბეები, ნაირნაირი ვარდები, ეზოში პატარა აუზი. თითქოსდა, სიყვარულის თვალებით შემოგვციცინებენ უსულო საგნებიც კი...

ვინ არის ჯულიეტა ალავიძე? ეს ის ქალია, რომელიც ყველა სიკეთითა დაჯილდოვებული, გარეგნულადაც შემკუ-

ლი-ფერია მისი მოციმციმე თვალები ისე ანათებს, როგორც დამეში ანთებული ნათურა, გარეგნულად მეტად ფაქიზი, საშუალო აღნაგობის, ვერცხლისწყალივით მოძრავი ქალბატონი, გული მეულლისადმი დიდი სიყვარულით აქვს გათანგული სხვათა მაამებელი, ლუკმის გამზიარებელი, სიკეთის უხვად გამცემი, ენის, მამულის, სარწმუნოების დამცველის...

ცათა სასუფეველი იმ საგანძურსა ჰგავს რომელიც კაც-მა იპოვა მინდორში და იქვე დამარხა. შემდეგ წავიდა გახარებული, ყველაფერი გაყიდა, რაც ჰქონდა და ის მინდორი მთლიანად იყიდა.

რობერ საგანძურივით იპოვა ჯულიეტას გული, შემდეგ გახარებულმა ყველა და ყველაფერი ჯულის სიყვარულს შემოაფრქვია ძვირფას მარგალიტად. უულიც ასეთ მარგალიტს მთელი ცხოვრება ეძებდა და, როდესაც თავის საკუთრებად დაინახა მას ისე უფრთხილდება, როგორც საკუთარ სიცოცხლეს.

რობერსთან გასაუბრება მომინია, ჩემთვის დაუჯერებელ ამბავს ყვებოდა, რაღაც შეყოყმანება შემატყო, მან სიმართლის დასაბუთებლად ფიცი მოიშველია. ჯულისა და ჩემს გრძნობას გეფიცებიო მითხრა:

მე ჩემს სიცოცხლეს ვანაცვალებ ჯულის,

ჩემშია იგი იად დარგული...

მისთვის მოვივლი მთელ სამყაროს და...

ჯული გულში მყავს ამოქარგული.

საღამო წარიმართა შემდეგნაირად: მოსამზადებელი ცენტრის ახალგაზრდებმა, ჩოხებსა და ქართულ სამოსებში ჩაცმულმა გოგო-ბიჭებმა ეზოშივე შადრევნებთან და ვარდების ხეივნის იგვლივ ჩაატარეს კულტურული ღონისძიება.

ღონისძიების მეორე განყოფილება სუფრის გამასპინძლებით გაგრძელდა. იქაც გაიმართა სიმღერები, დალი აბესაძისა და ახალგაზრდების შესრულებით.

დალი აბესაძისათვის უფალს ყველაფერი მიუცია: გარეგნული მშვენიერება, გონებრივად გამორჩეული დიდი ხელოვნების ნიჭი, ღრმა ინტელექტი და ქალური სინაზე. ბედს კი ელოდება, იგი ღირსია ისეთი ღირსეული მეუღლის, რო-

გორიც რობეა, დაველოდოთ მოვლენებს. სიყვარული არ უნდა შეფასდეს არანაირი ფასეულობებით, მთავარია, გიყვარდეს ისე, როგორც რობესა და ჯულის უყვართ ერთმანეთი და ისე, როგორც ბატონ ჯუმბერ ლეჟავას თავისი მეუღლე ქალბატონი ლიანა ალიბეგაშვილი.

სუფრას ხელმძღვანელობდა ჯემალ მელქაძე, საქართველოს რადიოს პირველი ხმის დირექტორი. ბატონმა ჯემალმა წაიკითხა პოეტ ლამზირა შეყილაძის ლექსები, მეც ჩემი შევაშველე და მოგზაურმა, ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა. მის თვალს არ გამოპარვია ჯულისა და რობეს ერთმანეთისადმი ურთიერთპატივისცემა და მათი დიდი სიყვარული. მან ეს ერთგულება ჩვეულებრივად აღიქვა, რადგანაც თავისი გარდაცვლილი მეუღლე, ქალბატონი ლიანა ალიბეგაშვილი თვითონაც ასე უყვარდა...

ურთიერთობები გაგრძელდა, ამ დიდ ფორუმს უკვალოდ არ ჩაუვლია. აკადემიის

სწავლული მდივნის ბატონ გიორგი ბეჟიტაშვილის წინადადებით, მოსამზადებელი საერთაშორისო კემბრიჯი – კავკასიის ცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი ჯულიეტა ალავიძე არჩეულია ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად, თავისი დამსახურებებიდან გამომდინარე, ქალბატონ ჯულიეტას ურთიერთობები დამყარებული აქვს დიდ ბრიტანეთთან, ავსტრალიასთან, აშშსა და ევროპის მასშტაბით, მოსამზადებელ ცენტრში ისწავლება შემდეგი ენები: რუსული, ქართული, თურქული, იტალიური, ესპანური, გერმანული, ფრანგული და არაბული ენების სასერტიფიკაციო პროგრამები. მსურველები სწავლას აგრძელებენ: ინგლისში, ლონდონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში განვლილი პროგრამის შესაბამისად. ჩენტრს აქვს ერთობლივი პროგრამები: ინგლისური ენის ყველა დონის მსურველს შეუძლია გაემგზავროს ინგლისში, გამგზავრევისთვის ცენტრს აქვს შეღათები.

ბოლონიის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, ცენტრი მდებარეობს ეკოლოგიურად სუფთა და დაცულ ტერი-

ტორიაზე, თბილისის ულამაზეს ნაწილში. იქ მაცხოვრებ-ლებმა უბანს სიყვარულის უბანი დაარქვეს.

ქალბატონი ჯულიეტას ქალური სათნოება მწვერვალე-ბის გზის საგზურია, იგი ერთგულია ყველა თავისი ნათქვამი სიტყვის. ქალბატონი ჯულიეტა თვითონ არის სიყვარულის გრძნობის მდინარე, რობეს დამფასებელი, ერთგული, მას უძღვნის ყველას და ყველაფერს.

ჩემთან?.. ჩემთან წარსულის დარდია ჩაბუდებული, იმა-ზე მეტი, ვიდრე თქვენ ხედავთ ეს ლამით ხდება, როცა ყვე-ლას სძინავს. ძილის წამალივით დარდი არტახებად გადამეკ-ვრება ხოლმე მთელ სხეულზე, მის მარწუხებში ვარ გასალ-ტული, მთელი ლამე დარდის მდინარეებში ვცურავ.

დილით?.. ისევ გრძელდება სხვათა სიხარულის ცქერა, ეს იმდენად მახარებს, რომ სიცოცხლისაკენ მაქეზებს. მინდა დავტკბე თქვენი ბედნიერებით, თუ ვინმე ბედნიერად გრძნობს თავს. აი, რობე და ჯული რომ არის ისე გიყვარდეთ ერთმანეთი. დედაბუნებას ისინი ერთმანეთისათვის შეუქ-მნია.

წმინდა სიყვარულს ვუყურებ, ვხედავ,
ერთმანეთისთვის დაბადებულან...

უთქმელი სიტყვაც ცის ლაუვარდს სწვდება,
გრძნობის მდინარეც ადიდებულა.

დაე, ასეთ გრძნობის მდინარეები იყოს საქართველოს ოჯახების საგზური. ამინ! ...

უცხო ფრინველი

თბილისის ერთ-ერთ ბალში, რომელიც დედაენის ძეგ-ლის გვერდზეა განთავსებული, ლამაზი, ფერად-ფერადი ყვავილები ერთმანეთს ეჩურჩულებიან, ჩვენთან რომ მოდის ხოლმე ყოველ საღამოს, ის გოგონა არა ჩანს, ნეტავ სად არის? ალბათ, მალე მოვა, უპასუხეს ყვავილებს ნაძვის ხეებ-მა.

მტკვრის ხიდი გადმოჭრა ჭრელ სარაფანში გამოწყობილმა ლამაზმა გოგონამ, მისი თვალები ცეცხლივით ელვარებდნენ. გოგონამ ფეხი აუჩქარა, ვინ იცის, მელოდებიან ჩემი ბალის ყვავილები, ვინ იცის, კიდეც დარდობენ, ხომ არ გაუჭირდა რამეო, ფიქრობენ... ბალის კიბეები სასწრაფოდ ჩაირბინა სიფრიფანა ტანის გოგონამ და ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა.

ყვავილების სურნელი მთელი მტკვრის სანაპიროს ეფრქვეოდა, ჩიტები ლალად დაფრინავდნენ ტოტიდან ტოტზე, ხოლო ერთ-ერთი უცხო ფრინველი, რომელიც იმ ბალის ბინადარს არ ჰგავდა, იქვე გოგონას ახლოს ჩამოსკუპდა.

– რაო გენაცვალე, ჩემთან ერთად ისვენებ?

შეეკითხა გოგონა.

– კი – უპასუხა ჩიტმა.

– შენ საუბარი იცი? – გოგონა გაოცებული შესცქეროდა ჩიტს.

– დიახ! ვიცი, და თანაც, რამდენიმე ენაზე შემიძლია ვისაუბრო.

– ალბათ, უცხო ფრინველი ხარ! აქ არასდროს შემინიშნიხარ.

– კი! უცხოეთიდან მოვფრინავ და ძლივს ჩამოვალწიე საქართველომდე.

– ძალიან გამახარე.

– დიახ! შენ, შესანიშნავი გოგონა ხარ, ჭკვიანი და ლამაზი.

– რა ვიცი, ჩემო ლამაზო ჩიტუნია, რა გითხრა, დავდივარ ასე აქ ქვეყანაზე, სანდო მოსაწონი მე არავინ შემხვდა. ჩიტმა უცებ ფრთხები გაშალა და გაფრინდა.

გოგონა დაფიქრდა, ნეტავ სიზმარი იყო თუ ცხადი? ჩიტი როგორ საუბრობდა. ამ დროს ფეხის ხმა მოესმა. გვერდზე გაიხედა და ხედავს, მის წინ ლამაზი აღნაგობის ორმოცი წლის მამაკაცი დგას. ტანში ურუანტელმა დაუარა, ნუთუ ეს არის, როგორ პიროვნებასაც ვეძებდი მთელი სიცოცხლე?.. ახალგაზრდა მამაკაცი ინგლისურად გაესაუბრა გოგონას.

ციდან თვითმფრინავის ხმა მოისმა, მერე სულ ახლოს აგუგუნდა და გოგონას წინ დაეშვა. ხალგაზრდა მამაკაცმა

გოგონას სიყვარული და თვითმფრინავით უცხოეთში გამ-გზავრება შესთავაზა. გოგონა დაუფიქრებლად დაემორჩილა თავის ბედს.

დედაენის ძეგლი ელოდა ლამაზ გოგონას, ის კი არ ჩან-და, ნაძვის ხეებმა ნაღვლიანად ჩამოსძახეს: საქართველოში ეს პირველად არ მომხდარა, შეეგუე ასეთ ამბავს. დედაენის ძეგლმა ამოიკვნესა და... პასუხი კარგახნის მერე დაუბრუნა ნაძვებს, არა, არ შევეგუები საქართველოს გადაგვარებას.

ეს იმხელა დიდი განცდით იყო ნათქვამი, ლამაზ გოგონას მისწვდა, გოგონა დაღონდა, უცხოელმა დაღონების მიზეზი გამოიკითხა, როცა გაიგო რაშიც იყო საქმე, მფრინავს უბრძანა, საქართველოში დაბრუნებულიყო. დედაენის ძეგლთან თვითმფრინავი დაფრინდა, წვილი ქალ-ვაჟი ვნებიანად ჩაეკრა ერთმანეთს და იმ დღიდან ლამაზი შეყვარებულები ყოველ დღე დადიან ბაღში. ნამდვილ სიყვარულს დიდი ძალა აქვს, საუბრობენ ბაღის ვარდები, მაგრამ ქართველი ქალის სამშობლოს სიყვარულს არაფერი შეედრება.

სიყვარულით გამთბარი გული

კოკისპირულად წვიმდა ჩემს დაბადების დღეს, ალბათ. ხუთ მაისს მოვლენილვარ ამავ სოფელში. მაისი ვარდობის თვეა, ხომ შეიძლება ამ დღეს დიდი ქარიშხალი ყოფილიყო, ალბათ იყო... რადგან ჩემი დაბადებიდან დღემდე ჩემს გულში ხშირი წვიმებია. წვიმას ვინ დაეძებს, ზოგჯერ ისეთი ქარიშხალი ამოვარდება, ასეც მიფიქრია, უკვე დამთავრდა ჩემი ცხოვრება.

დრო მკურნალიაო, უთქვამთ, მე ამ აზრს არ ვეთანხმები. თუ ისე გეტკინა, რომ გულის ძაფი გაგინყვიტა, იმას დრო არ კურნავს. ავალდებულებ თავს, იცოცხლო, რადგან მარტო იმისთვის არ მოსულხარ ქვეყანაზე, ვინც გული მოგიკლა.

ასეთი გადაწყვეტილება მივიღე, როდესაც ჩემი უსაყვარლესი შვილი გელა სხირტლაძე უეცრად გამომეცალა ხელიდან, ამ სოფლიდან იმავ სოფელში გადასახლდა, ეს ტრა-

გედია ჩემს ხელში მოხდა და ამას დრო უშველის?.. განიკურნება გული?... თავი არავინ მოვიტყუოთ, უბრალოდ კიდევ ვიღაცას სჭირდები და აი, ამიტომ მეტად საჭიროა სიცოცხლე, ვიღრე გინდოდა ტკივილამდე.

2012 წელი... ნაღვლიანად შეაღო გელა სხირტლაძის უფროსმა ქალიშვილმა თამარ სხირტლაძემ სუხიშვილების სახელობის სახელმწიოფო უნივერსიტეტის კარები და თვალცრემლიანმა სწავლა მეორე კურსზე გააგრძელა. თეონა მე-12 კლასში იყო ამ გაუგონარი ამბის დროს.

- ბებო, - კრძალვით ამბობს ჩემი ლამაზი ქალიშვილი, - მომზადების გარეშე ვერ შევძლებ უმაღლესში მოწყობას, - თქვა და გაჩუმდა.

- ნუ იდარდებ გენაცვალე, იმედი მივეცი და ფიქრში ჩავიძირე.

ცრემლები მომერია, ვცდილობდი, არ დაენახა და ვიშმუშნებოდი, ვწრიალებდი, - თვალი ზეცისკენ გავაპარე და ფიქრით გელას გავესაუბრე.

- დედი, ნუ თუ მხედავ ახლა მე, როგორ მიჭირს უშენოდ, რა გადაწყვეტილება მივიღო?...

- ნუ გეშინია დედა, მე შენი ჯანმრთელობისთვის ვილოცებ, უნდა მიმიხედო ჩემ ცოლ-შვილს.

- მერე და რითი შვილო?

- დედა, ხომ გაგიგონია მადლი ჰქენი ქვაზე დადე გაიარე წინ დაგხვდებაო,

- ეჱ! შვილო შენი მდგომარეობის შემდეგ რაღა ვიფიქრო.

- დედი, მე არ მიჯავრო, აქ მყავს ჩემი კეთილი მამა, ვახტანგ სხირტლაძე, ჩემი ბიძები, ლევანი, პოეტი ბეჟან ხარაიშვილი, გიორგი, ბიძაშვილები და უამრავი ნათესავობა, აქ საქართველოს მთელი სასულეთია, ხდება გასამართლება და ყველას თავისი ადგილი აქვს, თავისი მისიები აკისრიათ ამავსოფელსა შინა.

- ჰოდა, დედა გენაცვალოს, შენ რომ კეთილი, სამართლიანი და ჯანმრთელი შვილი მყავდი, 39 წლის წახვედი ცათა სასუფეველში, რატომ?

– ეს იმიტომ მოხდა, რომ მე ბედისწერით მეტი დრო არ მქონდა მიწიერ სამყაროში.

– შვილო, სხვისი გულისთვის ცრემლები დამიღვრია, სხვისი ტკივილით მიცხოვრია, სხვა შემცოდებია, ბედმა შენი თავი რატომ წამართვა.

– პოეტების სტუმარია დარდი და ამიტომ, შენ ბათუ და მერავი გახადე უკვდავი შენი დაწერილი პოემებით და აღბათ დადგება ჩემი ჯერი, შეიქმნება აუცილებლად შედევრი ჩემი უკვდავებისა.

– ჰოდა დავიხრჩობი ცრემლებში, შენმა თეონამ რა დააშავა, შენმა პატარა ვაჟკაცმა ვახტანგმა, თამარმა და შენმა მეუღლემ ეკატერინე ფხიკიძემ. თეონას ხომ ახლა ეკონომიურადაც სჭირდები.

– მოხდება შენს ცხოვრებაში ისეთი რამ, თეონას რომ ხელს შეუწყობს. ფიქრის დიალოგი შევწყვიტე.

2012 წლის სექტემბერი... მივენდე ბედს და ისე, სხვათა შორის, შევიარე რუსთავის ერთ-ერთ მოსამზადებელ ცენტრში, რომელსაც ჩემი ყოფილი თანამშრომლები ხელმძღვანელობდნენ: ალექსანდრე ბერიძე და ნათია მოსიძე. მოვიკითხეთ ერთმანეთი, გავიხსენეთ ის დრო, როდესაც ერთად ვმუშაობდით. ალექსანდრემ გაიხსენა ის ლექსი, რომელიც მას მივუძღვენი.

ალეკო და ნათია, ორივე ისე მიყვარდა, მათთან ერთად სალომე მენაფირეც. სამივე ერთად გულში რომ გამეთავისებინა, ლექსს დავარქვი „გულის ტიხარი“ (ალექსანდრე ბერიძეს, ნათია მოსიძეს და სალომე მენაფირეს):

ჩ – უმად მალი-მალ თვალს შეგავლებთ და...

ე – ნდეთ ჩემს სიტყვებს გიგზავნით სითბოს.

მ – ე ჩემს სიყვარულს კი არ გავალებთ,

ი – მედის ლუკმას მხოლოდ თქვენ გითმობთ.

გ – აივლის წლები ფიქრის ჯირითით,

უ – თქმელი სიტყვა იწვება ცეცხლში,

ლ – ექსებს მოგიძლვნით, ანდა პირიქით,

ი – რმის ნაჯეგ კვალს შევხედავ ეშით.

- ს** – ეტყვამ არ გავნოთ, რწმენით იარეთ,
- ტ** – ოტსაც უფრთხილდით, იქნებ მყიფეა.
- ი** – ცით სიცოცხლეს გაგიზიარებთ,
- ხ** – ის ნაყოფივით გული მწიფეა.

- „ა** – სინეთივით“ შვილები ზარდეთ,
- რ** – იურაუზე საგზლად დაფქვით ხორბალი,
- ი** – არეთ წინ და ღმერთს თავი ანდეთ,
- ას წელს დაიხვევს წლების ბორბალი.

საუბარი გავაგრძელეთ. ისე, სხვათაშორის შევეკითხე ქალბატონ ნათიას თუ რა ღირდა მათთან თითოეულ საგანში მომზადება. რა თქმა უნდა ფასი მითხრა.

- რატომ გაინტერესებს? შემეკითხა, ქალბატონი ნათია.
- ჩემი გელას ქალიშვილი მინდა უნარებში მოვამზადო.
- სხვა საგნებში ვისთან ემზადება?
- არავისთან.
- ოთხივე საგანში ჩვენ მოვამზადებთ.
- არა! არ შემიძლია გადავიხადო, უნარებშიც გამიჭირდება და ცრემლები მომერია.

– როგორ გევადრება, ჩვენო საყვარელო დედიკო (ასე მეძახოდნენ სამსახურში), შენგან არაფერს ავიღებთ, ახლავე დაურეკე შენს შვილიშვილს დღესვე დაიწყოს მომზადება, ისედაც დაგვიანებულია, მაგრამ თუ თვითონაც მოინდომა აუცილებლად მიიღებს დამაკამაყოფილებელ შედეგს... და მე ვიგრძენი, კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც ვუყვარვარ, სევდიანი, დარღვამოსხმული. ასეთი ბევრი მყავს გვერდით: ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი მეუფე იორამ იორამაშვილი, პროფესორი ლაურა სორდია, ლამარა გერგედავა, ვანო შუშტაკაშვილი და მრავალი სხვა... მაგრამ ამ შემოთავაზებამ დამაბნია, რადგან თვითონაც ახალი გახსნილი ჰქონდათ მოსამზადებელი ცენტრი და ვგრძნობდი რომ ფინანსებში სახარბიელო მდგომარეობა არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მე არ შემამჩნევინეს, უფრო მეტიც, თავის კუთვნილ ფართში ერთი საკმაოდ დიდი ოთახი დამითმეს, სადაც შემეძლო, თბილის-

თან ერთად პარალელურად ჩემი საქმეები მეკეთებინა, კერძოდ, უურნალ „ათინათის“ რედაქცია მქონოდა.

რაც შეეხება თეონას, არც ერთი პედაგოგისაგან არ უგრძნია უყურადღებობა, პირიქით, ეფერებოდნენ, ანებივ-რებდნენ და ასწავლიდნენ.

მადლობა უნდა გადავუხადო თითოეულ პედაგოგს.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში – ნათია მოსიძეს.

უნარებში – მაია ყუშიტაშვილს,

უცხო ენაში (ინგლისურში) – ეკა კეკენაძეს,

ისტორიაში – მანანა ბასილაძეს.

მათი დამსახურებაა დღეს თეონა სხირტლაძე სტუდენტი რომ არის.

ნათია მოსიძეს მოსამზადებელმა ცენტრმა იმ დონეზე მომიმზადა შვილიშვილი რომ თეონა დაეწია ცოდნით მათ, რომლებიც 3-4 წლიწადი ემზადებოდნენ ამა თუ იმ საგნებში.

უფალო ღმერთო ჩვენო, მოწყალებითა შენითა მიანიჭე მათ სიკეთის დათესვის უნარი და ყოველი განსაცდელისაგან დაიფარე, ამინ!... რადგან მე მათგან სიკურულით გამთბარი გულით დავიარები რუსთავსა და თბილისს შორის.

თეონამ წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და დღეს იგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, ფსიქოლოგიის განხრით. ღმერთო სიკეთის გზაზე ატარე ჩემი ობლები, ამინ!...

ჩემს თავს „ზიზილას“ დავარქემევდი

რატომ მტკივა ასე ძალიან შინაურებისა თუ უცხოთა ტკივილი. მე ჩემს თავს „ზიზილას“ დავარქემევდი. ზიზილა ხომ თავმდაბლობისა და უბრალოების სიმბოლოა.

დიდებულ მზეს ისე არავინ და არაფერი უყვარს, როგორც ყვავილები. ყვავილებმა ეს კარგად იციან და კეთილ მფარველს სხვადასხა სურვილით მიმართავენ.

ერთადერთია ვისაც თავმდაბლობის გამო არასოდეს მიუმართავს მზისთვის, პატარა ზიზილა არის,

– ჩემო პატარავ, რატომ არაფერს არ მთხოვ: ნუთუ არაფერი არ გსურს და არაფერი გენატრება? – ჰკითხა ერთხელ გაკვირვებულმა მზემ და მოეფერა ზიზილას.

– ზიზილამ ნაზად დახარა თავი დიდებული მზის წინაშე და მორიდებულად მოახსენა:

– თქვენო ბრწყინვალებავ, მე პატარა ვარ, უბრალო, ღარბი, მაგრამ გულს შური არ მეკარება. ჩემი უბრალოება უყვარს ხალხს, ამიტომ ამით ვკმაყოფილდები.

ჰოდა აი, ასე, მე ჩემს თავს ზიზილას დავარქევდი, ჩემს უბრალოებით და სხვისი ტკივილების გაზიარებით.

საქართველოს ყველა კუთხე ლამაზია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით.

საჩხერის რაიონი – სოფელი ლიჩი მარადმწვანე ნაძვებში და წაბლის ხეებში ჩაფლული სოფელია. აქ გაიზარდა ბატონი ჯუმბერ ხარაიშვილი, რომელმაც ჭალვანის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, შემდეგ უმაღლესი და ასე კაცური კაცობის სახელით ცხოვრობს დღეს თბილისში თუ იმერეთის მხარეში. მისი სახელი სიამაყეა მისი ახლობლებისა თუ მისი ნაცნობ-მეგობრებისათვის. ჯუმბერის შვილია „კოკა“ რომელსაც ახლა ცის ბინადარნი ეფერებიან. სულთან კავშირი ჩემი ენით საუბარი ეს ღვთის კარნახია, ვერ დავწერ და არც დავწერ მწუხარების ამსახველ ლექსს თუ მინი პოემას, თან აკროსტიქით და აი, ამიტომ:

მე ისევ უფლის რწმენამ მიშველა,

და ყველა დარდი სევდის ჩავრაზე...

იქნებ, ჩემს ბედზე აღარც გავპრაზდე?

რადგან მე ჩემს თავს ზიზილა დავარქევი. ისევ ძველ თქმულებას დავუბრუნდები.

მზე ჩაეძია ზიზილას – მაინც რას ინატრებდი?

– ზიზილამ უპასუხა: ვინატრებდი ვიყო ისევ უბრალო, მაგრამ მქონდეს უნარი ვახარებდე ჩემებრ უბრალო ადამიანებს.

მე თუ კითხვას დამისვავთ მკითხველო, რას ინატრებდი, გიპასუხებთ: ვინატრებდი რომ მშობლები შვილის სიმნარეს არ უნდა მოესწოონ, მე რაც გამოვცადე, სხვას აცილ-

დეს და თუ ბედი ვინმეს აატირებს მიუხედავად ჩემი ტკივილისა, ისე მეტკინება, ისე დაისერება გული ამის ახსნა შეუძლებელია, მოურჩენელია ჩემთვის სხვისი ტკივილი. ამიტომ მიწევს ბუზღუნი ტკივილთან.

საქმემან შენმა გამოგაჩინოს...



უშანგი მოსიაშვილი

ბატონო უშანგ, ალბათ თქვენ პირველს გაგეხარდებათ თქვენნაირი პატრიოტები თუ ვინმე იქნება საქართველოში, მაგრამ იქნება კი?... მჯერა სული ნეტარებით აგევსებათ, ღამის კოშმარული სიზმრებიც აღარ შეგანუხებთ. დამშვიდდებით, იქნებ აღარც კი მიუტრიალდეთ იმ ისტორიული თემატიკის შექმნას, რასაც თქვენ აკეთებთ, ხარჯავთ დროს და ფინანსებს. ამ უქონელ დროში დაიქირავო მხატვარი, გადაუხადო თანხა და შექმნა ტილოები წარსულისა, დღევანდელობისა, შექმნა უამრავი და უთვალავი, წარმოუდგენელია.

სიზმარია?... არა, რეალობაა. დიდება შენდა ღმერთო, დიდება შენდა... თქვენ ალბათ ცდილობთ, საკუთარი იდეების განვითარებით შექმნათ მატერიალური სიმდიდრე სულიერებასთან ერთად. თქვენ ძალიან ახლოს ხართ ღმერთთან, აკი ამბობთ თქვენივე ლექსში „მოდით კაცებად დავრჩეთ,” ეს ბრძნული ნამდვილი ქართველური სიტყვები ბევრს არ ესმის, ნაჭუჭმი ყოფნა ურჩევნიათ ჭუჭყიან ნაჭუჭში. ბოლოს ეს ნაჭუჭიც ჩაილენება და დარჩებიან არარაობები. „ბოროტება გა-

ნათლებული ადამიანიდან მოდისო” თქვა წმინდა კოზმა ეთო-ლიკიელმა. ღმერთმა ადამიანს ნება მისცა, ყველაფერი თავი-სი გონებით გაეკეთებინა და როცა უღმერთო საქმეებს სჩა-დის თვითონ ღუპავს საკუთარ თავს, ანადგურებს იმას რასაც თვითონვე ქმნის.

თქვენ კი პირიქით, სულის ტაძარი ააშენეთ, სადაც ყვე-ლა ღვთის მოყვარულ ადამიანს შეუძლია შევიდეს და ილოცოს ოჯახისთვის, ილოცოს სამშობლოსთვის. აი, თქვენთვის ბატო-ნო უშანგი, პირველი ღმერთია, მერე კი თქვენს მიერ შექმნილი საქმე; ამიტომაც იყო, რომ როდესაც ზაფხულში ერთაწმინდის ეკლესიაში ღონისძიება ჩავატარე დიდი მოურავის გიორგი საა-კაძისა და პაატასადმი მიძღვნილი, თქვენ ამ ისტორიული დღის დასრულების შემდეგ იმ საზოგადოებას, ვინც კი იყო იქ, პოე-ტებს, მხატვრებს, სულიერ მამებსა და დებს აჩვენეთ თქვენს მიერ აშენებული ღვთის ტაძარი, მერე კი მოკრძალებულად შეგვახედეთ სულის სამრეკლოში, მე არ ვიცი რა გინოდოთ, პოეტი?.. მხატვარი? თუ უბრალოდ დიდი ადამიანი. იმ დღეს თქვენ ხელშეხვეული-თაბაშირ დადებული იყავით, თქვენი შვი-ლი კი მეორე, თუ მესამე სართულიდან ჩამოვარდნილა, იწვა თავის საძინებელ ოთახში, თავს დასტრიალებდა ლამაზი ცქრი-ალა მეუღლე, მასაც თაბაშირი ჰქონდა ფეხზე, წელის არე კი სერიოზულად დაუჟეულ-დაზიანებული. ბრგე ვაჟკაცი გაუსაძ-ლის ტკივილებს ითმენდა, თქვენი ოჯახი ისე შეგვხვდა, ვი-თომდა არაფერი იყო მომხდარი. მათ ვერ შეატყობდით სახეზე შეშფოთებას, მჯერა, თითეულ ოჯახის წევრში უფალია და ამიტომ ბრძანდებით ასეთები.

დიდი ადამიანები ყოველთვის თავმდაბლები არიან. ღმერთმა ანგელოზები შექმნა მათი ნაწილი ამპარტავნებისა-გან დაეცა და ეშმაკად გადაიქცა. ღმერთმა ამ ანგელოზების შემდეგ შექმნა სრულყოფილი ადამიანი და ეს ადამიანი თქვენ ბრძანდებით ბატონო უშანგი. შეიძლება შედევრი არაა ის ლექ-სები, მაგრამ თქვენი ისტორიული იმპერიის ნახვის შემდეგ პო-ეტებმა მოგიძღვნეს ლექსები რომელიც დაიბეჭდა უურნალ „ათინათში“ და ამით მწირი ყურადღება გამოხატეს დიდი ადა-მიანის მიმართ.

დაჩი ივანიშვილის თავგადასავალი

პატარა დაჩი ივანიშვილი, მშობლებთან ერთად ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიას ესტუმრა. წლის და რამოდენიმე თვის პატარამ, სამუშაო ოთახს თვალი მოავლო. ფაჯრის რაფაზე წითლად აღაღანებული ყვავილი შენიშნა, დედას მიუბრუნდა და დამაჯერებლად შეეკითხა: დედიკო, ეს ხომ ციცინათელაა?

კი, გენაცვალე, ნამდვილად მაგ ყვავილს, „ციცინათელა“ ჰქვია, „ციცინათელაა“. ქალბატონი სოფიკო ძაძუა მომიბრუნდა და დიალოგი გაიმართა ჩვენ შორის: ქალბატონო, ამბობს დაჩის დედა, უცნაური ბავშვია, ასეთ ასაკში ბავშვებს ყველაფერი უნდა აინტერესებდეს, მაგრამ დაჩი, იაკობ გოგებაშვილის დედა ენის ყველა ასოს სცნობს. სანამ მე და ქალბატონი სოფიკო ძაძუა ვსაუბრობდით, დაჩიმ იფიქრა ესენი მე ყურადღებას აღარ მაქცევენ და ახლა მამიკოს მიუბრუნდა.

პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ცნობილ ფრენბურთელს გიორგი ივანიშვილს.

— მამიკო, ყველაფერი მომნოს, აქ რაც არის, უჲ! რამდენი ნახატებია, მაგრამ წიგნები უფრო მაინტერესებს.

— აბა, რომელი წიგნი გინდა შვილო, აქ ბევრი წიგნია.


— ყველა! წამოძახა დაჩიმ და ანთოლოგის მესამე ტომს მიეტანა.



უჲ! რა მძიმეა მოტრიალდა ჩემსკენ და დაიწყო ტიკტიკი: ბევრი წიგნი მინდა, ბევრი! შეხედე ამდენი და მაჩვენებს გაშლილ ხელის თითებს. დაჩი ეგ რამდენია შევეკითხე.

— ათი! წამოძახა. მაჩუქებ წიგნს?

- კი! ჩემო პატარავ, აუცილებლად გაჩუქებ.
- ამ წითელ წიგნს მაჩუქებ? დაჩი ანთოლოგით დაინტერესდა.
- აუცილებლად საყვარელო, კიდევ რომელი წიგნი გინდა?
- კიდევ ეს წიგნი და მიმანიშნა ჩემს ახალ გამოსულ წიგნზე.
- შენ რომ ჯერ კითხვა არ იცი?
- ვიცი!
- აბა წაიკითხე...



– დარდის პირამიდები, ამოიკითხა წიგნის სათაური. და მე დავრწმუნდი, რომ ჩემი სტუმარი იყო პატარა ვუნდერკინდი. დაჩი ივანიშვილი.

დაფაჩუნობდა დაჩი ბიჭი რედაქციაში,
წიგნთა თაროსთან, სულ უშიშრად
თვით მიღიოდა...
მით ბრწყინდებოდა, დარდის ნისლი
გულის წყვდიადში,
წამით მიშრობდა მდუღარე ცრემლს
მე რომ მდიოდა.



გელა სხირტლაძე

აღმათ

აღმათ აღარ დაბრუნდება ქველი,
დრო და... ვიცი ვიმარტოვებ მუდაშ.
სულის ტკივილს ცოტა ამით ვშეველი,
ღმერთს თავისთან ხომ კარგები უნდა.
კვლავ გრძნობებში დათარეშობს ქარი,
ჩემი გულიც ქველებურად ჩვილობს...
თითქოს დროში დაიშალა წამი,
სად გეძებო ჩემო ტკბილო შვილო.
დღეს უშენოდ იუბილეს ვხვდები
და უშენოდ რა მაქს მოსალოცი,
თუ სიკვდილმა დააჩოქა სხვები,
მე ვიცოცხლებ, ღექსითა და ლოცვით.

* * *



ეს იყო ღვთის დღე, მადლი უფალის,
უნეტარესს და უწმინდესს შევხვდი....
ამ დღეს არ ვიყავ ჭირისუფალი,
ცრემლიან ფიქრებს იმედით ვშევდი.



გვანცა ხარაიშვილს

შენში სხვა ქვეყნის გაზაფხულია,
ბერები არასდროს ჩამოგვარდება.
სული კალამით დახატულია
პროზად და ლექსად დაიბარისება.

ღղღ շանցման



Ճյան սունտվա եար, ճյան սուռուելոյեզ,
Ցյան եար ճյան, իյմո յանցըածո.

Իյմո սուռուելոյեց ցյոնցը օւռուելոյ,
Ցյնտցու ց մկոմոծ դա ան հաս ճացմածո.
Խոցասթրու քմերտմա ՇցոլուՇցոլոյեծ դա
Շցոլու Շցոլոյեծ ցպազգը մրացալու....
Խցու ոյցը և սուցարոյլու նյ մա՛մումլոյեծո,
Ոյցըն եարտ իյմո ցոյլու թամալո.

Ռութ Եղիշյլածոյ



Օսքորու մաքրանյեց Շյմորիյեծո,
Սայարտցըլու Ծկուցու, հոմ ցԾկուցա...
Թին մուծու եար...

Հորու առասդրու իսմորիյեծո
ուղիմցա ցոյնու տոցու դա օսյեց ցոցա...

სიხარული



გულმა იგრძნო სიხარული – გაზაფხულდა...
ხელში უნდა გაბურთაო შვილთაშვილი,
შეგეხე და ფათუნებით აფათურდა,
გმადლობ, ღმელთო, შენითა გარ ფრთაგაშლილი

მუნების სუნთქვაც კი პოემის ლიტერა

წინაპრის ნაკვალევს მივყვები სიფრთხილით...
ყვირილის ტალღები, ფიქრს შემოასკდება...
სიკვდილო, მომშორდი და ცოტა მიფრთხილდი...
პოეტი იცოდე არასდროს მოკვდება,
გაზაფხულია და ტყეს ტანისამოსად,
სულ თოთო ფოთლები ტოტს შემოესია...
პოეტი კვდებაო ეს ვიღას წამოცდა,
ბუნების სუნთქვაც კი პოეტის ლექსია.

სიცემბრით ვეტ ვთქვი და არც კალამით თავს არ გიცოლებთ...

- ს** – ევდის პერანგს დავატარებ, მძიმე უღლად,
ი – წერება მხოლოდ ცრემლის სტრიქონები.
ტ – კივილები დამდევს ყველგან ბედის იღბლად,
ყ – ინუებია... საფალ გზებზე ნათქორები.
ვ – ინ რა იცის რას განვიცდი, რატომ ვკვნესი,
ი – მედის არა, დარდს შევყურებ ათასწლეულს.
თ – ითებს ვიკვნეტ... სანუგეშო ხმა არ მესმის,

ვ – აზი ტირის, ღრუბელს ხედავს, თავ აწეულს.
ე – ს ლაქაა, თუ ცის კანის შავი ფერი...
რ – ა დღეშია, მზის მკლავებში კოტრიალებს,

ვ – ახ! მზის სხივი გადაფარა ნისლმა თქორით,
თ – ავი მომჭრან, თუ მე მათთან ვიტრიალო.
ქ – არიშხალიც სულს მიმწარებს თავის ქცევით,
ვ – იბრძვი კალმით, კაშხალი არ გადმოტეხოს...
ი – მიტომ ვარ, განდეგილი, ზურგ შექცევით,

დ – არდიან ქალს თავს ლაფი არ დამატებოს.
ა – რც იფიქროს ჩემთან სულის გატოლება,

ა – ბა, ერთი გაბედოს და ხელი მახლოს,
რ – ამდენჯერმე ამოვხსენი განტოლება,
ც – ოტა არა, ბევრი წყენა მისგან მახსოვს.

- კ** – იბე-კიბე სულიწმინდით ცაში ავალ,
ა – თასნაირ ფერების ხიბლს არ ავყვები.
ლ – ამაზ ზაფხულს ვეახლები სულის წამლად,
ა – ხლა არა გაზაფხულზე ავყვავდები.
ბ – ოვალ იად, შროშანად და კოკორ ვარდად,
ი – ქვე გავშლი ჩემს ჩრდილის ქვეშ ლამაზ სუფრას...
თ – ავთავიდან თუ მარცვლები ჩამომცვივდა,

თ – ითო-თითოდ წამოვკრიფავ ნამცეცს სუფთად.
ა – რწივის ფრთა, თუ საფრენად დამჭირდება,
კ – ილოცავ და შევქმნი ღევქსებს მუზის ღმერთით...
ს – ასწაულებს თუ იღბალი დამპირდება,

ა – ი, მაშინ მოვიტროთხეწები, მთვარის ფეხთით.
რ – ანი გართ და რა ვიქნებით ცას რომ წავალთ,

გ – ულზე გრძნობით გადავიკრავ სხივის არტახს.
ი – ქნებ ღევქსო, მახალისო წუთ და წამად...
ტ – ილოებზე შენთან ერთად შევქმნი ნახატს.
ო – ახლა კი დიდ ტკივილებს ჩუმად ვფუთავ,
ლ – ექსით გსუნთქავ, ნიჭი მერგო, ღვთით ნაკურთხი,
ე – კლებში ვარ, მომაწურე სიტქბო, თუთავ,
ბ – ედისწერის ცეცხლითა ვარ განათუთქი.
თ –

სრჩევა

პოეტი – ევერესტისეული სიმაღლის სულით	3
მამა გაბრიელი.....	6
* * * მაჯისცემა ხარ ჩვენი ერის და.....	7
შენი ლოცვით.....	8
მამა ამირან ამირანაშვილი საქართველოს სიმდიდრე და სიამაყეა	9
მამა ანდრია აბაშიძეს	11
აკადემიის წევრების ფიცი	12
დავალ ფიქრთა ლამაზ ხეივანში	13
სიმშვიდის ბალი	14
ვეძებ	15
წავალ	16
მოვინადინე	17
ქარო	17
კალმით შევქმნი	18
გული	18
ნდობათა ჯაჭვები	19
ქარო, შეჩერდი	19
ფოთოლცვენა.....	20
შენ კეთილი ხარ	20
ქვაზე მადლს დებ	21
ლიალია ბალანჩივაძეს	21
დარდის ჭიდილში	22
მწვანე ვერხვები	22
ჩიტბატონა	23
პოეზია	23
ჩემო კალამო	24
მზის სამოსი	25
ვედრება.....	25
ზრდილობით სავსევ	26
წვიმა	27
ქარო	27
ნუთუ	28

გირჩევ	28
ჭინჭარი	29
ლექსებო	29
აღარაფერს არ ვჩივი	30
სიბრძნის მდინარე	31
შენ	31
ცაში	31
ცის აივანი	32
გული	32
შეჩვეულ ვარდთან	32
ქარო	33
ფიქრის გუდა	33
თაკარებაა	34
უსასრულობაში	34
* * *გარდაცვალებას, მეუფისას ვერ შევეჩვევი...	35
ვედრება	35
მთაო	35
აბობოქრდება	36
გული	36
შენს ნაზ სულეთში	37
ვარ ისე უმწიკლო	37
ყოჩივარდები	37
ლექსით მაცოცხლეთ ჩემო ბიჭებო	38
გულის ფანჯარა	39
შემომლიმილეს	39
მე არ გავცურავ	40
თამაში, სცენები	41
არ მძინავს	41
ფრთები მაქვს	42
არ დაგიგებენ	42
მე	43
უნდა გავტეხო	43
მეუფევ, შენი ვინამე	44
შენი სამყაროს სიკეთიდან გამომდინარე	45
***სიცოცხლეში ვარსკვლავებთან დასეირნობ...	46

და ისევ მაინც.....	46
არ ენდო.....	47
გამოზაფხულზე	47
არ გპატიობენ	48
უსინდისობის ბალიში	40
ზღვას შემოგბედე	49
ხუთი მაისი	49
ბულბული ხარ	50
ყავისფერ ტანზე	50
სინდისით მოვკვდე	51
მხოლოდ	51
მშვიდობის კრავი	82
ჩემი სოფლის მთები.....	53
სიცოცხლის განმეორება.....	54
თუ შემოიხედავ ჩემს სულში, ზეციური ძალით	
დაიმუხტები ჩემი მკითხველო.....	60
„ათინათი“ სიყვარულის ფრთხებით შეგმოსავთ.....	62
ცრემლს ღვრის პოეტი.....	64
როდის მოგირჩება გული სამშობლო?!	65
დავით ტიგინაშვილს.....	66
და მაინც.....	67
ელგუჯა ნოზაძეს სიკეთე ჰქვია	68
ქარს გაუძელი.....	69
ახლა აქ ცხოვრობ	69
გულის მდინარე	69
* * * მთელი ერისთვის გულის მალამოვ...	70
ჩემი ხაშრომი	70
ფრთამოტეხილი ჩიტი	71
მე ვარ სიმშვიდის ნერგი	71
ხვანი	72
ეს საუკუნე	72
წელში გავწყვიტავ	73
სულით მდიდარო	73
*** ბრონეულის იმ ნაზ ყვავილს გული ვანდე...	73
ო, რა ძალიან მდიდარი ვარ.....	74

ყინულის ენა.....	74
ვედრება	75
იქნებ ამიხსნა.....	75
ჩემო მოძლვარო.....	76
მენატრებოდი	76
* * * სამშობლოს ცაზე...	77
გმადლობთ	77
ყველა აქებს ლამაზია რაჭა.....	78
ხილი ხომ გქონდა.....	80
ჩემი ვარსკვლავი	80
არ დამიჯერე	81
ქარიშხლების დროს	81
იმედების კარი	82
ძალას ვიკრებ.....	82
ია ექიმო.....	83
ჩემი ცხოვრება	83
მთვარევ.....	84
ჩემს კვალს მოჰყევი.....	85
ფუნჯით და კალმით	86
ღმერთო.....	87
ვერ გაუძელი.....	87
არავის ჰეგავდით	88
წმინდა შარფი	88
გულის ხმაური	88
გაგაუკვდავებ.....	89
ქარი	89
მთელი ცხოვრება	90
დარდის ბილიკი	90
მზედ მხედავდი.....	91
ტყის ყვავილი.....	92
* * * გაზაფხულის თვეში დავიბადე, ხუთ მაისს...	92
გაგებუტე	93
ვდარდობ	93
ჩემო სიცოცხლევ	94
მე	95

ადამის მოდგმა	95
აბდაუბდა	96
ხან ნისლია და.....	96
ნამუსის დღიური	96
იამაყებს შენით საქართველო	97
რად ინუნებენ	97
სჯობია	98
პანანინა დედოფალი გქვია	98
დარდის ღელე	99
მითხარი	99
ცბიერი	99
გელა	100
ფერწასულია	101
დედის გული	101
შვილო	102
დაგეძებ შვილო	102
პატარა იოანე ლობჯანიძეს	103
დღეს	103
ღვთის წილნაყარო	103
თეთრად აფეთქება გაზაფხულის	104
ვახუნია	105
თამუნია	106
* * * ჩემთვის პატარები დარჩებით...	107
ზღვა პატრონს ელის	108
ვიცი	108
არ ვარ ნაჩვევი	108
ფიქრი	109
კონკიას სამოსი	109
გრიგალი	110
ქარი	110
დავლოცავ	111
ცრემლის ქალი ვარ	111
თუკი ოდეს	111
* * * „ათინათში“ ყამირები გამოიხნა...	111

მწირი ფართი	112
.....
ისევ ქარი	112
ვიცი	113
შენ	113
მე	114
უსასრულობა	115
კრაზანები	116
სიყვარულის განტოლების ამოხსნა	116
არ გაიოცო	117
არასოდეს	117
არავის ვერჩი	117
არ შევიცვლები	118
შორს შენგან	118
ფიქრი ისევ სოხუმს მისწვდა	119
სახუმარო ლექსი ჩემს დაიკოს	121
მიზანსწრაფვა	123
სხვამ იყითხოს	123
სულის სარკე	123
ჰე ვარძია	124
ბუნებაში	124
გარდასულ წლების მოგონებებით	125
იანვარში	126
დაგცილდი	126
შენს ნოტებზე	126
მივსტირი	127
სულის მანტიით	127
“ათინათში”	128
არ გელოდი	128
დაჭრილი ფრინველი	128
ვიცი	129
არ შემიძლია როლის თამაში	129
შენ?.. ..	130
და ეს რწმენა	130
სინაგოგა	131

სათნოების გული.....	131
თბილისი ამაღლების ეკლესია.....	132
მამა ამირან ამირანაშვილის მეუღლეს თამარ	
გველესიანს	133
მთას შენი სხეული.....	133
რამდენჯერ	134
ერს ვხედავ სიახლით.....	135
გხედავ	137
დამჭირდა.....	137
დარდის პირამიდები	138
სანამ შევძლებ	139
მოვედი.....	139
ალბათ გაზაფხული მიტომ ფეთქავს	140
გამოძერნე.....	141
გულს ვესაუბრე	142
მსურს	142
* * * მანანობენ, თიქთიკობენ, ტემბრი ხმათა...	143
ლუარა სორდიას	144
იარონ	144
იყო ასეთი, ეს იმას ნიშნავს.....	145
უმცროს ძამიკოს.....	148
ალსდექ გიორგი	149
ვერ დავიჯერებ	150
მეუღლეს	151
დედავ ძვირფასო	151
დედის მონატრება	152
შენ დადიოდი მადლით და სიბრძნით	153
წახვედი	154
ჩემო რამაზი	154
ცის გუნდში მღერი	155
იყო ის დღოც	156
მხატვრის გალერეაში	157
ბახვა სამხარაძეს	158
წმინდა ნინო	159
შეხვედრა მამა აკაკისთან	160

ორმოცი წლის აჩიკო ზღვაში დახრჩობას გადავარჩინე	170
ძმის ნაკვალები.....	173
მადლობა დავით!	178
ბატონი ნუგზარი როგორც ორგანიზატორი და პიროვნება	185
უსამართლოა ბედისნერა	189
მიყვარს გარდაცვლილებთან საუბარი.....	193
ვინ არის სერგი ლომაძე და კახა ბაციკაძე.....	196
საცალფეხო ხიდი	200
ჩვენო მეუფევ	207
შენ სულ სხვანაირად ხედავ სამყაროს	209
შეხვედრა ორმოცდაცხრა წლის შემდეგ	211
ყვითელი ფოთლები	216
სიხარულის ზეიმი	218
დედის დღეზე მორთმეული ძვირფასი საჩუქარი.....	222
ჭკვიანი თვალები	225
გულის სითბო	228
სამზარეულო „აპეტიტო“	231
წვიმს რუსთავის ქუჩებში	233
„წვიმს რუსთავის ქუჩებში“	235
გრძნობის მდინარე	237
უცხო ფრინველი	240
სიყვარულით გამთბარი გული	242
ჩემს თავს „ზიზილას“ დავარქემევდი.....	246
საქმემან შენმა გამოგაჩინოს...	248
დაჩი ივანიშვილის თავგადასავალი	250
ალბათ	252
*** ეს იყო ღვთის დღე.....	253
გვანცა ხარაიშვილს	253
დედის ჟანგბადი	254
ნიკო ხერკელაძეს	254
სიხარული	255
ბუნების სუნთქვაც კი პოეტის ლექსია.....	255
სიტყვით ვერ ვთქვი და არც კალამით თავს არ გიტოლებთ....	256



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com